

ერთი, ორი, სამი... გაყიდულია!!!

A2



რუსთავი 2 პროგრამა "კურიერი"

B2



რაზე ოცნებობენ ქალები

B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2005 წელი. №227 (1087) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ჩეჩნები მესამე ქვეყნისკენ ილტვიან

პანკისელი ჩეჩნების მესამე ქვეყანაში გადასვლის მოთხოვნა მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. მათი ყოფის შესახებ ყველა ის სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციაა ინფორმირებული, ვისაც ჩეჩენი ლტოლვილების ყოფა-ცხოვრების მოგვარება ევალება.

A2

## ამბები

### პარლამენტში ჟურნალისტებს კარისკენ მიუთითებენ



როდესაც მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები შორს დაიგულეს, დისციპლინამ და რეგლამენტის დაცვის აუცილებლობამ მეორე პლანზე გადაინაცვლა.

A3

## უცხოეთი

### სადამ ჰუსეინისგან ქრთამს ფრანგებიც იღებდნენ



გაერო-ს მიერ სპეციალურად ერაყისთვის შემუშავებული პროგრამის, "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", გარშემო დაწყებული კორუფციული სკანდალი გრძელდება.

A5

## ამინდი

| | 10/10 | 11 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 19 |
| ყვარელი | 21 | 22 |
| სოხუმი | 19 | 22 |
| დმანისი | 15 | 16 |
| გორი | 16 | 17 |
| ონი | 12 | 15 |
| ზუგდიდი | 22 | 27 |
| ახმეტა | 19 | 19 |
| გაგრა | 16 | 20 |
| სამტრედია | 21 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# მილსადენის საქართველოს მონაკვეთი პრეზიდენტებმა აამუშავეს

*საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა გარდაბნის საქაჩ სადგურზე გუშინ ღილაკს ერთად დააჭირეს ხელი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს სექტორი ოფიციალურად გაიხსნა. ნავთობსადენის შევსება დაიწყო. საქართველოზე გამავალი მილსადენიდან კასპიის ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერის გასვლა დეკემბერში იგეგმება.*

**"ამ ნავთობსადენს, პირველ რიგში, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მნიშვნელობა იზრდება,"** - განაცხადა საზეიმო ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და იქვე ხაზი გაუსვა იმას, რომ მშენებარე გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზერუმი საქართველოსთვის ეკონომიკურად გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს რეგიონისთვის დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ნავთობსადენის პარალელურად ვითარდება ინფრასტრუქტურა და, ასევე, შემოდის დამატებითი ინვესტიციები.

მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანსა და თურქეთში ეკონომიკურ ზრდაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური პროცესები საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქვეყანას მეზობლად წარმატებული ქვეყნები ეყოლება.

**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იყო ოცნება, რომელმაც ხორცი შეისხა და რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსოფლიოს ენერგორესურსებით მომარაგებაში,"** - განაცხადა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ბი-პიმ" "პრესტიჟის გამოცდა" ჩააბარა

## სტრატეგიულ ინვესტორთან "ჩათვლა" საქართველოს მთავრობამაც მიიღო

ეთერ მამულაშვილი

*გასული წლის შემოდგომაზე, "ბი-პის" რეგიონული დირექტორი ჯეი ბერსონი "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ "ბი-პი" ახალ მთავრობასთან თავს გერად გრძნობდა. "ახალ მთავრობასთან ჩვენ თავს ვგრძნობთ როგორც გერები. მშობლები დაგვეხოცა და ჩვენ აღსაზრდელად ახალ ოჯახს გადაგვცეს. თან, ამ ახალ ოჯახს არ ჰქონდა კარგი წარმოდგენა ჩვენს მშობლებზე, ამიტომ თვლიან, რომ ჩვენც ცუდები ვართ, არც ჩვენი დღიურები უნახავთ, არც ჩვენს მეგობრებს შეეკითხნენ აზრს ჩვენზე," - აცხადებდა ის. მეტიც, ჯეი ბერსონი რევოლუციის შემდეგ ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოში ნაციონალიზაციის ერთგვარ საფრთხეზეც კი საუბრობდა და მან ერაყის, ლიბიის, ნიგერიის გამოცდილება გაიხსენა, როცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ "ბი-პის" ადგილობრივი კომპანიების ნაციონალიზაცია მოახდინა.*




იან კონი ახალ მთავრობასთან თავს გერად მიიჩნევს.

*"მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ჩვენ ამისთვის არ ჩამოვსულვართ. ჩვენს აქციონერებს ეს სულაც არ მოეწონებათ, ისინი ჩვენგან მოგებას ელიან," - ამბობდა მაშინ ჯეი ბერსონი. იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა პოზიცია ინვესტორმა, შეიტყობთ ინტერვიუდან "ბი-პი ჯგუფის" მთავარ მენეჯერთან იან კონთან, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ქართული სექტორის ამოქმედებასთან დაკავშირებით ამ დღეებში თბილისში ვიზიტით იმყოფება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# "მის საქართველო" After Party

B1



"იმიჯ-ცენტრმა" სალომე ხელაშვილის პატივსაცემად წვეულება გამართა.

# ახალგაზრდა იურისტები - "საუკუნის პროექტის" პრობლემებზე

*იმ დროს, როცა სამი სახელმწიფოს პირველი პირები - საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს სექტორის ამოქმედებასთან დაკავშირებით ოფიციალურ ცერემონიალს ესწრებოდნენ და "საუკუნის პროექტის" დადებით და წარმატებულ მხარეებზე საუბრობდნენ, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", რომელიც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის განხორციელების სამართლებრივი მონიტორინგის პროგრამას" ახორციელებდა, საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას გააცნო ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლის დროისათვის დაგროვილი ძირითადი პრობლემები.*

**"მიუხედავად იმისა, რომ მილსადენი უკვე შესულია რეალიზაციაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის (განსაკუთრებით, მილსადენით გადაკვეთილ რაიონებში) დღის წესრიგში ჯერ კიდევ უამრავი გადაუჭრელი პრობლემა დგას და მათი რიცხვი, კლების ნაცვლად, მატულობს,** - განაცხადეს ახალგაზრდა იურისტებმა და იქვე დასძინეს, - **ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული "საუკუნის პროექტის" დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ მაინც გვსურს, კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმ სამართლებრივ პრობლემებზე, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას ახლავს და რომელთა დიდი ნაწილიც დღემდე მოუგვარებელია."**

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლების მიერ ჩამოთვლილი პრობლემების ნუსხა კი არც ისე მცირეა:

გაგრძელება A4 გვერდზე

# აღშფოთებული ოთხი სერგეი

*საქართველოს პარლამენტმა სამშაბათს ერთხმად დაამტკიცა დადგენილება "ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ", რომელშიც ქართველი დეპუტატები რუსეთს სამშვიდობოთა მანდატის დაცვისკენ მოუწოდებენ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ რუსი სამშვიდობოები ვალდებულნი არიან, კონფლიქტის მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებების რეალიზების გარანტის როლი შეასრულონ.*
*აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ კომენტარები, და, რა თქმა უნდა - უარყოფითი, რუსულმა და აფხაზურმა პოლიტიკურმა ელიტამ გააკეთა. კერძოდ, ოთხმა სერგეიმ - ლავროვმა, ივანოვმა, შამბამ და ბაგაფშმა.*

ნინო ბომართელი

პირველმა სერგეიმ - რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, რომელიც რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხის დაყენებას ითვალისწინებს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის საქმიანობაზე გავლენას არ იქონიებს. **"ქართულ მხარეს უფლება აქვს, გაყვანის მექანიზმის შეცვლის საკითხი დააყენოს,"** - განაცხადა სერგეი ივანოვმა და ქართული მხარის აღნიშნულ ნაბიჯს "პოლიტიკური" უწოდა.

კიდევ ერთი სერგეი, ამჯერად, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი კი მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია არ დააყოვნებს. **"ჯერ დადგენილების ტექსტს არ გავცნობივარ, მაგრამ როგორც კი გავეცნობი, მაშინვე იქნება რუსეთის საგარეო უწყების რეაქცია,"** - განაცხადა ლავროვმა, თუმცა მანამდე, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დისლოცირებული რუსი სამშვიდობოების მიმართ, საქართველოს "მკვეთრი მოძრაობებისგან" თავშეკავებისკენ მოუწოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გაკოტრდება თუ არა "თბილგაზი"

*კარზე მომდგარი ზამთრისა და "გაზპრომისთვის" მრავალმილიონიანი დავალიანების გასტუმრების ვადის მოახლოების ფონზე, თბილისის ენერგომომმარაგებელი კომპანიის "თბილგაზის" ახალმა ხელმძღვანელობამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას კომპანიის გაკოტრების საკითხის განხილვის თხოვნით მიმართა. ამის შესახებ კომპანიაში, ჯერჯერობით, ღიად არ საუბრობენ. სამაგიეროდ, კომპანიის ამ ნაბიჯს ავისმომასწავებლად მიიჩნევენ ამ ერთი თვის წინ "თბილგაზიდან" დათხოვნილი თანამშრომლები, რომლებიც კომპანიის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არაკანონიერ ქმედებებსა და გამიზნულ სამართალდარღვევებში ადანაშაულებენ. მათი შეფასებით, მოახლოებული ზამთრის პირობებში "თბილგაზის" გაკოტრების რეჟიმში გადაყვანა და გადახდისუუნაროდ გამოცხადება ქვეყანას "გაზპრომთან" ძალიან არამომგებიან პირობებში აყენებს.*

დიანა ჩაჩუა

**"სრული პასუხისმგებლობით გვინდა განვაცხადოთ, რომ თუ პროცესები ასე გაგრძელდა, წლის ბოლოსთვის საწარმო ფინანსური კრახის წინაშე დადგება და გაზის არსებობის შემთხვევაშიც კი ვერ მოხერხდება მოსახლეობის უწყვეტი და უსაფრთხო გაზმომარაგება,"** - ვკითხულობთ საინიციატივო ჯგუფის მიერ პრეზიდენტის, თბილისის საკრებულოსა და პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მისამართით დაწერილ წერილში. ისინი მიანიშნებენ, რომ "თბილგაზის" ახალ გენერალურ დირექტორს უკვე გააჩნია სხვა კომპანიაში, კერძოდ კი - "თელასში", გარდამავალ პერიოდში მუშაობის გამოცდილება, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფო კომპანიაში უცხოელი ინვესტორის შემოსვლით დასრულდა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ახლად დანიშნული დირექტორი "თბილგაზს" სერიოზული ცვლილებებისთვის ამზადებდეს.

სხვათა შორის, "თბილგაზის" გაკოტრების რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებული საკითხი კიდევ უფრო საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ "თბილგაზში" პრობლემების შექმნის შემთხვევაში პრობლემები ავტომატურად უჩნდება სახელმწიფო ელექტრომომარაგებას - "თბილსრესის" სახელმწიფო ბლოკები ბუნებრივი აირით კვლავ "თბილგაზიდან" მარაგდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საკრებულოს უმრავლესობაში ბზარი გაჩნდა

*სავარაუდოდ, ახლო მომავალში უმრავლესობათა რიგებს დეპუტატი მანუჩარ მაჩაიძე დატოვებს. მისი წასვლის მიზეზად ამ ბოლო დროს მშენებლობის სფეროში მომხდარი ცვლილებები სახელდება. სხვა ინფორმაციით, მაჩაიძის განაწყენება მისი სახელობის სკოლისთვის ბიუჯეტიდან თანხის ამოღებამ გამოიწვია. მაჩაიძე ამ უკანასკნელს აბსურდულს უწოდებს. მისი თქმით, ბიუჯეტში მას პირადი დაინტერესება არ გააჩნია, თუმცა აღიარებს, რომ უმრავლესობას "რაღაც-რაღაცეებში" მართლაც არ ეთანხმება.*

თამარ დვალი

**"მე არ შემიძლია დაგიდასტუროთ, ან უარვყო ინფორმაცია უმრავლესობის დატოვების შესახებ. მართალი გითხრათ, ამ ხელისუფლებას ბევრ რამეში ვუჭერდი მხარს, თუმცა არის რაღაც-რაღაცეები, რასაც არ ვეთანხმები. პოლიტიკაში ყველაფერზე დათანხმება არც შეიძლება. მე მიმაჩნია, რომ როდესაც ქალაქს ამდენი ამორტიზებული სახლი აქვს, არ შეიძლება მშენებლობა ცარიელ ტერიტორიებზე გავაჩაღოთ. უმჯობესი იქნებოდა, განაშენიანება მიწისძვრით დაზიანებული სახლების ადგილზე მომხდარიყო. მე პირადად ამ საკითხში არანაირი დაინტერესება არ გამაჩნია, უბრალოდ, განსხვავებული აზრი მაქვს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მაჩაიძემ. მისივე განმარტებით, იგი ასევე არ ეთანხმება "აჭარის" წინ მოედანზე, ყოველგვარი შესწავლის გარეშე, ცათამბჯენის აშენებას. **"ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც ცათამბჯენის მშენებლობას იწყებენ, ჯერ იმ ადგილს გეოლოგიურად სწავლობენ. იქვე, დოლიძის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლის სარდაფები სავსეა წყლით. ამიტომ, საჭიროა მოხდეს ამ ადგილის გეოლოგიური შესწავლა. მე ამ საკითხთან დაკავშირებით არქიტექტურის სამსახურიდან კონკრეტული პასუხი ვერ მოვისმინე,"** - განაცხადა მაჩაიძემ. ამ და სხვა ფაქტებზე დაყრდნობით, გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში მან მართლაც დატოვოს უმრავლესობის რიგები.

რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოს მანუჩარ მაჩაიძემ უმრავლესობა საკუთარი სახელობის სკოლის ასაშენებლად ბიუჯეტიდან ამოღებული თანხის გამო დატოვა, მაჩაიძე არ ადასტურებს. **"როგორ გეკადრებათ, მე ისეთი მეწვრილმანე კაცი არ ვარ, რომ მაგაზე გავნაწყენდე. ეგეთი რამ გამორიცხულია. პოლიტიკაში ყველაფერი ხდება. მსგავსი ამბიციები არ გამაჩნია. უბრალოდ, არ შეიძლება ყველა საკითხზე ერთნაირი დამოკიდებულება გქონდეს. ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, მაგრამ საქმიანობას, ალბათ, დამოუკიდებლად გავაგრძელებ,"** - განაცხადა მაჩაიძემ.

# პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა რეგლამენტის ცვლილებების პროექტი დაიწუნა

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტს უარყოფითი დასკვნა მისცა.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიგა ბოკერია კატეგორიული წინააღმდეგია იმ მიმართულებებისა, რომელიც პროექტშია დაფიქსირებული. კერძოდ, ბოკერია ეწინააღმდეგება კანონპროექტის ინიცირებისას დამატებითი ბარათის იმ ფორმას, რომელიც რეგლამენტის პროექტშია აღნიშნული.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიკრო და მაკროეკონომიკური პარამეტრების თაობაზე, აგრეთვე, ევროპულ კანონმდებლობასთან კანონპროექტის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

როგორც ბოკერია აცხადებს, საქართველოს პარლამენტი პრინციპულად სხვა გზით უნდა წავიდეს. "ის, რომ არ არის დაცული პროცედურები და მისი გამკაცრების კუთხით მივდივართ, ეს არასწორია. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი არასრულწლოვანების კოლონიას დაემსგავსება," - აღნიშნა ბოკერიამ.

მისი განცხადებით, საქართველოს პარლამენტში პროცედურების რეგულირება მინიმუმადე უნდა დავიდეს.

პარლამენტარ ნიკა გვარამიას თქმით კი, თუკი განმარტებითი ბარათი იმ ფორმით შევა ძალაში, რა ფორმითაც რეგლამენტის პროექტშია წარმოდგენილი, მაშინ საერთო საკანონმდებლო ინიციატივები გაუქმდება.

გვარამიას განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციური ჩანაწერი საკანონმდებლო ინციატივასთან დაკავშირებით, ასეთ პროცედურას ნამდვილად არ გულისხმობს.

*ინტერპრესნიუსი*

# ოსები რუს სამშვიდობოებს ვერ ელევიან

სეპარატისტული ცხინვალი სამშვიდობო ძალების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებას გამოეხმაურა. ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი აცხადებს, რომ მანდატის გადახედვისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის ყველანაირი მცდელობა სამშვიდობო პროცესისგან თავის არიდებას წარმოადგენს.

ჯიოევის თქმით, 1997 წელს საქართველოს და "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტის ზონასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება ორივე მხარემ ერთდროულად უნდა მიიღოს. "ხელშეკრულებას ჯავაში ხელი მოაწერეს ედუარდ შევარდნაძემ და ლუდვიგ ჩიბიროვმა. ამდენად, სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ქართული და ოსური მხარის ურთიერთშეთანხმებით შეიძლება იქნას მიღებული," - აცხადებს ჯიოევი.

მისივე თქმით, სამშვიდობო ძალების ქმედებები შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატს ექვემდებარება, ეს ფორმატი კი ოთხმხრივია და, საქართველოს გარდა, "სამხრეთ ოსეთის", ჩრდილო ოსეთისა და რუსეთის მხარეებს აერთიანებს. ჯიოევი მეტად კმაყოფილია რუსი სამშვიდობოების ქმედებებით და აცხადებს, რომ ისინი სტაბილურობის გარანტს წარმოადგენენ. რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას, სამშვიდობო პროცესში ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლების ჩაბმის შესახებ, მურატ ჯიოევი აცხადებს, რომ ეს ზედმეტია, რადგან არსებული ფორმატი ოსურ მხარეს მთლიანად აკმაყოფილებს.

*მედიანიუსი*

აბიტურიენტი 2005

გთავაზობთ

აბიტურიენტებისა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის

**სავალდებულო სახელმწიფო ტესტირების მოსამზადებელ კურსებს შემდეგ დისციპლინებში:**

ქართული ენა, ინგლისური ენა, ზოგადი უნარები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.

... 17 ოქტომბერს ... 15 ოქტომბრის, 15 საათზე ...

თბილისი ... ტელ: 93 40 75; 99 04 50; 899 19 07 67

ბათუმი ... 58, ბინა 11. ტელ: 3 15 85; 899 57 41 38

### საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრის შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა სია

| N | სახელი გვარი |
|---|---|
| 1 | ცისანა ტუღუში |
| 2 | რამაზ ბერიანიძე |
| 3 | ნათელა მაისურაძე |
| 4 | გრიგოლ ჭირაქაძე |

# ერთი, ორი, სამი... გაყიდულია!!!



ტრავმირებული პენსიონერები.



ქარხნის ახალი მფლობელები.

მაია მოსიაშვილი

67 წლის კარლო ოდიკაძე გუშინ, სხვა ძველ მეტალურგებთან ერთად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაციული შენობის წინ დილის თერთმეტი საათისთვის მივიდა, რათა იმ ქარხნის გაყიდვის პროცესს დასწრებოდა, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა.

**"ქარხანაში 46 წელი ვიმუშავე, 40 წელი მილს ვგლინავდი. 17 წელია ტრამვირებული პენსიონერი ვარ. მხოლოდ ორი წელი ვიღებდი პენსიას და ხელფასს სრულად, ახლა 2500 ლარი მაქვს ასაღები. მეტალურგიული გააკოტრეს და ყიდიან, ჩვენ კი ჰაერში დავრჩით,"** - ამბობს ოდიკაძე. მის ბედს კიდევ 500-მდე ტრამვირებული პენსიონერი იზიარებს, ანუ ის ადამიანები, რომელთა შრომისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ქართულმა მეტალურგიამ ნახევარი საუკუნე იარსება. გუშინ ისინი აუქციონზე დასასწრებად არ შეუშვეს. გუშინვე ბევრმა მათგანმა ჟურნალისტებისგან გაიგო, რომ გაკოტრებულ საწარმოსთან ერთად მათი იმედებიც გაკოტრდა - ვერც დავალიანებას მიიღებენ და მიმდინარე პენსიებსაც უნდა გამოემშვიდობონ.

მეტალურგიული კომბინატის ქონება სამ ლოტად გაიყო. აუქციონი კი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მხოლოდ მეორე ლოტზე - კირისა და დოლომიტის საამქროზე - გაიმართა. ორი ქართული კომპანია შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" და შპს "თედ-ოილი" ნახევარ საათზე მეტხანს ევაჭრებოდნენ ერთმანეთს. თანხა თანდათან იზრდებოდა და დამსწრეთათვის ნათელი ხდებოდა - "თედ-ოილი" საამქროს ნებისმიერ ფასად იყიდდა. 35 წუთიანი "შერკინების" შედეგი შთამბეჭდავი აღმოჩნდა - "თედ-ოილმა" ერთ მილიონ დოლარად შეფასებული საამქრო 6 მილიონ დოლარად იყიდა. კომბინატის დანარჩენი ქონება, სადაც მისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი შევიდა (დაახლოებით 80-მდე საამქრო, მათ შორის წიდასაყარიც), სულ რაღაც 21 მილიონ დოლარად, ანუ საწყის ფასად შეიძინა შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა".

სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი:

**- შპს "თედ-ოილი":**
საქმიანობა - ნავთობპროდუქტების იმპორტ-ექსპორტი;
საწესდებო კაპიტალი - 2000 ლარი;
დამფუძნებელი - თემურ დათიკაშვილი, დაბადებული 1962 წელს;
დავით გრძელიშვილი, დაბადებული 1963 წელს;
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი - 2005 წლის 7 მარტი.

**- შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი":**
საქმიანობა - კოქსის, თუჯის და აგლომერატის წარმოება;
საწესდებო კაპიტალი - 34 000 ლარი;
დამფუძნებელი - შპს "ჯორჯიენ სთიილ ჰოლდინგ ლიმითიდ", რეგისტრირებული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში (რომელიც თავის მხრივ ასპროცენტიანი შვილობილია ჰონკონგში რეგისტრირებული "აზიის გლობალური განვითარების ფონდი"-სა);
წარმომადგენელი - 1970 წელს დაბადებული მიხეილ კაკულია;
სახელმწიფო რეგისტრაციაში ცვლილება - 2005 წლის 21 იანვარი.

საბოლოო ჯამში, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მთლიანი ქონება 27 მილიონ დოლარად გაიყიდა. "ენერგია და ინდუსტრიას" წარმომადგენელმა მიხეილ კაკულიამ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ჭორები, ქარხნის შესაძლო დაჭრის თაობაზე, სიმართლეს არ შეესაბამება.

"ჩვენს პარტნიორებს გადაწყვეტილი აქვთ, შექმნან ერთიანი მეტალურგიული კომპლექსი. ჩვენი ამოსავალი წერტილია მისი შემდგომი რეაბილიტაცია, რომელიც ქონების ჩვენს საკუთრებაში გადმოცემის შემდეგ დაიწყება," - განაცხადა კაკულიამ. აუქციონს უცხოელი პარტნიორის წარმომადგენელი ფლორან კრისტოლიც ესწრებოდა.

რაც შეეხება "თედ-ოილს", მისი წარმომადგენელის თქმით, ისინი ცემენტის წარმოების ამუშავებას გეგმავენ.

**საინტერესო დეტალი**: "თედ-ოილის" დამფუძნებელი თემურ დათიკაშვილი საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც ყოფილი კალათბურთელი. ის თავის დროზე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, საკალათბურთო კლუბის "ვითას" პრეზიდენტი და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

აუქციონი თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. დღის ბოლოსთვის ადმინისტრაციული შენობის წინ რამდენიმე ტრამვირებული პენსიონერი მეტალურგიღა შემორჩა, რომლებიც შენობიდან გამომავალი თუნდაც ერთი ადამიანისაგან იმედისმომცემი ამბის გამოტანას ამაოდ ელოდა.

# გაკოტრდება თუ არა "თბილგაზი"

პირველი გვერდიდან

საინიციატივო ჯგუფის წევრები სააქციო საზოგადოებაში არსებულ დარღვევებზე საუბრობენ. კერძოდ, ისინი ყურადღებას ოფიციალური დოკუმენტაციის გაყალბებასა და, შედეგად, სამსახურიდან თანამშრომლების უკანონო დათხოვნაზე ამახვილებენ, რისი გამოძიების მოთხოვნითაც მათ უკვე შეიტანეს სარჩელი სასამართლოში.

საინიციატივო ჯგუფმა მის ხელთ არსებული დოკუმენტები, რომელიც "24 საათსაც" მიაწოდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას გადასცა შესასწავლად. როგორც ასოციაციის წევრმა თამარ კორძაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ისინი ნამდვილად სწავლობენ საინიციატივო ჯგუფის მიერ მიწოდებულ დოკუმენტებს. კორძაიას თქმით, ასოციაცია კომენტარს მხოლოდ საკითხის საბოლოოდ შესწავლის შემდგომ გააკეთებს. თუმცა, ასოციაციის იურისტმა აღნიშნა, რომ თანამშრომლების გათავისუფლება დარღვევებით მოხდა.

"თბილგაზში" კომენტარს არ აკეთებენ. კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი გვიჩიანი გუშინ "24 საათისთვის" მიუწვდომელი იყო. თუმცა კომპანიის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ კომპანიამ ნამდვილად მიმართა სასამართლოს გაკოტრების რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით. მათივე თქმით, მალე მედიის საშუალებებში კომპანია გაკოტრების რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებასაც გამოაქვეყნებს.

კიდევ ერთი დეტალი: 27 ოქტომბერს, საოლქო სასამართლოში "თბილგაზის" ახალი გენერალური დირექტორის გიორგი გვიჩიანის სასამართლო პროცესი შედგება. როგორც განაწყენებული თანამშრომლები აცხადებენ, სს "თბილგაზის" გენერალურ დირექტორად დანიშნული გიორგი გვიჩიანის წინა სამსახურებრივი მოღვაწეობა ს.ს. "თელასში", ამ ორგანიზაციისათვის მილიონ 500 ათასი ლარის ზარალის მიყენებით დასრულდა, პირადად გვიჩიანის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიება დასრულდა და საქმე არსებითი განხილვისათვის სასამართლოს გადაეცა. მიმდინარე წლის 3 მაისს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გვიჩიანის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა - პირადი სარგებლის მიღების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და იარაღის უკანონოდ ტარების გამო მას 900 ათასამდე ლარის გადახდა მოუხდა. რაიონულმა სასამართლომ გვიჩიანს მაშინ პირობითი სასჯელი მიუსაჯა. განაჩენი საოლქო სასამართლოშია გასაჩივრებული, სადაც სასამართლო სხდომა 12 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, თუმცა გუშინ პროცესი 27 ოქტომბრისთვის გადაიდო. მიუხედავად ამისა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" აცხადებენ, რომ ძიებაში მყოფი გვიჩიანის სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნა სამართალდარღვევა არ არის. **"მას უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს,"** - აკონკრეტებენ ახალგაზრდა იურისტები.

# სემეკის სხდომამ "თბილსრესს" ტარიფი დაუდგინა

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გუშინ "თბილსრესის" მოთხოვნა დააკმაყოფილა და მის სახელმწიფო ბლოკებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი გაზარდა. ამიერიდან, "თბილსრესის" მე-3, მე-4 და მე-8 ენერგობლოკების მიერ გამომუშავებული და ქსელში გაშვებული 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია 5,466 თეთრი ეღირება, მე-3, მე-4 და მე-8 ენერგობლოკების სიმძლავრის გადასახადის სახით კი "თბილსრესი" საბითუმო ბაზრიდან თვეში 604 ათას ლარამდე მიიღებს. რაც შეეხება იმ გაზის ღირებულებას, რომელიც ბლოკებს დენის გამოსამუშავებლად ესაჭიროება, "თბილსრესი" კომპანია "თბილგაზისგან" ყოველ 1000 კუბურ მეტრ გაზს 131 ლარად მიიღებს (დღგ-ს გარეშე).

კომპანია "თბილსრესმა" მომავალი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ელექტროსისტემას 1 მილიარდ 42 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია უნდა მიაწოდოს. სემეკ-ის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გეგმიური გაჩერების შემთხვევაში "თბილსრესს" დადგმული სიმძლავრისთვის დაწესებული თანხა ბაზრიდან მაინც ეკუთვნის. თუ ბლოკები "თბილსრესის" მიზეზით გაჩერდება, მაშინ სიმძლავრის კომპონენტით გათვალისწინებულ თანხას სრესი ვეღარ მიიღებს.

ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ "ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" დადგენილებაში ცვლილება მიმდინარე წლის ივლისში შეიტანა და ქსელში გაცემული 1 კვტ/სთ ელექტროენერგიისთვის "თბილსრესს" ტარიფი 5,517 თეთრიდან 5,325 თეთრამდე შეუმცირა. შემცირდა დადგმული სიმძლავრისთვის მისაღები ყოველთვიური თანხის მოცულობაც. განსაზღვრული 496 ათასი ლარის ნაცვლად, დღემდე "თბილსრესი" ყოველთვიურად მხოლოდ 255,44 ათას ლარს იღებდა.

სემეკ-ის გადაწყვეტილებას მაშინვე არ დაეთანხმნენ "თბილსრესის" ხელმძღვანელები, რადგან მიაჩნდათ, რომ შემცირებული ტარიფის პირობებში თბოელექტროსადგურს ზარალზე მუშაობა მოუწევდა.

გუშინვე, კომისიამ შპს "აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციას " (შარშან ნოემბერში" ჩინური ინვესტიციებით პანკისის ხეობაში აშენებული "ხადორჰესის" მეპატრონე კომპანია) ელექტროენერგიის წარმოების მოკლევადიანი ტარიფის მოქმედების ვადა 2005 წლის 31 დეკემბრამდე გაუგრძელა. "ხადორჰესის" ტარიფი ერთ კილოვატსაათ ენერგიაზე 6, 51 თეთრს შეადგენდა და ის ახალ წლამდე კვლავ უცვლელი დარჩება. ჰესის მეპატრონე "აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციას" მიმდინარე წლის პირველ ნოემბერს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის ვადა ეწურება. კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს სემეკში განაცხადი ახალი ლიცენზიის აღებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, 31 დეკემბრამდე მისთვის ახალი ლიცენზიის გაცემა ვერ მოესწრება.

*24 საათი*

# ჩეჩნები მესამე ქვეყნისკენ ილტვიან

*პანკისელი ჩეჩნების მესამე ქვეყანაში გადასვლის მოთხოვნა მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. მათი ყოფის შესახებ ყველა ის სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციაა ინფორმირებული, ვისაც ჩეჩენი ლტოლვილების ყოფა-ცხოვრების მოგვარება ევალება.*

თამარ მაისურაძე

1999 წელს (ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ) ხეობაში დაახლოებით 7 ათასი ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც პანკისელმა ჩეჩნებმა მესამე ქვეყანაში დაიწყეს გადასვლა, მათი რიცხვი 2 ათას 500-მდე შემცირდა. როგორც ცნობილია, ნაწილი აზერბაიჯანში გადავიდა, თუმცა არა ლტოლვილის, არამედ სტუმრის სტატუსით. ნაწილი - თურქეთში, გარკვეული რაოდენობის ოჯახი რუსეთშიც კი გადავიდა საცხოვრებლად. ზოგი მათგანი ევროპის, სკანდინავიის ქვეყნებში ჩაბარდა ლტოლვილად, სადაც ეს უკანასკნელნი აუთვისებელ მიწებზე დაასახლეს.

ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გადასვლას "გლუკ"-ი (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი) უზრუნველყოფს. მას შემდეგ, რაც ლტოლვილების უმრავლესობამ პანკისის ხეობის დატოვება გადაწყვიტა, უფრო და უფრო რთული გახდა მესამე ქვეყნის თანხმობის მიღება, რადგან ყველა ქვეყანას აქვს დაწესებული თავისი კვოტა, თუ რამდენ ლტოლვილს მისცემს თავშესაფარს. მათ შორის პრივილეგირებულნი ის ლტოლვილები არიან, რომელთა უსაფრთხოებაც დაცული არ არის, ან რომლებიც მეორე ქვეყანაში სამედიცინო დახმარებით არ არიან უზრუნველყოფილნი, ან ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები არიან. ერთადერთი "პირობა", რომელსაც მესამე ქვეყნის არც ერთი მთავრობა არ არღვევს, კრიმინალებისთვის მკაცრად გამოცხადებული უარია.

უნდა ითქვას, რომ ჩეჩენი ლტოლვილები ზემოთჩამოთვლილ ყველა "კრიტერიუმში" ჯდებიან, თუმცა მესამე ქვეყანაში ცხოვრების სურვილი ბევრი მათგანისთვის მაინც სურვილად რჩება.

ჩეჩენი ლტოლვილი, რვა შვილის დედა როზეტა ოზნიევა მესამე ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას მოხუცი დედამთილის თხოვნის გამო არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ უკიდურეს გაჭირვებაში უწევს ცხოვრება, მოხუც დედამთილს სურვილი აქვს, რომ სამშობლოში თუ არა, კავკასიაში მაინც დაასაფლავონ. ოზნიევების ოჯახი გამონაკლისია, რადგან სხვებს საქართველოს დატოვება საბოლოოდ აქვთ გადაწყვეტილი.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას ჟენევაში ვიზიტი ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურებოდა.

ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ევროპის ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის 56-ე სესიაზე ასტემიროვამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში რთული სოციალური მდგომარეობის გამო, იძულებით გადაადგილებულ პირთა 80 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ამიტომ, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა განაახლონ და გააძლიერონ ჰუმანიტარული პროექტები ამ მიმართულებით, ასევე, გაააქტიურონ ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გადაყვანის პროცესი.

მინისტრის განცხადებით, მსოფლიო თანამეგობრობის დახმარების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, იმის გამო, რომ მწვავედ დგას არა მხოლოდ დევნილების, არამედ ლტოლვილებისა და ეკომიგრანტების პრობლემები, ასევე, მიმდინარეობს მესხ რეპატრიანტთა ინტეგრაციის პროცესი.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრისა და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარ ანტონიო გუტერესის შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ "გლუკ"-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა მეგობარ და დონორ ქვეყნებთან საქართველოსთვის სახსრებისა და სხვა დამატებითი დახმარების მოძიების მიზნით.

უახლოეს მომავალში საქართველოს ეწვევა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ევროპის ბიუროს დელეგაცია, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ლტოლვილებთან და მიგრანტებთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ პრობლემებს შეისწავლის, პარალელურად კი გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ანტონიო გუტერესის საქართველოში ვიზიტს მოამზადებს.

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** საქართველოს პარლამენტის დადგენილება კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის შესახებ რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს კომიტეტის წევრს ვიქტორ ალქსნისს მეტად აღიზიანებს. "საქართველოს პარლამენტის დადგენილებას რუსეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. კონკრეტულად, ფედერაციიდან გაძევებულ იქნას საქართველოს ელჩი, ქვეყნიდან გავასახლოთ საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის მიერ საქართველოსთვის მიწოდებულ ენერგომატარებლებზე ფასები გაიზარდოს, საქართველოდან რუსეთში შემომავალი პროდუქცია მსოფლიოს სტანდარტებამდე გაძვირდეს. რუსეთმა სრულმასშტაბიანი ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები უნდა დააწესოს და საქართველოს ხელისუფლებასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს," - განაცხადა ვიქტორ ალქსნისმა **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გერმანიაში თავისი წარმომადგენელი დანიშნა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, გერმანიაში აფხაზეთის წარმომადგენლად ხიბლა ამიჩბა დაინიშნა. ის აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** გალის რაიონში იქმნება ახალი სამხედრო შენაერთი სახელწოდებით "ჯიმა", იგივე "ძმა". ბატალიონის წევრები ხელფასის სახით 1110 რუსულ რუბლს (70 ლარი) მიიღებენ. შენაერთში, ძირითადად, ქართველები იმსახურებენ, მათ ოჯახებს კი სეპარატისტული ხელისუფლება სხვადასხვა პრივილეგიებს ჰპირდება. ამასთან, ამ ჯარისკაცებმა უარი უნდა თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით ესპანეთში გაემგზავრა. გიორგი ბარამიძე ესპანეთის საგარეო პოლიტიკის გენერალურ დირექტორს რაფაელ დესკარიოს, ევროპულ საკითხებში სახელმწიფო მდივანს ალბერტო ნავაროსს, კონგრესისა და სენატის ევროკავშირის საკითხებზე მომუშავე შერეული კომისიის თავმჯდომარეს ანა პალასიოს შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში ესპანური ფონდის "ელკანოს" თაოსნობით გაიმართება კონფერენცია, რრომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო სტრუქტურების, კონგრესისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები. გიორგი ბარამიძე კონფერენციაზე სიტყვით გამოვა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის აუდიტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ქებაძემ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბეჟან ბუცხრიკიძემ განაცხადა, აუდიტორული საბჭოს თავმჯდომარემ პოსტის დატოვების სურვილი თავად გამოთქვა. "ნოდარ ქებაძე ამ თანამდებობაზე 10 წელია მუშაობს. აუდიტორთა საბჭო, ფაქტობრივად, მან ჩამოაყალიბა, რისთვისაც მას მადლობა უნდა გადავუხადოთ," - განაცხადა ბუცხრიკიძემ. 79 წლის ნოდარ ქებაძემ გაწეული საქმინობისთვის მადლობა ოპოზიციიდან და უმრავლესობიდან ერთდროულად მიიღო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი უკვე დასრულდა. 87 თანამშრომლიდან რეორგანიზაციის შედეგად 37 საშტატო ერთეული დარჩა. აქედან, 31 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა. თანამშრომელთა 35-მა პროცენტმა საატესტაციო გამოცდები ვერ ჩააბარა. თანამდებობა დატოვა სატრანსპორტო სამსახურის უფროსის მოადგილემ არჩილ კუპრეიშვილმაც. მის ნაცვლად, კონკურსის შედეგად გამარჯვებული დავით ენუქიძე დაინიშნა. მეორე მოადგილემ ზურაბ კომახიძემ თანამდებობა შეინარჩუნა. თვის ბოლოსთვის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში სიახლეები იგეგმება. თბილისში არსებულ ავტობუსის ხაზებს, შესაძლოა, რამდენიმე ახალი ხაზი დაემატოს. ასევე იგეგმება დისპეტჩერიზაციაც. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად ქართველ ბიზნესმენებს "თი-ბი-სი" ბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე უკვე 113 ათას ლარზე მეტი აქვთ გადარიცხული. როგორც საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, "თი-ბი-სი" ბანკის ანგარიშზე თანხა 14-მა კომპანიამ გადარიცხა. ისაკაძე იმედოვნებს, რომ ეს თანხა კვირის ბოლომდე კიდევ უფრო გაიზრდება. როგორც ის აცხადებს, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ჯამბულ ბაკურაძესთან ერთად ყველა მონაცემი შეჯერდება და გადაწყდება, თუ როგორ მოხდება თანხების დახარჯვა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქათმის ვირუსის გავრცელების ლოკალიზების მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, შესაძლოა, თურქეთში სამი ძვირადღირებული საინკუბაციო სპეცმანქანა შეიძინოს. როგორც პრაიმ-ნიუსს სამინისტროდან აცნობეს, ამასთან დაკავშირებით მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი თურქ კოლეგებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. მათი ინფორმაციით, საქართველოში ქათმის ვირუსის გავრცელების შემთხვევაში სპეცმანქანები მეფრინველეობის საწარმოებს მოემსახურება. არ არის გამორიცხული, მანქანების შესაძენი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პარლამენტში ჟურნალისტებს კარისკენ მიუთითებენ

## სალომე ზურაბიშვილს კი საყვედურებით ავსებენ

გიორგი ასანიშვილი

**"აღარ ვაპირებ, თავი მოვიტყუო და უაზრო მდგომარეობაში აღმოვჩნდე მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი დეპუტატი სხდომებზე არ მოდის,"** - პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ რეგლამენტის ზედმიწევნით დაცვის "ვალდებულება" გუშინ მას შემდეგ აიღო, როდესაც კვორუმის არარსებობის გამო პლენარული სხდომის გახსნა ვერ მოხერხდა. მართალია, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, კვორუმის (118) შევსებას მხოლოდ ერთი კაცი აკლდა, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარემ რეალობაზე თვალი არ დახუჭა და განაცხადა, რომ სხდომათა დარბაზში 117-ზე გაცილებით ნაკლები დეპუტატი იმყოფებოდა.

ამის შემდეგ იმ პარლამენტარების ვინაობის ძიება დაიწყო, ვისი პულტებითაც სხვა დეპუტატებმა მისცეს ხმა. "საქმის გახსნა" მანდატურის სამსახურს დაევალა, რომელმაც ნაცად მეთოდს მიმართა - სიის ამოკითხვას შეუდგა. თუმცა, "გამოძიების შედეგები" მასმედიისთვის უცნობი დარჩა - იმ მოტივით, რომ პლენარული სხდომა გახსნილი არ იყო, ჟურნალისტები სხდომათა დარბაზიდან დაითხოვეს.

როდესაც მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები შორს დაიგულეს, დისციპლინამ და რეგლამენტის დაცვის აუცილებლობამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. დახურულ კარს მიღმა საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია რუსი სამშვიდობოების შესახებ წინა დღით მიღებული გადაწყვეტილების პერიპეტიებს დაუბრუნდა. ნინო ბურჯანაძემ "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძეს ის გამონათქვამები გაუხსენა, რომლებიც უმნიშვნელოვანესი დადგენილების ნახევრად ცარიელ დარბაზში განხილვას შეეხებოდა. ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარეს არ შეეპუა და იქით დასდო ბრალი იმაში, რომ მან (სპიკერმა) უმრავლესობისა და ოპოზიციის



ოპოზიციონერი დეპუტატები პარლამენტის თავმჯდომარეს არ შეეპუენ.

გამიჯვნა ხელოვნურად მოახდინა.

ნინო ბურჯანაძეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გამოექომაგა. **"ამის თქმის მორალური უფლება არა აქვთ "ახლებს", რომელთა ლიდერიც გუშინდელი კენჭისყრის დროს სხდომას არ ესწრებოდა. როგორც ჩანს, მას უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა,"** - აღნიშნა ნადირაძემ...

ხანმოკლე კამათის დროს კვორუმი შეივსო, სხდომა გაიხსნა, ჟურნალისტებს დარბაზში დაბრუნების ნება დართეს და დეპუტატები კანონშემოქმედებით საქმიანობას შეუდგნენ. კერძოდ, პარლამენტმა 129 ხმით, 12-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი 26 მილიონი ლარით იზრდება.

რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ, პარლამენტის სხდომათა დარბაზი კვლავ დაცარიელდა, ოღონდ, ამჯერად არა სანახევროდ, არამედ თითქმის მთლიანად.

**"ეტყობა, ჩვენს კოლეგებს კანონშემოქმედებაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვთ და ამიტომ წავიდნენ,"** - მაია ნადირაძის გამონათქვამის ერთგვარი ციტირება მოახდინა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, თუმცა, მისი ირონია, ოპოზიციონერ დეპუტატებზე მეტად, საკუთარი თანაფრაქციელებისადმი იყო მიმართული.

მიხეილ მაჭავარიანის ირონია მალე განრისხებით შეიცვალა: ვიცე-სპიკერი იმან აღაშფოთა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პარლამენტში არ წარუდგენია ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენცია, რომლის რატიფიცირების ვალდებულებაც საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე აქვს აღებული. მაჭავარიანის განმარტებით, აღნიშნული ვალდებულება პირველ სექტემბრამდე უნდა შესრულებულიყო.

**"არ ვიცი, რა ენაზე უნდა დაველაპარაკო საგარეო საქმეთა სამინისტროს. ხომ არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე სტრუქტურასთან მუდმივად პრობლემები გვქონდეს? თუ საგარეო პოლიტიკური უწყება თავის ელემენტარულ მოვალეობას არ შეასრულებს და დოკუმენტს სასწრაფოდ არ წარმოადგენს, საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოში სერიოზული პრობლემები შეექმნება. მავანთა დაუდევრობის გამო, პატარა ბავშვებივით რატომ უნდა ავიტუზოთ ევროსაბჭოს დელეგაციის წინაშე?"** - ბობოქრობდა მაჭავარიანი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ მიხეილ მაჭავარიანის უკმაყოფილება იმითაც არის განპირობებული, რომ გასულ კვირაში გამართული საკომიტეტო მოსმენის დროს სალომე ზურაბიშვილმა მისთვის ელჩების გამოწვევის უფლების მინიჭება მოითხოვა.

**"თუ გინდათ, რომ კომპოსტერებად იქცეთ, თქვენი ნებაა, მაგრამ მე ამაში მონაწილეობას არ მივიღებ,"** - პარლამენტისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დაცვისკენ მოუწოდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატებს.

"კომპოსტერად გადაქცევა", როგორც ჩანს, არც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს დავით კირკიტაძეს სურს. იგი მიხეილ მაჭავარიანის გამოსვლის პათოსს მთლიანად ეთანხმება. კირკიტაძე საგარეო საქმეთა მინისტრის ქმედებებს "დაუდევარს" უწოდებს და, ახსნა-განმარტებისთვის, ბიუროს ან საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე სალომე ზურაბიშვილის მოწვევას ითხოვს.

პარლამენტში გამოთქმულ პრეტენზიებს საგარეო საქმეთა სამინისტრო გუშინვე გამოეხმაურა. მინისტრის მოადგილის ლევან გოძაშვილის განცხადებით, **"მაჭავარიანის ბრალდებები უსაფუძვლოა, რადგან დოკუმენტაციის მომზადებაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ტექნიკურმა ხარვეზებმა შეუშალეს ხელი".** გოძაშვილი არ აკონკრეტებს, "ტექნიკურ ხარვეზებში" რა იგულისხმება და მხოლოდ იმას დასძენს, რომ ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენციას პარლამენტში დღესვე წარადგენს.

# აღშფოთებული ოთხი სერგეი

პირველი გვერდიდან



სერგეი ივანოვი



სერგეი ლავროვი



სერგეი შამბა



სერგეი ბაგაფში

დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ რუსი სამშვიდობოები კონფლიქტების ზონებში დსთ-ს მანდატით და გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერით მოქმედებენ. **"სამშვიდობოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მათ მანდატს მხარს გაერო უჭერს,"** - განაცხადა მინისტრმა და ჟურნალისტებს შეახსენა, რომ გასულ წლებში სამშვიდობო ძალებმა 60 ჯარისკაცი დაკარგეს, **"ამ მსხვერპლის ფასად ისინი უზრუნველყოფენ მთავარს - სისხლისღვრის არგანახლებას".**

ამასთან, სერგეი ლავროვის მოსაზრებით, კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობოების ფუნქციონირების პოზიტიური მხარეებია - სოხუმი-თბილისის სარკინიგზო კავშირის განახლება, გალის რაიონში დევნილთა დასაბრუნებლად მუშაობის განახლება. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, სამშვიდობოების გაყვანის საკითხს აყენებს ის, "ვისაც ეს ძვრები ხელს არ აძლევს."

პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით კომენტარი ორმა აფხაზმა სერგეიმაც გააკეთა - დე ფაქტო პრეზიდენტმა ბაგაფშმა და ასევე დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა შამბამ.

სერგეი ბაგაფში აცხადებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსული სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას არ დათანხმდება. **"აფხაზეთს აქვს უფლება, რუსეთის სამშვიდობოების მანდატის შეცვლას და სამშვიდობო ოპერაციაში სხვა ქვეყნების სამშვიდობოების მონაწილეობას არ დათანხმდეს,"** - თქვა მან საქართველოს პარლამენტის მიერ სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას.

ბაგაფში იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენილი აქვს და კარგად ესმის, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს "გაუაზრებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას." **"1992-1993 წლებში ამგვარ გადაწყვეტილებას ათასობით ადამიანი ემსხვერპლა. ჩვენ ქართულ მხარეს ვაფრთხილებთ იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შესაძლოა, ამგვარ გადაწყვეტილებას მოჰყვეს,"** - ხაზგასმით მიუთითა არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ქართველ პოლიტიკოსთა მცდელობა, ამგვარი გადაწყვეტილებით მიაღწიონ სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას და ამ ოპერაციაში სხვა ქვეყნების ჩართვას, ამაოა; რუსეთის ფედერაცია ხომ სრულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

სერგეი შამბა კი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობოებს არ გაიყვანს. **"რუსეთმა, ისევე როგორც გაერო-მ, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა კონფლიქტის მოგვარებასა და რეგიონში ომის განახლების თავიდან აცილებაზე. ამიტომ, რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანა საქართველოს აგრესიული გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ რუსეთს ასეთი ფეთქებადსაშიში რეგიონიდან თავისი სამშვიდობოების გაყვანის მორალური უფლება არ აქვს,"** - განაცხადა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა და საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა - იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს პარლამენტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტის საკითხს აყენებს, ეს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს - ახალი კონფლიქტის გაჩაღების სურვილს: - **"საქართველოს საომარი განცხადებები და მისი მილიტარიზაცია ჩვენი მეზობლების აგრესიულ გეგმებზე მიუთითებს. თუ მხარე ითხოვს იმ ძალების გაყვანას, რომლებიც ომის განახლებას დაბრკოლებას უქმნის, ეს სხვას რას უნდა ნიშნავდეს."**

შამბას მოსაზრებით, თუ რეგიონში სამშვიდობოები აღარ იქნებიან, იქ ვერ იმუშავებენ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლები, ეს კი ყველა ხელმოწერილ შეთანხმებას და სამშვიდობო პროცესს ჩაშლის. **"აფხაზეთი სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას არ დათანხმდება, ხოლო საქართველოს მიერ კონფლიქტების მოგვარების შესახებ არსებული შეთანხმებების დენონსაციისა და საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხის დაყენების შემთხვევაში ჩვენ საზღვარზე საკუთარ შეიარაღებულ ძალებს დავაყენებთ,"** - ამგვარი მკაცრი პოზიცია აქვს მეოთხე სერგეის.

# პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა. როგორც დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, ამერიკელი კონგრესმენების ვიზიტის მიზანს, საქართველოში სახელმწიფო სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში ამერიკის მხრიდან დახმარების გაწევა წარმოადგენს. პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ამერიკელმა კონგრესმენებმა ის დადგენილება განიხილეს, რომელიც გუშინ, რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო. ამერიკული მხარის განცხადებით, კონგრესი აღნიშნული დადგენილების მხარდასაჭერად მზადაა, თუმცა ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ამერიკის კონგრესი საქართველოს პარლამენტისგან დადგენილებას ოფიციალურად მიიღებს. ამერიკელი კონგრესმენების განცხადებით, რუსი სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება საერთაშორისო საზოგადოების ინტერესშიც შედის - რუსეთში დემოკრატიული პროცესების განვითარების კუთხით.

*ინტერპრესნიუსი*

# მილსადენის საქართველოს მონაკვეთი პრეზიდენტებმა აამუშავეს

პირველი გვერდიდან

იგი დარწმუნებულია, რომ თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, აღნიშნული ნავთობსადენი შესაძლოა, განვიხილოთ ერთგვარ ალტერნატივად ისეთი შემთხვევებისთვის, როგორიც, მაგალითად, გასულ თვეში აშშ-ში განვითარდა და მსოფლიოში ნავთობის ფასების ზრდა გამოიწვია.

**"აღნიშნულ ნავთობსადენთან ერთად, დიდ მნიშვნელობას იძენს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის და ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. ეს პროექტები ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას,"** - აღნიშნა სეზერმა.

**"მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, აღნიშნული ნავთობსადენის ამოქმედება მაინც მოხერხდა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ასევე ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურობას და მის შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას,"** - განაცხადა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

**"დღეს მე ამაყი ვარ. ეს იყო ოცნება, რომელიც რეალობად იქცა,"** - აღნიშნა ალიევმა. მისი თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი არის საფუძველი მომავალი თანამშრომლობისა თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის.

როგორც ალიევმა აღნიშნა, იგი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას და მის მიერ გატარებულ რეფორმებს და იმედი აქვს, რომ აღნიშნული რეფორმების შემდეგ აზერბაიჯანს, საქართველოს სახით, ძლიერი და საიმედო მეზობელი ეყოლება.

ალიევმა ხაზი გაუსვა ასევე თურქეთის როლს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით და განაცხადა, რომ თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო თანამშრომლობენ და მომავალშიც გააგრძელებენ თანამშრომლობას როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროებში.

*24 საათი*

# "ბი-პიმ" "პრესტიჟის გამოცდა" ჩააბარა

პირველი გვერდიდან

**- უსაფრთხოება "ბი-პი"-სთვის პრესტიჟის საქმეა, - ეს თქვენი კომპანიის მხრიდან არაერთხელ ითქვა, მიუხედავად ამისა, ამ ერთი კვირის წინ ბაქო-სუფსის საქართველოს მონაკვეთზე ნავთობის დიდი ოდენობით დატაცებისა და დაღვრის შემთხვევა დაფიქსირდა. რა გარანტიები არსებობს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მარშრუტზე მსგავსი ფაქტები არ განმეორდება?**

- მინდა დაგარწმუნოთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გაცილებით თანამედროვედ არის აშენებული და აქ უსაფრთხოების გარანტიები გაცილებით მეტია, ვიდრე ბაქო-სუფსის შემთხვევაში. ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკას იმის გასათვალისწინებლად და იმაზე დაკვირვების ჩასატარებლად, თუ სად შეიძლება ასეთი არალეგალური ოპერაციები განხორციელდეს. რა თქმა უნდა, როცა უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: ერთი, როცა კომპანია თავად უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და მეორე - საქართველოს მხარე, სახელმწიფო, რომელიც თავადაც უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოების იმ ნაწილს, რისი ვალდებულებაც აქვს აღებული. ვალდებულებები კი ჩვენს შორის ასე განაწილდა: საქართველოს მთავრობა, უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მილსადენების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ჩვენ კი პასუხისმგებელნი ვართ კომპანიის ობიექტებზე, მაგალითად, საქაჩ-სადგურებზე და სხვა მისთანებზე.

**- უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან იყო გარკვეული პრეტენზიები ბორჯომის მონაკვეთზე. იღებს თუ არა "ბი-პი" ამ შენიშვნებს?**

- რაც შეეხება ისეთ განსაკუთრებულ რეგიონებს, როგორიც არის წალკა, ბორჯომი და კოდიანა, რაზედაც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული, ამ მხარეში განსაკუთრებული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თქვენი ქვეყნის მთავრობასთან ერთად, სპეციალური ღონისძიებები შემუშავდა. გეთანხმებით და ჩვენც ვაღიარებთ, რომ ეს მართლაც ყველაზე მგრძნობიარე მონაკვეთებია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ადგილები განსაკუთრებულად იქნება დაცული და აქ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები იქნება მიღებული.

კიდევ ერთი: როცა მილსადენი ნავთობის ან გაზის დატაცების მიზნით იხვრიტება, გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში არალეგალურ ქმედებასთან და კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე, ეს ძალიან სახიფათო და უკიდურესად საზიანოა თავად ამ კანონის დამრღვევისთვის. შესაძლოა, ამან ფატალური შედეგიც გამოიწვიოს. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ამით საფრთხე ექმნება გარემოს. კიდევ უფრო საშინელი შედეგით შეიძლება დასრულდეს, როცა საქმე გაზსადენს ეხება. ძალიან მინდა, რომ ამასთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში ამაღლდეს ცნობიერება. ეს არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მისალდენის მთლიანობა დაირღვევა, არამედ ამას შეიძლება მოჰყვეს გარემოს დაბინძურება და ფატალური შედეგი თავად ადამიანებისთვის.

**- როგორც ცნობილია, ამერიკული ნავთობკომპანია "ანადარკო" ნავთობის დაძიებით სამუშაოებს შავი ზღვის შელფზე აწარმოებს. შეიძლება თუ არა, "ანადარკო" "ბი-პის" კონკურენტად განვიხილოთ?**

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად საძიებო სამუშაოები ძალიან ადრეულ ეტაპზეა როგორც თურქეთის, ისე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე. პირველი ჭაბურღილის ამუშავება მოხდა თურქეთის შავი ზღვის ნაწილში, და აქაც, ჯერჯერობით ბურღვა არც კი დასრულებულა. ჩვენ ამ ბურღვის დასრულებას უნდა დაველოდოთ, რათა სრული შეფასება მოვახდინოთ იმისა, თუ რა პოტენციალი არსებობს ამ ტერიტორიის საბადოებზე. ჩვენთვის ცნობილია გარკვეული მინიშნებები იმისა, რომ შავი ზღვის ამ ნაწილში იყო ნავთობის რაღაც მარაგი, თუმცა რა პოტენცილაი არსებობს, ეს ჯერჯერობით უცნობია. ეს არის ძალიან სარისკო საძიებო სამუშაოები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ეს არის, გარკვეულწილად, ტესტირება და იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მართლაც ნავთობის სერიოზული მარაგები აღმოჩნდება, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება. ამ ეტაპზე პროგნოზების და რაღაც ვარაუდების გაკეთება რთულია.

**- ორივე მილსადენის ექსპლუატაციაში შესვლისა და მათი სრული დატვირთვის შემთხვევაში, შეიცვლება თუ არა სიტუაცია ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე?**

- დიახ, სიტუაცია შეიცვლება და, თანაც, არსებითად. დღეს ევროპაში ნავთობის დღიური მოხმარება 100 მილიონ ბარელს აღემატება. ჩვენი მილსადენით კი საწყის ეტაპზე დღეღამეში დაახლოებით 1 მილიონი ბარელის ნავთობის ტრანზიტი მოხდება, რაც მთლიანობაში, ევროპის საერთო მოხმარების 1 პროცენტია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეს ევროპაში ძალიან სწრაფად იზრდება ნავთობის მოხმარება და ჩვენი მილსადენით ნავთობის გატარება მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ "ბი-პი" მომავალში, ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნის ერთი მეოთხედის სრულად დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება სამხრეთკავკასიურ გაზსადენს, ის ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოსა და აზერბაიჯანის გაზით მომარაგებაზე და იმაზე, რომ მოახდინოს გაზის ექსპორტი თურქეთში. ანუ მთლიანად, ამ მილსადენით გატარებული 8 მილიარდი კუბური მეტრი გაზიდან, დაახლოებით 6 მილიარდი კუბური მეტრი წავა თურქეთზე, დანარჩენი 2 მილიარდი საქართველოს და აზერბაიჯანს მოხმარდება. სხვათა შორის, შესაძლოა არცთუ შორეულ პერსპექტივაში სამხრეთკავკასიური გაზსადენი განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი საშუალება აზიური გაზის ევროპაში გასატარებლად.

მართალია, ჯერჯერობით არ არსებობს თურქეთიდან ევროპის ბაზარზე მაკავშირებელი მილსადენი, თუმცა როგორც ჩვენთვის ცნობილია, თურქეთში იგეგმება ბულგარეთის გავლით ასეთი მილსადენის მშენებლობა. ვარაუდი, თუ რა მოცულობის ბუნებრივი აირი შეიძლება გავიდეს ევროპაში ჩვენი მილსადენის საშუალებით, ჯერჯერობით ნაადრევია, ამაზე საუბარი მხოლოდ 2012-2015 წლიდან შეიძლება დავიწყოთ.

**- კავკასიაში ახალი ენერგეტიკული დერეფნის გაჩენა არსებითად შეცვლის თუ არა რეგიონში სიტუაციას და როგორ?**

- დარწმუნებული ვარ, რომ გეოპოლიტიკური მდგომარეობა ამ რეგიონში უკვე შეცვლილია. ეს კი, პირველ რიგში, იმით გამოიხატება, რომ გაჩნდა ძალიან დიდი ინტერესი დასავლეთის მხრიდან. გარდა ამისა, უკვე დამყარდა ძალიან ბევრი სახის ურთიერთობა საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და, მთლიანად, კავკასიის რეგიონთან დასავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან, რადგან მათ აინტერესებთ ეს ახალი ენერგეტიკული კორიდორი. მილსადენების სრული დატვირთვის შემთხვევაში, ეს ინტერესი და ურთიერთობები კიდევ უფრო გაიზრდება.

ახალი ენერგეტიკული დერეფანი კავკასიაში - ეს არის რეგიონში უსაფრთხოების დამატებითი ინსტრუმენტი და, კიდევ, ეკონომიკური ეფექტი რეგიონისთვის, რასაც კავკასიის ქვეყნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**- აპირებს თუ არა უახლოეს მომავალში "ბი-პი" საქართველოში ახალი პროექტებისა და დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას?**

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთკავკასიური მილსადენის მშენებლობაზე საქართველოს ნაწილში ამ დროისთვის დახარჯულია 1 მილიარდი აშშ დოლარი, 400 მილიონი დოლარია დახარჯული დასავლეთის მარშრუტის ნავთობსადენზე. ჩვენ დასამთავრებელი გვაქვს გაზსადენის მშენებლობა და გარკვეული პერიფერიული სამუშაოები ნავთობსადენთან დაკავშირებით. შესაბამისად, გარკვეული თანხების დახარჯვა ჯერ კიდევ მოგვიწევს.

**- როგორი პარტნიორია "ბი-პისთვის" საქართველოს მთავრობა?**

- საქართველოს მთვრობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენი ურთიერთობა თქვენს ქვეყანასთან გაცილებით გაადვილდა, როცა სათავეში სააკაშვილი მოვიდა. ის პროგრესულად მოაზროვნე პრეზიდენტია და, შესაბამისად, ხელისუფლებასთან ურთიერთობის დროს პრობლემები, ფაქტობრივად, არ გვაქვს. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის რიგ საკითხებზე იყო, თუმცა ყველა შემთხვევაში კონსენსუსამდე მისვლას ვახერხებდით და საბოლოოდ ერთ აზრზე შეთანხმებაც არ გვიჭირდა.


**აზია-წყნარი ოკეანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კონფედერაციის (CACCI) საბჭოს 70-ე სხდომა და კავკასიაში პირველი აზიური ბიზნეს-ფორუმი**

Confederation of Asia-Pacific Chambers of Commerce & Industry

Georgian Chamber of Commerce and Industry

27-28 ოქტომბერს, ქ. თბილისში, სასტუმრო "თბილისი მერიოტში" ჩატარდება აზია-წყნარი ოკეანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კონფედერაციის (CACCI) საბჭოს 70-ე სხდომა და კავკასიაში პირველი აზიური ბიზნეს-ფორუმი.

დღესდღეობით CACCI-ის შემადგენლობაში 25 ქვეყნის სავაჭრო პალატა შედის. ეს ორგანიზაცია 3 მილიონზე მეტი საწარმოს ინტერესს მოიცავს. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მისი წევრი 2005 წლის თებერვალში გახდა.

27 ოქტომბერს შედგება CACCI-ის კომიტეტის 70-ე შეხვედრა, ხოლო

28 ოქტომბერს კავკასიაში პირველი აზიურ ბიზნეს-ფორუმი გაიხსნება. ფორუმს სიტყვით მიმართავენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, ჯემალ ინაიშვილი; CACCI-ის პრეზიდენტი, კ.კ. მოდი, ასევე საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავჯდომარე და კორეის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, იანგ-სუნგ პარკი.

ძირითადი მომხსენებლები იქნებიან საქართველოს მთავრობის მხრიდან ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი და CACCI-ის საპატიო პრეზიდენტი, ჯეფრი ლ.ს. კუ. პირველი პლენარული სხდომა მიეძღვნება საქართველოში საინვესტიციო და სავაჭრო შესაძლებლობებს. გამომსვლელები იქნებიან ეკონომიკური ბლოკის მინისტრები და ქართველი ბიზნესმენები. მეორე და მესამე პლენარული სხდომები მიეძღვნება საინვესტიციო და სავაჭრო შესაძლებლობებს სომხეთსა და აზერბაიჯანში. ასევე გაიმართება დისკუსია თემაზე - ცვალებადი დინამიკა აზიაში: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი.

ფორუმის მსვლელობის დეტალური პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდზე www.gcci.ge

ფორუმში მონაწილეობის მიღების მსურველები, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდნენ:

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა**
**ფაქსი: (+ 995 32) 23 00 45**
**ტელ: (+ 995 32) 29 33 75**
**ელ.ფოსტა: info@gcci.ge**

პრეცედენტი

# სიახლე უზენაეს სასამართლოში - წითელშტამპიანი კონვერტები

*მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა წლების განმავლობაში ითვალისწინებდა პატიმრობის ვადების დარღვევის შემთხვევაში დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, შეიძლება ითქვას, რომ კანონის აღნიშნული მოთხოვნა, რეფორმირებულ სასამართლოშიც კი, ფაქტობრივად, გამოუყენებელი რჩებოდა. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როდესაც პატიმარს გავლენიანი მფარველი გამოუჩნდებოდა ხოლმე. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესმა მართლმსაჯულებამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება ყოველგვარი ანგარების გარეშე გამოიტანა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოტანილი გადაწყვეტილება მომავალში ჩვეულებრივი მოსამართლეების მიერ ანალოგიური გადაწყვეტილებების გამოტანის გარანტიას იძლევა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"არ დაკმაყოფილდეს საოლქო სასამართლოს მოთხოვნა მსჯავრდებულ გიორგი ონიაშვილის პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ",** - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ გამოიტანა. ქვეყნის მთავარმა მოსამართლემ კოტე კუბლაშვილმა მსჯავრდებული გიორგი ონიაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას მძიმე დანაშაულისთვის ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, პატიმრობიდან გაათავისუფლა. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ დაადგინა, ონიაშვილის პატიმრობის ვადა, რომელიც, კანონით, 24 თვეს არ უნდა გადაცილებოდა, უხეშად დაირღვა (განსასჯელის პატიმრობაში ყოფნის საერთო ვადა, სანამ მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში შევა, არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს).

ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია უზენაეს სასამართლოს მიმართოს პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნით, ოღონდ - დასაბუთებულად უნდა ახსნას, რატომ ვერ ჩაეტია 24-თვიან ვადაში. თავის მხრივ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იმ შემთხვევაში, თუკი ჩათვლის, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე მასთან შესული წარდგინება უტყუარად არის დასაბუთებული, 24-თვიან ვადას კიდევ ექვსი თვით აგრძელებს. მსჯავრდებულ გიორგი ონიაშვილის შემთხვევაში კი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლება, 24-თვიანი პატიმრობის შესახებ, დაირღვა და მან ქვემდგომ ინსტანციას წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. შესაბამისად, მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებული გიორგი ონიაშვილი პატიმრობიდან უპირობოდ გათავისუფლდა.

ჩვენი ინფორმაციით, გიორგი ონიაშვილის წინააღმდეგ აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ ბევრი "იარა" სასამართლოდან პროკურატურაში და - პირიქით.

ეს საქმე ახმეტის რაიონულ სასამართლოში პირველად 2003 წლის 30 აპრილს შევიდა.

27 აგვისტოს დადგენილებით, საქმე დამატებითი გამოძიებისთვის დაუბრუნდა კახეთის საოლქო პროკურატურას. საქმეში არსებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ სასამართლოდან საქმე 1 ოქტომბერს გაიგზავნა და იმავე დღეს შევიდა კახეთის საოლქო პროკურატურაში. პატიმრობის ვადის საბოლოო გამოთვლისას ეს პერიოდი - 27 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე - პატიმრობის საერთო, 24-თვიანი ვადის გამოთვლისას არ გაითვალისწინეს , არადა ამ დროს პატირმობის ვადის ათვლა, კანონით, არ წყდება. (მსგავს დარღვევებს, როგორც წესი, ხშირად, ყურადღება არ ექცევა).

საბოლოოდ, 2005 წლის 10 იანვრის განაჩენით, გიორგი ონიაშვილს მართლმსაჯულებამ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა, სადაც რაიონული სასამართლოს განაჩენი კვლავ ძალაში დარჩა. მსჯავრდებულის მხარეს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება კვლავ ჰქონდა, მაგრამ გიორგი ონიაშვილის პატიმრობის ვადა იწურებოდა და, შესაბამისად, მხარეს ერთმეოდა გასაჩივრების კანონიერი უფლება. სწორედ ამიტომ მიმართა საოლქო სასამართლომ ზემდგომ ინსტანციას ვადის გაგრძელების წარდგინებით. უზენაესმა სასამართლომ კი, როგორც უკვე გითხარით, პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე უარი თქვა.

**"სასამართლო პატიმრობაში განსასჯელის ყოფნის საერთო ვადაში ითვლება პროკურატურის მიერ საქმის მიღებამდე პირის პატიმრობაში ყოფნის დროც. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია განსასჯელის სასამართლოში პატიმრობის საერთო 24-თვიანი ვადა და ვადის გაგრძელება დაუშვებელია",** - ასეთი გახლავთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არგუმენტაცია.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, უზენაესმა სასამართლომ მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებაზე ზრუნვა გარკვეული მეთოდით დაიწყო: კანონით გათვალისწინებული პატირმობის ვადები რომ არ დაირღვეს, ანუ თავის დროზე მოხდეს საქმეების გადაგზავნა სასამართლოდან პროკურატურაში და - პირიქით (რაც თვეობით ჭიანურდება ხოლმე), ამიერიდან იარსებებს ეგრეთ წოდებული წითელშტამპიანი კონვერტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი შტამპით აღნიშნული საქმე სასწრაფო წესით უნდა მივიდეს ადრესატამდე.

ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ გუშინწინ აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული ხუთი სატვირთო ავტომანქანა დააკავა. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, დაკავებისას მძღოლებმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ტვირთის წარმომავლობის დოკუმენტაცია ვერ წარუდგინეს. ავტომანქანები, ძირითადად, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით იყო დატვირთული. ტვირთს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა, რის შედეგადაც მისი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა. სამართალდამრღვევებმა, ჯარიმის სახით, ბიუჯეტში 5 700 ლარი შეიტანეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმელი, 16 წლის გოგიტა დარახველიძე და ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრები, 18 წლის ბესიკ გირკელიძე პოლიციელებმა გუშინ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. დარახველიძე და გირკელიძე ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე თავს დაესხნენ ჯემალ მგელაძეს და დანის მუქარით ცდილობდნენ მისათვის შპს "გუმბათის" კუთვნილი ავტომანქანა "მერსედესის" წართმევას. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე პოლიციელებმა თბილისელი, 44 წლის რამაზ ცხოვრებაშვილი დააკავეს. სამართალდამცველთა მტკიცებით, ცხოვრებაშვილს ჩხრეკისას 0, 164 გრამი "ჰეროინი" აღმოაჩნდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი - ნაძალადევის რაიონის თანამშრომლებმა ძარცვაში ეჭვმიტანილები - 35 წლის ზაქრო ბაშარული და 30 წლის კახაბერ ხუჭუა დააკავეს. სამართალდამცველები ბაშარულსა და ხუჭუას მოქალაქე თეა სურუაშვილისათვის მობილური ტელეფონის წართმევაში ადანაშაულებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქურდული ტრადიციების" მიმდევარი, 47 წლის გარი ამბარცუმოვი ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ამბარცუმოვმა 8 ოქტომბერს აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი მაღაზია გაქურდა. დაზარალებულს ქურდობის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებია. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისელი, "ქურდული ტრადიციების" მიმდევარი, ნასამართლევი, 22 წლის თემურ ლაბაძე, მეტსახელად "რიჟა", ყაჩაღობის ბრალდებით პოლიციელებმა დააკავეს. იგი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხა ლელა კიკალიშვილსა და თამარ ნაცვლიშვილს და დანის მუქარით გასტაცა პირადი ნივთები. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მეტროსადგურ "ახმეტელთან" ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს - თეთრიწყაროს სოფელ კოდაში მცხოვრები, 25 წლის კახა დალაქიშვილი და ნასამართლევი, 30 წლის დემურ მამულაშვილი. დალაქიშვილმა და მამულაშვილმა მცხეთაში მცხოვრებ დავით ქობულაშვილს დანის მუქარით 22 ლარი წაართვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ახალგაზრდა იურისტები - "საუკუნის პროექტის" პრობლემებზე

პირველი გვერდიდან

### "საუკუნის პროექტი" და მიწის შეძენა-კომპენსაციის პროცესი

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის ანა დოლიძის ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენმა საქართველოს მონაკვეთზე 3000-მდე მიწის მესაკუთრისა და მოსარგებლის ნაკვეთი გადაკვეთა, რისთვისაც პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ "ბი-პი"-მ მიწის ნაკვეთებზე მუშაობის უფლების მოპოვებისთვის შესაბამისი კომპენსაციები გასცა. დოლიძისვე ცნობით, მართალია, მიწის მესაკუთრეების გარკვეული ნაწილი გაცემული თანხის ოდენობით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მესაკუთრეთა გარკვეულ ნაწილს დღემდე ვერ მოუგვარებია "ბი-პი"-სთან შექმნილი პრობლემები. კერძოდ, მილსადენის სამშენებლო კომპანიების მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე უნებართვოდ შესვლასა და მილსადენის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას; ასევე, მილსადენის სამშენებლო კომპანიებმა არაერთხელ დააზიანეს სამშენებლო დერეფნის გარეთ მოხვედრილი ნაკვეთებიც. ანა დოლიძის თქმით, იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც მიწის მესაკუთრეებმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს მილსადენის სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლების მიერ მათ ნაკვეთებზე მდგარი მრავალწლოვანი ხეების გაკაფვის ფაქტები. სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს მრავალი მიწის მესაკუთრე დარჩა სარწყავი არხისა და ნაკვეთთან მისასვლელი სამანქანო გზის გარეშე. აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოვლინდა მსხვილფეხა პირუტყვის დაღუპვის ფაქტებიც. თუმცა, ნავთობსადენის მშენებლობაზე მომუშავე კომპანიები ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილ ყველა პრობლემაზე პასუხისმგებლობას იხსნიან.

### "საუკუნის პროექტი" და დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები

ახალგაზრდა იურისტების აზრით, "საუკუნის პროექტმა" იმედები გაუცრუა საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც აღნიშნულ პროექტში დასაქმების და შესაბამისი ანაზღაურების მიღების იმედი ჰქონდა. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, დანაპირების ნაცვლად, მილსადენის კომპანიის ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, პროექტში, დაახლოებით, 4500 ადამიანი დასაქმდა, რომელთა ანაზღაურება ც "საქართველოს შრომის კოდექსის" სრული იგნორირებით ხდება. არადა, ამ კანონის დაცვა მილსადენის სამშენებლო კომპანიებს ხელშეკრულებით ევალებოდათ.

**"სამშენებლო კომპანიების სახელფასო მატრიცის თანახმად, მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებული პირებისათვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება წარმოადგენს საათში 0,75 ლარს. საათობრივი ანაზღაურების სიმცირის გამო, თითქმის, ყველა დაქირავებული მუშაკი, იმისათვის, რომ თვის ბოლოს 600-700 ლარი მიიღოს, "საკუთარი ნებით" ასრულებს ზეგანაკვეთურ სამუშაოს. მათ, ნაცვლად ხელშეკრულებით დადგენილი შვიდი საათისა, ხშირად დღეში 11-14 საათის განმავლობაში უწევთ მუშაობა, რათა შედარებით გაზარდონ თვიური ანაზღაურების ოდენობა,"** - ამბობენ მონიტორინგის ჯგუფის წევრები.

### "საუკუნის პროექტი" და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

როგორც ცნობილია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ გაითვალისწინა შესაბამისი დარგის ექსპერტების რეკომენდაცია და გამოყო თანხები მილსადენის დერეფნიდან 50 მ-ში მდებარე ტაძრის - წმინდა გიორგის ეკლესიის (ბორჯომის რაიონი) რეკონსტრუქციისათვის. თუმცა, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების სამართლებრივი მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორმა ქეთევან კვინიკაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კვლავ გადასაჭრელია იმ ისტორიული ძეგლების დაცვის საკითხი, რომლებიც "საუკუნის პროექტის" სამშენებლო დერეფანთან საკმაოდ ახლოს მდებარეობენ. ესენია - ახალციხის რაიონში მდებარე აწყურის ციხე, ბორჯომის რაიონში მდებარე საკირეს ციხე-დარბაზი და თეთრიწყაროს რაიონში მდებარე ნადარბაზევის კომპლექსი, რომლებიც მშენებლობის დაწყების შემდეგ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

### "საუკუნის პროექტი" და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური კატასტროფები

ახალგაზრდა იურისტები ამტკიცებენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა გარკვეულ ტერიტორიაზე სტიქიის გააქტიურების კატალიზატორად გადაიქცა. მათ მაგალითად მოჰყავთ 2005 წლის 3 ოქტომბერს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოსთან მილსადენიდან, დაახლოებით, 60 ტონა ნავთობის დაღვრის ფაქტი.

რაც შეეხება სტიქიის გააქტიურებას, ისინი მეწყერსაშიშ ზონაში მდებარე ბორჯომის რაიონის სოფელ დგვარის პრობლემას გვახსენებენ. მართალია, სოფელ დგვარის გადასახლების საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იდგა, მაგრამ, დგვარელების განცხადებით, მეწყერული მოვლენები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან ერთად საგრძნობლად გახშირდა. მათი თქმით, დღითიდღე მატულობს სახლების დანგრევისა და მიწის ნაკვეთების მოწყვეტის ფაქტები, სახლების აბსოლუტური უმრავლესობა საცხოვრებლად უვარგისია, რაც მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, ახალგაზრდა იურისტთა ასოცოაცია კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას და პროექტის განმახორციელებელ კომპანიებს, რომ **"უმოკლეს დროში მოაგვარონ ნავთობსადენის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების პრობლემები. სწორედ ამის შემდეგ იქცევა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი საუკუნის პროექტად ჩვეულებრივი ადამიანებისთვისაც".**

# გერმანულ-ქართული კომპანია - ნოვაცია საადვოკატო მომსახურებაში

*საადვოკატო მომსახურებაში სიახლეა - გერმანიაში ერთ-ერთმა პრესტიჟულმა საადვოკატო კომპანიამ საქართველოში ფილიალი დააფუძნა. გერმანულმა საადვოკატო ფირმამ, "ოლტმანსი, კანდელჰარდი და ბიუზინგი", ბიზნესის ტრანსსაზღვრული დაცვის ეფექტური მექანიზმი შეიმუშავა. "ადვოკატები საზღვრების გარეშე", პირობითად, ასე შეიძლება ეწოდოს გერმანელი იურისტების მიერ შექმნილ საადვოკატო მომსახურების ევრაზიულ ქსელს, რომლის სრულუფლებიანი წევრი ქართული იურიდიული ფირმა "ხაჭაპურიძე და მდინარაძე" გახდა. საერთაშორისო საადვოკატო კორპორაციის სათაო ოფისი ბრემენში იქნება.*



მამუკა მდინარაძე

გერმანიასა და, საერთოდ, ევროპაში ცნობილი ადვოკატები იოჰან ოლტმანსი და რონალდ კანდელჰარდი რამდენიმე დღის წინ თბილისში იმყოფებოდნენ, ქართველი პარტნიორების უკეთ გასაცნობად და თანაც - ახალი ქართული კომპანიის დასაფუძნებლად. **"საქართველოს კარგად ვიცნობ, აქ მყავს მეგობრები, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა. წლების წინ საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმაშიც მივიღე მონაწილეობა, გახლდით ექსპერტთა ჯგუფის წევრი, რომელიც საპროცესო კოდექსის შექმნაზე მუშაობდა. ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავს და, საერთოდ, ბრემენი ეს არის ქართველი და გერმანელი იურისტების სამეგობრო ქალაქი, სადაც, სხვათა შორის, ამჟამად ლადო ჭანტურია იმყოფება. მეგობრული ურთიერთობა, რომელიც წლების წინ ჩაისახა, გვინდა, გარდავსახოთ პრაქტიკულ საქმიანობაში და ქართველ იურისტებთან ერთად შევქმნათ საადვოკატო კორპორაცია",** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა გერმანელმა იურისტმა იოჰან ოლტმანსმა. მისი თქმით, გერმანელი იურისტების საქართველოთი დაინტერესება გერმანელი ბიზნესმენებისგან მოდის. **"საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხს ვათვალიერებდი და აღმოჩნდა, რომ პროდუქცია, რომლის რეკლამირებაც ტელევიზიით მიმდინარეობს, ძირითადად, გერმანული წარმოებისაა. გერმანია არის ქვეყანა, რომელიც საქართველოში ყველაზე მეტ ინვესტიციას დებს. საქართველოში ძალზე დიდი რაოდენობით გერმანული პროდუქცია შემოდის და ამ პროდუქციას დაცვა ესაჭიროება, უფრო ზუსტად, დაცვა ესაჭიროებათ მათ მწარმოებლებს. საქართველოში საადვოკატო კომპანიის შექმნა ჩვენმა კლიენტურამ მოგვთხოვა. საქმე ისაა, რომ გერმანიაში სერიოზულ ბიზნესმენებს ინტერესი გაუჩნდათ, საქართველოში სხვადასხვა სფეროში ჩადონ ინვესტიციები. მათ გვთხოვეს თავიანთი ბიზნესინტერესების იურიდიული დაცვა. ამისთვის აუცილებელია საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, რისთვისაც ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობაა საჭირო, რადგან საქართველოში არსებულ კანონმდებლობას ჩვენ არ ვიცნობთ. გერმანაში მათ ინტერესებს ჩვენ დავიცავთ, საქართველოში კი ამ ფუნქციას ჩვენი ბიუროს ქართველი თანამშრომლები განახორციელებენ",** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა იოჰან ოლტმანსმა.

ახლად დაფუძნებული გერმანულ-ქართული საადვოკატო კომპანია მხოლოდ გერმანელი ბიზნესმენების ინტერესების დაცვაზე არ იზრუნებს. თანამშრომლობა ორმხრივი ხასიათისა იქნება. ევროპაში ცნობილი გერმანელი ადვოკატები დაიცავენ ქართველი ბიზნესმენების ინტერესებს გერმანიაში და ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, სადაც მათი ოფისებია გახსნილი. ჯერჯერობით საუბარია - ჰოლანდიაზე, საფრანგეთზე, ინგლისსა და აზერბაიჯანზე.

**"ჩვენ გთავაზობთ პარტნიორობას, სწორედ ეს არის ჩვენი გაერთიანების საინტერესო მხარე - ჩვენ დავიცავთ ქართველი ბიზნესმენების ინტერესს გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, აზერბაიჯანში. ყველანაირ პრობლემაში, რომელიც იურიდიულად გადასაწყვეტი აღმოჩნდება, მათ პროფესიულ საადვოკატო მომსახურებას გავუწევთ",** - აცხადებს კომპანიის მეორე დამფუძნებელი რონალდ კანდელჰარდი.

სიახლეა ისიც, რომ გარდა ქართველი ბიზნესმენებისა, გერმანელი ადვოკატები ნებისმიერ სამართლებრივ პრობლემას არსებობისას საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ინტერესებსაც დაიცავენ როგორც სამოქალაქო საქმეებზე, ასევე, სისხლის სამართლის პრობლემების არსებობის შემთხვევაშიც და ყველა ზემოთ ნახსენებ ქვეყანაში.

**"გერმანელმა ადვოკატებმა თავად გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი, არჩევანი ჩვენზე შეაჩერეს, რადგან მათთან პრაქტიკას გადის ჩემი პარტნიორი მაკა ხაჭაპურიძე. გერმანელმა ადვოკატებმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა მოაწყვეს, შეამოწმეს რამდენად კომპეტენტურები ვიყავით და ამის შემდეგ გაფორმდა ხელშეკრულება. ეს არის სრულიად ახალი ტიპის მომსახურება, რომელსაც საქართველოში პრეცედენტი არ აქვს. გერმანელები მოემსახურებიან საქართველოს მოქალაქეებს და, პირიქით, საქართველოში ჩვენ დავიცავთ უცხოელი ბიზნესმენების ინტერესს. ქართველ ბიზნესმენებს მოემსახურებიან გერმანელი ადვოკატები. სხვათა შორის - საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში. უპრეცედენტოა ის ფაქტიც, რომ ისინი დაიცავენ არამხოლოდ ბიზნესმენთა ინტერესებს. სამწუხაროდ, ნახევარი საქართველო გერმანიაშია გადახვეწილი და ქართველ არალეგალებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ. გერმანელ კოლეგებს მათი ინტერესების დაცვაზე ზრუნვაც შევთავაზეთ და დავითანხმეთ ამ მომსახურებაზე; ანუ, გარდა სამოქალაქო საქმეებისა, ისინი სისხლის საქმეებზეც განახორციელებენ დაცვას",** - აცხადებს ქართული ოფისის გენერალური დირექტორი, ადვოკატი მამუკა მდინარაძე.

**"მე უკვე მეოთხედ ვარ საქართველოში და ზუსტად ვიცი, რა ხდება თქვენს ქვეყანაში. საერთოდ, ჩვენთვის უცნობი არ გახლავთ აქ არსებული სიტუაცია, რადგან ნახევარი გერმანია, ფაქტობრივად, იგივე გზას გადის, რასაც თქვენ. ნახევარი გერმანია ახლაც ცდილობს, ძველი საბჭოთა კავშირის ეკონომიკა დასავლეთ ევროპის ეკონომიკას გაუტოლოს. ეს ძალიან რთული პროცესია და დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. ჩვენ, თითქმის, ფეხით შემოვიარეთ თბილისი, სხვა რამდენიმე ქალაქი, გავეცანით არსებულ სოციალურ პირობებს და გვინდა, ჩვენი პროექტი საქართველოში წარმატებით ავამუშაოთ",** - ასეთია საქართველოში ახლად დაფუძნებული საერთაშორისო კომპანიის ერთ-ერთი მფლობელის, გერმანელი ადვოკატის, იოჰან ოლტმანსის აზრი.

# თავდასხმების შედეგად ოთხი ქართველი დაიჭრა

გუშინწინ, ღამით გალის რაიონის რამდენიმე სოფელში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმების შედეგად ოთხი ადამიანი დაიჭრა.

თავდასხმები განხორციელდა სოფლებში - ხუმუშქურში, განახლებასა და ქვემო ბარღებში. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ხუთი ნიღბიანი რამდენიმე ქართველის ოჯახს დაესხა თავს, თხილის მოსავლის წართმევის მიზნით. შეხლა-შემთხვევის დროს დაიჭრა ქართველი ეროვნების ოთხი მოქალაქე. მათ შორის ერთი ქალია. სამი მამაკაცი - ხურცილავა, სამუშია და ერანგია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ხურცილავების ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქალი გალის სავადმყოფოში მოათავსეს.

წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელები ქართულ-აფხაზური შერეული კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. სამივე ოჯახის დაყაჩაღება ერთმანეთის მიყოლებით განხორციელდა.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლები მომხდარ ფაქტებს ადასტურებენ და აცხადებენ, რომ აფხაზური მილიცია ყველაფერს აკეთებს, ყაჩაღთა ადგილ-სამყოფელის დასადგენად და მათ დასაკავებლად.

ქართველი სამართალდამცველები დამნაშავეთა დაკავების ოპერაციაში ვერ მონაწილეობენ, რადგან ყაჩაღობა აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, აღნიშნულ ყაჩაღურ დაჯგუფებას გალის რაიონში აქამდეც არაერთი თავდასხმა აქვს განხორციელებული. მათივე ინფორმაციით, რამდენიმე ყაჩაღი სუფთა რუსულით საუბრობს და თავს აფხაზური მილიციის წარმომადგენლად აცხადებს. გალის აფხაზური ადმინისტრაცია კი კრიმინალურ ჯგუფთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს.

*ინტერპრესნიუსი*

# რეკეტში ეჭვმიტანილი ადგილზე მოკლეს

მუხიანის დასახლებაში, დუმბაძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა. მოკლულია ეჭვმიტანილი თამაზ კურკუმული. სპეცოპერაცია გუშინ ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სპეცდანიშნულების რაზმის თანხლებით ჩაატარეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, კურკუმული ეჭვმიტანილი იყო რეკეტში. იგი წარსულში რამდენჯერმეა ნასამართლევი, მათ შორის ერთხელ სასჯელს იხდიდა უკრაინაში. სამართალმცველთა ინფორმაციით, კურკუმულმა ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნა. სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთ წევრს მოხვდა კიდეც ნასროლი ტყვია, თუმცა იგი ჯავშანჟილეტის საშუალებით გადარჩა. ეჭვმიტანილი ადგილზეა ლიკვიდირებული. მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი.

*ინტერპრესნიუსი*

# დაავადებული პატიმარი საპყრობილეში რჩება

"იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის N4 საპყრობილეში მყოფი შიდსით დაავადებული პატიმრის რევაზ მიქავას ჯანმრთელობის მდგომარეობა არ საჭიროებს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას", - აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში ჩატარებული კვლევის თანახმად, მიქავა აივ-ინფექცია/შიდსის ვირუსის მატარებელია. დღეისათვის მას რესპირატორული დაავადება ანუ გრიპი აქვს, რამაც სხეულის ტემპერატურის მომატება გამოიწვია.

მიქავა 2005 წლის 21 ივლისს არის დაკავებული. მას სამართალდამცველები 1996 წლის 27 აგვისტოდან ყაჩაღობის ბრალდებით ეძებდნენ.

*მედიანიუსი*

# სადამ ჰუსეინისგან ქრთამს ფრანგებიც იღებდნენ

ნანა ნასყიდაშვილი

*გაერო-ს მიერ სპეციალურად ერაყისთვის შემუშავებული პროგრამის, "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", გარშემო დაწყებული კორუფციული სკანდალი გრძელდება.*

კვირის დასაწყისში პარიზში დააკავეს გაერო-ში საფრანგეთის ყოფილი წარმომადგენელი ჟან ბერნარ მერიმე. 68 წლის დიპლომატს გაერო-სთან მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს. გარკვეული დროის განმავლობაში ის გაერო-ში საფრანგეთის წარმომადგენელი იყო, ხოლო 1992-2002 წლებში მერიმე ევროპის საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის მრჩევლად მუშაობდა. დაკავებულ პოლიტიკოსს ბრალი კორუფციაში ედება. გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, მერიმე ჰუსეინის რეჟიმისგან ეგრეთ წოდებულ ნავთობის ვაუჩერებს პირადად იღებდა. ამ ვაუჩერებით პოლიტიკოსს ერაყის ნავთობის შეძენის საშუალება ეძლეოდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მსგავსი დანაშაულის ჩადენაში საფრანგეთის კიდევ ათი მოქალაქეა ეჭვმიტანილი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საქმეთა გამოძიებას აწარმოებს არა გაერო-ს საგამომძიებლო კომისია, არამედ საფრანგეთის პოლიცია, მოსამართლე ფილიპ კურუას ხელმძღვანელობით. ამის მიზეზი ისაა, რომ დამნაშავეთა ქმედებები ფრანგულ ნავთობკომპანია "ტოტალ"-ის საქმიანობაში აღმოჩენილ დარღვევებთანაა დაკავშირებული. მოსამართლე კურუამ თერთმეტ ფრანგ მაღალჩინოსანზე კომპრომატები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გაერო-ს კოლეგებისგან მიიღო. თუმცა, მოსამართლემ ფრანგულ ნავთობკომპანია "ტოტალ"-ის საქმიანობაში აღმოჩენ-




*რუსეთთან ერთად ერაყში კოალიციის შეჭრას საფრანგეთიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.*

ილ დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარება დამოუკიდებლად ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო.

ამჟამად სასამართლოში საქმე კორუფციაში ეჭვმიტანილ ხუთ ადამიანზეა აღძრული - კერძოდ, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ სერჟ ბუადევოზე, ბიზნესმენ კლოდ კასპერზე, საფრანგეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველ შარლ პასკუალ ბერნარ გილესა და ორგანიზაცია "ერაყისა და საფრანგეთის მეგობრობის" თავჯდომარე ჟილ მუნეზე.

საგულისხმოა, რომ ამერიკელი პოლ ვოლკერის დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ გაერო-ს პროგრამის, "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიება ერთი თვის წინ დაასრულა. კვლევის დასრულების შემდეგ პოლ ვოლკერის კომისიამ გაერო-ს პროგრამის მუშაობაში აღმოჩენილ დარღვევებში თვით გაერო-ს უშიშროების საბჭო დაადანაშაულა და საკუთარი მუშაობის შემაჯამებელი ოქმიც გამოაქვეყნა. კომისიამ დაადგინა, რომ ერაყის ყოფილმა ლიდერმა, მხოლოდ საკომისიოების სახით, 226 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. აღნიშნული თანხის მესამედი მას ეგვიპტის, საბერძნეთის, იტალიის, რუსეთის, შვეიცარიის, სირიის, თურქეთის, ვიეტნამისა და მალაიზიის წარმომადგენლებმა პირადად გადასცეს. კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ოქმში მითითებულია, რომ რუსულმა კომპანიებმა 2001-2002 წლებში 52 მილიონამდე აშშ დოლარი ერაყელი მაღალჩინოსნების საბანკო ანგარიშებზე გადარიცხეს. ვოლკერის კომისიამ მის მიერვე გამოქვეყნებულ ოქმში გაერო-ს რამოდენიმე თანამშრომელი, კერძოდ ისინი, ვინც ერაყის ნავთობის გაყიდვის ოპერაციებს კურირებდა, კორუფციაში დაადანაშაულა. ბრალდებულთა შორის არიან - პროგრამის, "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ბენონ სევანა და გაერო-ს შესყიდვათა სამსახურის თანამშრომელი ალექსანდრა იაკოვლევიც.

ერაყის ნავთობის გარშემო დაწყებულ სკანდალში რუსი პოლიტიკოსების სახელებიც ფიგურირებს. ერაყის გაზეთმა "ალ-მადა"-მ 2002 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სადამ ხუსეინის ხელისუფლებას ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებით 46 ქვეყნის, მათ შორის - რუსეთისა და საფრანგეთის, 270-მდე ორგანიზაციასა და კერძო პირთან ჰქონდა შეთანხმება გაფორმებული. რუსეთში ჰუსეინის რეჟიმის მთავარ პარტნიორებად არამარტო პოლიტიკური პარტიები (ლიბერალ-დემოკრატიული, კომუნისტური და ა.შ), არამედ თავად კრემლი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ითვლებოდნენ.

გასული წლის შემოდგომაზე ამერიკის სენატის სპეციალურმა კომიტეტმა გაერო-ს პროგრამის მუშაობაში აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიების წარმოებისას რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ვლადიმერ ჟირინოვსკის და კრემლის ადმინისტრაციის ყოფილ ხელმძღვანელს ალექსანდრ ვოლოშინს აღნიშნული პროგრამიდან უკანონო შემოსავლების მიღებაში დასდო ბრალი. თუმცა, მაშინ ორივე პოლიტიკოსმა უარყო მათ მიმართ წაყენებული ბრალდება.

# მკვლელობიდან თვითმკვლელობამდე

სირიის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავი მოიკლა

*ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის საქმეზე გაერო-ს გამომძიებელთა ანგარიშის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სირიის შინაგან საქმეთა მინისტრი საკუთარ კაბინეტში მკვდარი იპოვეს. სირიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "სანა"-ს გავრცელებული ცნობით, კაცმა, რომელიც წლების განმავლობაში ლიბანში სირიის განუზომელ გავლენას უზრუნველყოფდა, თავი მოიკლა.*

წინასწარი ვერსიით, სირიელმა გენერალმა ღაზი ქანაანმა თავი მოიკლა. სირიის მთავრობამ გლოვა გამოაცხადა, თუმცა შემთხვევის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებაზე ოფიციალური პირები თავს იკავებენ. **"ჯერჯერობით, ჩვენ არ ვიცით (თვითმკვლელობის) მიზეზი, მაგრამ იმედია, ჩვენი გამოძიება მალე გვეტყვის მის შესახებ..."** - განაცხადა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" ეთერში სირიის ინფორმაციის მინისტრმა მაჰდი დახლ-ალაჰმა. მისივე თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყანაში სტაბილურობა შენარჩუნებული იქნება.

როგორც სააგენტო "სანა" აღნიშნავს, ქანაანი სექტემბერში ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის საქმეზე მომუშავე გაერო-ს სპეციალური კომისიის წარმომადგენლებმა დაკითხეს. შეგახსენებთ, ცნობილი ანტისირიელი მოღვაწე მიმდინარე წლის თებერვალში ტერაქტის შედეგად დაიღუპა. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ლიბანში მასობრივი გამოსვლები დაიწყო, რამაც ქვეყნიდან სირიის სამხედრო ძალების გაყვანა გამოიწვია.

ჰარირის მკვლელობაში თავიდანვე ეჭვი სირიის სპეცსამსახურებზე მიიტანეს. თუმცა, დამასკო დღემდე უარყოფს ლიბანელი მოღვაწის წინააღმდეგ ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებას.

აღსანიშნავია, რომ გასულ თვეში ჰარირის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ოთხი პროსირიულად განწყობილი ლიბანელი გენერალი დააპატიმრეს.

სიკვდილამდე საათნახევრით ადრე ქანაანმა ინტერვიუ მისცა რადიოსადგურ "ლიბანის ხმას", სადაც კატეგორიულად უარყო ლიბანურ მედია-საშუალებებში გავრცლებული ინფორმაცია. **"ჩემი ჩვენება... მიზნად ისახავდა იმ პერიოდისთვის ნათელის მოფენას, როცა მე ლიბანში ვმსახურობდი,** - განაცხადა ქანაანმა, - **სამწუხაროდ, ზოგიერთმა მედიასაშუალებამ სიცრუე გაავრცელა, რითაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა."** მან აგრეთვე უარყო, რომ თითქოსდა გაერო-ს კომისიას ჰარირის მიერ მისთვის გამოწერილი საბანკო ჩეკები უჩვენა.



*ღაზი ქანაანის სიკვდილი კიდევ უფრო ართულებს ჰარირის მკვლელობის გახსნას.*

ინტერვიუში სირიელმა გენერალმა, აგრეთვე განაცხადა, რომ სირია ყოველთვის მხოლოდ ლიბანის ინტერესებს იცავდა, ხოლო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაფუძნებული იყო "სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე".

ინტერვიუ ქანაანმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: **"ვფიქრობ, ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვებია."**

ქანაანის სიკვდილი კიდევ უფრო მატებს გაურკვევლობას ჰარირის მკვლელობის საქმეს. აღსანიშნავია, რომ ღაზი ქანაანი 1982-2002 წწ. ლიბანში სირიის სამხედრო დაზვერვას მეთაურობდა და, როგორც ამბობენ, უმთავრეს ფიგურად ითვლებოდა, ვინც ლიბანში სირიის გავლენას უზრუნველყოფდა. შემდგომში იგი სირიის პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, ხოლო შარშან შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩაუდგა სათავეში.

*24 საათი*

## მოკლედ

### სერგეი მირონოვი: დსთ-ს რეფორმირება არ სჭირდება

ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეფორმირების აუცილებლობას ვერ ხედავს.

"დსთ-ს საფუძვლიანად რეფორმირება კი არ არის აუცილებელი, პირიქით, თანამეგობრობის შიგნით ბოლო დროს მუშაობა მნიშვნელოვნად გააქტიურდა", - აცხადებს მირონოვი. მისივე თქმით, რუსეთისთვის დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია; "ისინი ჩვენი მეზობლები არიან და უმრავლესობა ჩვენი გულწრფელი მეგობარია," - აცხადებს სერგეი მირონოვი და იმედს გამოთქვამს, რომ თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობა უფრო გააქტიურდება. **მედიანიუსი**

### აშშ დანგრეულ პაკისტანს დახმარებას ჰპირდება

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი განაგრძობს ტურნეს აზიის ქვეყნებში. გუშინ ის პაკისტანს ეწვია და მიწისძვრით დაზარალებულ ქვეყანას ამერიკის გრძელვადიან დახმარებას დაჰპირდა. რაისი შეხვდა პაკისტანის ლიდერებს და გამოთქვა ვარაუდი, რომ მიწისძვრის შემდეგ პაკისტანისთვის განკუთვნილი თავდაპირველი დახმარება - 50 მილიონი დოლარი - კიდევ უფრო გაიზრდება. ოფიციალური ინფორმაციით, პაკისტანში შაბათს მომხდარმა მიწისძვრამ, სულ ცოტა, 23 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (არაოფიციალური განცხადებებით, მსხვერპლის რიცხვმა 42 ათასს გადააჭარბა), დაჭრილების რიცხვი 50 000-ს აღემატება. პაკისტანში ჩასვლამდე კონდოლიზა რაისი ავღანეთს სტუმრობდა და გუშინ ქაბულში ავღანეთის მიერ ბოლო 4 წლის მანძილზე მიღწეული პოლიტიკური პროგრესი შეაქო, რომელიც თალიბანის რეჟიმის დამხობას მოჰყვა. რაისი აზიაში, 3-დღიანი ტურნეს ჩარჩოებში, ყაზახეთს და ტაჯიკეთსაც ეწვევა. **24 საათი**

### დატბორილი ახალი ორლეანი დააშრეს

ამერიკელმა სამხედრო ინჟინრებმა ახალი ორლეანის დაშრობა მოახერხეს. შეგახსენებთ, აგვისტოს ბოლოს ქარიშხალმა "კატრინამ" ზღვის დონეზე დაბლა მდებარე ახალი ორლეანის მთლიანად დატბორვა გამოიწვია.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის განცხადებით, დატბორილი ქალაქიდან მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი წყალი ამოტუმბეს. აღსანიშნავია, რომ სამხედროებმა სამუშაოების დასრულება ჯორჯ ბუშის ახალ ორლეანში ჩამოსვლამდე მოასწრეს. ქარიშხალ "კატრინას" შედეგად ახალი ორლეანის ტერიტორიის 80 პროცენტი წყალქვეშ აღმოჩნდა. მოგვიანებით, ქარიშხალმა "რიტამ" დაანგრია რამდენიმე ადგილას წყალსაცავი ნაგებობები. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი მთლიანად დამშრალია, მის ზოგიერთ რაიონში ცხოვრება კვლავინდებურად შეუძლებელია. ქალაქში შეზღუდულად მუშაობს ვაჭრობის ობიექტებიც. **ბი ბი სი**

### ჩინეთი კოსმოსის ათვისებას განაგრძობს

ჩინეთმა კოსმოსში გაუშვა ხომალდი, რომელშიც კოსმონავტები იმყოფებიან. ეს არის უკვე მეორე, ეკიპაჟიანი კოსმოსური მისია ჩინეთის ისტორიაში. ამჯერად გაუშვეს ორი კოსმონავტი - საბრძოლო თვითმფრინავების ყოფილი პილოტები - მისიით, რომელიც 5 დღე გასტანს. გუშინ კოსმოდრომზე კოსმოსური ხომალდის გაშვების ცერემონიას დაესწრო პრემიერ-მინისტრი ვენ ძიაბაო. "ჩინეთის კოსმოსური პროგრამა მხოლოდ სამშვიდობო მიზნებს ემსახურება. ამავდროულად, იგი არის ჩვენი წვლილი მეცნიერებასა და მშვიდობაში კაცობრიობის წინსვლის საქმეში. გვსურს, ვითანამშრომლოთ მსოფლიოს ხალხებთან კოსმოსით მშვიდობიანად სარგებლობისათვის," - განაცხადა ძიაბაომ. შეგახსენებთ, ორი წლის წინ ჩინეთმა წარმატებით გაუშვა კოსმოსში პირველი კოსმონავტი. **24 საათი**

### რუსეთში ჩეჩნების მკვლელობა დანაშაულად არ ითვლება

დონის როსტოვში ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებული რუსეთის შინაგანი ჯარების ოფიცრები კვლავ გაამართლა. სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს, რომლებმაც ლეიტენანტი ევგენი ხუდიაკოვი და უმცროსი ლეინტენანტი სერგეი არაკჩეევი უდანაშაულოდ ცნეს.

ბრალდების მონაცემებით, 2003 წლის იანვარში სპეცოპერაციის დროს, გროზნოში მათ შემოწმების მიზნით, სატვირთო ავტომანქანა "კამაზი" გააჩერეს, რომელშიც სამი ჩეჩენი მშენებელი იმყოფებოდა. ოფიცრებმა "კამაზში" მსხდომნი დახოცეს, ავტომანქანა კი გვამებიანად დაწვეს.

2004 წლის ივნისში ხუდიაკოვი და არაკჩეევი ჩრდილო კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ ნაფიც მსაჯულების ვერდიქტის საფუძველზე გაამართლა. თუმცა, რუსეთის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გამამართლებელი განაჩენი გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისთვის დააბრუნა. სამხედრო კოლეგიამ სამი ჩეჩენის მკვლელობის ფაქტი დამტკიცებულად ჩათვალა. ნაფიც მსაჯულებს კი მიაჩნიათ, რომ ხუდიაკოვი და არაკჩეევი დანაშაულის ადგილას არ იმყოფებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### ავღანეთში ტერაქტები გრძელდება

ავღანეთში 11 ადამიანი მოკლეს, მათ შორის - ავღანური ჰუმანიტარული ორგანიზაციის 5 ადგილობრივი მუშაკი, რომელთაც თავს დაესხნენ ქალაქ ყანდაარის მახლობლად; დაიჭრა ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ამავე ორგანიზაციის 3 თანამშრომელი. წინა დღეს ურუზგანის პროვინციაშიც მოკლეს 6 პოლიციელი. გუშინ ქაბულში რაკეტები დაუშინეს კანადის ელჩის რეზიდენციას. როგორც იუწყებიან, არავინ დაშავებულა. გუშინვე ამერიკელმა სამხედროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ამერიკულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა დაბომბეს თალიბების თავშესაფარი ურუზგანის პროვინციაში და 10 მეამბოხე მოკლეს. **რადიო თავისუფლება**


საქმე N2/86-05

## თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

## განჩინება

### გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

*ქ. თბილისი, 12 ოქტომბერი, 2005 წ.*

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის დ. ვარდიაშვილის 06.10.05-ის N11/3285 განცხადება სს "თბილგაზის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ და ქალაქ თბილისის პრემიერის თ. ქურხულის 06.10.2005-ის N06/3/1163 განცხადება, ასევე სს "თბილგაიზს" მიმართ გაკოტრების საქმის წარმეობის გახსნის შესახებ

*დავადგინე:*

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის დ. ვარდიაშვილის 06.10.05-ის N11/3285 განცხადება სს "თბილგაიზს" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ და გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება სს "თბილგაზის" მიმართ. მათივე მოთხოვნას ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 აგვისტოს განჩინების გაუქმების თაობაზე ეთქვას უარი უსაფუძვლობის გამო.
2. აეკრძალოს სს "თბილგაზს" თავისი ქონების განკარგვა.
3. სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველად მისი ქონების მართვის მიზნით დაინიშნოს გიორგი გვიჩიანი, დაბადებული 18.06.1970, მცხოვრები თბილისი, გორგასლის ქ. N41, ბ. N67 განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები.
4. დაევალოს სს "თბილგაზის" ყველა კრედიტორს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ სს "თბილგაზის" ვალის არსებობას.
5. შეჩერებულ იქნეს სს "თბილგაზის" მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულებების შესრულება ბათილია თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში.
6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც სს "თბილაზის" ქონების მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება მოთხოვნათა წაყენების ვადაში განუცხადონ სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ.
7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს სს "თბილგაზის" ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი პირი ვალდებულია ვალდებულების შესრულება ან/და ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. სს "თბილგაზის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღვროს 2005 წლის 12 ოქტომბერის 14 საათი.
9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 2005 წლის 15 ნოემბერს მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 31, თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.
10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს "თბილგაზს" აქვს საქმიანი ურთიერთობა: სს "საქართველოს სახალხო ბანკის" მთაწმინდის ფილიალი, სს "ბანკი რესპუბლიკა", სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" მთაწმინდის ფილიალი, სს "ბაზისბანკი", სს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, სს "ინტელექტბანკის" ცენტრალუირი ფილიალი, სს "თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი, სს "ბანკი ქართუს" ცენტრალური ფილიალი.
11. დაევალოს სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველ განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც. გაეგზავნოთ განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში შესატანად.
12. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

*მოსამართლე:*
*ი. ადეიშვილი*

ფეხბურთი

# ისევ წავაგეთ

## საბერძნეთი - საქართველო 1:0

მიხეილ აბაიშვილი
ათენიდან

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, დელასი (ანატოლაკისი, 64), დუმასი, ზაგორაკისი (კაფესი, 53), კაცურანისი, ბასინასი, პაპადოპულოსი, მანციოსი(ვრიზასი, 46), სალპინგიდისი.

**საქართველო:** რევიშვილი, კალაძე, სალუქვაძე (წინამძღვრიშვილი, 46), ხიზანიშვილი, მჟავანაძე, განუგრავა, კანკავა, კობიაშვილი, გოგუა, მუჯირი, დემეტრაძე (გოცირიძე, 86).

თამაში დაიწყო თანაბარ ბრძოლაში. ასევე გაგრძელდა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში. პირველი სახიფათო მომენტი ჩვენს კართან შეიქმნა. მე-8 წუთზე დუმასის ჩაწოდების შემდეგ ბასინასმა თავით დაარტყა და კარს რამდენიმე სანტიმეტრით ააცდინა ბურთი. ჩვენებმაც სახიფათო იერიშით უპასუხეს. 14 წუთზე ბერძნებმა საჯარიმოდან თითქოს გამოიტანეს ბურთი, მაგრამ გოგუამ ლამაზ ნახტომში ჩაჭრა გადაცემა, ბურთი კობიაშვილს მიუვიდა. იგი მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩა. ნიკოპოლიდისი უძლური იყო რაიმე ეღონა. კობიაშვილმა მას ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა და შემდეგ პირით ხაზს იქით გადავარდა. ბერძნები აშკარად გადარჩნენ.

შემდეგი 3-წუთიანი მონაკვეთი მასპინძლების იყო და ბერძნებმა გოლიც გაიტანეს. 15 წუთზე ბასინასის დარტყმა მოიგერია რევიშვილმა. 17 წუთზე კი მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა სეიტარიდისმა და პაპადოპულოსმა ზუსტი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. შეცდა მჟავანაძე, რომელიც პაპადოპულოსს გვერდით ედგა, მაგრამ დარტყმაში ხელი ვერ შეუშალა. 29-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა თითქმის ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. კალაძემ მუჯირთან კედელი გაითამაშა და მახვილი კუთხიდან ნიკოპოლიდისთან პირისპირ გავიდა. კარგად დაარტყა, თუმცა ბერძენთა მეკარემ იყოჩაღა და გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

ამის შემდეგ დიდი არაფერი მომხდარა. ორივე გუნდმა ერთნაირი ტაქტიკით ითამაშა - 4-4-1-1. პირველ ტაიმში გაფრთხილება მიიღეს - გოგუამ, მუჯირმა, ბასინასმა და კანაკავამ. მეორეში კი ვრიზასმა, გოცირიძემ, კობიაშვილმა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მეკარე რევიშვილი, რომელიც ევროპის ჩემპიონების წინაშე ღირსეულად იდგა და საკუთარ კარს აუღელვებლად იცავდა. რაც შეეხება მსაჯობას, იტალიელი არბიტრი მატეო ტრეფოლონი აშკარა ტენდენციურობას იჩენდა მასპინძელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა სხვა შემადგენლობით დაიწყო. შეცვლაზე წინამძღვრიშვილი შემოვიდა და გუნდიც ტაქტიკურად გადაეწყო. კალაძემ ცენტრში შეიწია, მარცხნივ კობიაშვილი გადავიდა და ჩვენებმა ორი გამოკვეთილი ფორვარდით განაგრძეს თამაში - წინამძღვრიშვილი და დემეტრაძე. მათ უკან მუჯირი მოქმედებდა. ამ ცვლილებამ მკვეთრად შეცვალა სურათი. საქართველოს ნაკრების თამაში გაცილებით უფრო აგრესიული გახდა. ჩვენი გუნდის გააქტიურებამ ის დადებითი შედეგიც გამოიღო, რომ ბერძნები სულ უფრო იშვიათად გადმოდიოდნენ სტუმართა ნახევარზე.



კობიაშვილი და დემეტრაძე თბილისური მატჩის მსგავსად ათენშიც ბევრს ეცადნენ. მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.



გოგიტა ბახაიძის ფოტოები

პირველ ტაიმში თამაში ისედაც თანაბარი იყო. შეხვედრის მეორე ნახევარში კი საქართველოს ნაკრების ერთგვარი უპირატესობაც გამოიკვეთა. რამდენჯერმე საკმაოდ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა დავით მუჯირი. ყოველ შემთხვევაში მისი დარტყმები სულ მცირედით ასცდა მიზანს. მუჯირმა ერთხელ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ტაიმის მიწურულს შეცვლაზე შემოსული გოცირიძე, მაგრამ პასმა არ ივარგა.

სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ძირითადად ბრძოლა მაინც მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. რამდენჯერმე მასპინძლებმაც შეუტიეს რევიშვილის კარს, თუმცა რაიმე დასამახსოვრებელი მომენტი არ შეუქმნიათ. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ გოლის ავტორი პაპადოპულოსი აღიარეს. ხიზანიშვილს მეტოქესთან არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია და შეტევებშიც უაღრესად აქტიურად მუშაობდა. რაც "ბლექბერნში" რამდენიმე თამაში გამოტოვა, როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრების მცველი ფორმაში შედის.

ჩვენი ჯგუფის დანარჩენ შეხვედრებში სტუმრებმა იმარჯვეს. ალმა-ათაში დანიის ნაკრებმა - 2:1 დაამარცხა ყაზახები, ხოლო ალბანეთში თურქებმა მიაღწიეს სასურველ შედეგს. მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხეს მასპინძლები და გადათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. დანია მესამე ადგილზე გავიდა. საბერძნეთი კი მეოთხეა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე საბერძნეთის ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი არ მოსულა. რამდენადაც ცნობილია, იგი მატჩის შემდეგ უნდა გადამდგარიყო. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ კი მატჩს შემდეგი კომენტარი გაუკეთა:

"იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი ფეხბურთელი ტრავმირებული გვყავდა, ხოლო რამდენიმეს დისკვალიფიკაცია ჰქონდა, მოგვიხდა გუნდის მთლიანად გადახალისება და ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დაყრდნობა. ამის მიუხედავად, ჩვენი თამაში აზრს მოკლებული ნამდვილად არ იყო.

მეორე ტაიმში ტაქტიკურადაც გადავეწყვეთ და გუნდმა ეს ამოცანა კარგად შეასრულა. არავითარი არეულობა არ ყოფილა. პირიქით, თამაში დალაგდა, და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა შედეგით უკმაყოფილო დავრჩი. ვფიქრობ, ასეთი თამაშით საქართველოს ნაკრები სულ მცირე ფრეს მაინც იმსახურებდა. მომავალ შესარჩევ ციკლამდე კიდევ ერთი წელი გვაქვს. ეს ახალგაზრდები ამ ხნის განმავლობაში გაიზრდებიან, მეტ გამოცდილებას შეიძენენ და საქართველოს ნაკრები რეალურად იბრძოლებს მომდევნო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასაძლევად" - განაცხადა გაიოზ დარსაძემ, რომელიც ბელგიაში გაემგზავრა, სადაც ჩვენი ქვეყნის 17 წლამდელთა ნაკრები გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ჭადრაკი

# ტოპალოვი თითქმის ჩემპიონია



ბულგარელმა დიდოსტატმა ვესელინ ტოპალოვმა თითქმის გაინაღდა ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ბულგარელმა ყაიმით დაასრულა შეხვედ რაპეტრ სვიდლერთან. ახლა ტოპალოვს დარჩენილ ორ შეხვედრაში ერთი ქულა სჭირდება და ის მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდება.

შეგახსენებთ, რომ სვიდლერის გამარჯვების შემთხვევაში რუს დიდოსტატსა და ბულგარელს შორის სხვაობა ნახევარ ქულამდე შემცირდებოდა. თუმცა სენსაცია არ შედგა. ბულგარელმა დიდოსტატმა 21-ე სვლაზე სტრატეგიულ ყაიმს მიაღწია.

მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. სვიდლერი ღირსეულად თამაშობდა და ცდილობდა ინიციატივა არ დაეთმო. თუმცა, როგორც კი ლიდერმა თამაში გაამარტივა რაიმე ცვლილების განხორციელება შეუძლებელი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეს თითქმის ყველაფერი ბულგარელზე იყო დამოკიდებული. მას რომ გამარჯვება დაჭირვებოდა და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერი ეღონა, რუს დიდოსტატს შანსი გაუჩნდებოდა. თუმცა ტოპალოვის პოზიციაც გასაგებია. რაში სჭირდებოდა მას გარისკვა, როცა შეიძლება ჩემპიონატი მშვიდად მიიყვანო ლოგიკურ დასასრულამდე. ამ შემთხვევაში მას მთავარი მიზანი მიღწეული ექნება და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს.

ამ გამარჯვების შემდეგ ტოპალოვმა 1,5-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა უახლოეს მდევართან პაექრობაში. ასეთი კი ამჟამად ორია - ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა მორიგი გამარჯვება იზეიმა და ქულებით პეტრ სვიდლერს გაუტოლდა. ორივე დიდოსტატს 7,5-7,5 ქულა აქვს.

ახლა მეორე ადგილის ბედი მათ ურთიერთდაპირისპირებაში გადაწყდება, რომელიც ხვალ გაიმართება. გუშინ კი ინდოელმა შავი ფიგურებით პეტერ ლეკოს სძლია. უნგრელმა დიდოსტატმა ანანდის წინააღმდეგ საკუთარი ძალები აშკარად ვერ მოზომა და დამარცხდა კიდეც.

მე-12 ტურის დანარჩენი შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ერთმანეთს მშვიდობიანად გაეყარნენ ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) და იუდით პოლგარი (უნგრეთი), რუსლან კასიმჯანოვი (უზბეკეთი) და მაიკლ ადამსი (დიდი ბრიტანეთი).

დღეს ბოლოსწინა ტურში ტოპალოვი შავი ფიგურებით გაეჯიბრება კასიმჯანოვს, სვიდლერი პოლგარს შეხვდება, ანანდი მოროზევიჩთან მოსინჯავს ძალებს, ხოლო ადამსს ლეკოსთან პაექრობა მოუწევს.

კრივი

# კლიჩკოს პირამიდა





*წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც ხელში უჭირავს ყოველკვირეული გაზეთი. ამასთან, უცნობის სახეს გაზეთი ფარავს. მკითხველი კი ტვინს იჭყლეტს, ცდილობს გამოიცნოს, ცნობილ ადამიანთაგან ვისი სახე იმალება გაზეთის მიღმა. დამაბნეველია ისიც, რომ სარეკლამო ფოტო გადაღებულია უჩვეულო ადგილზე. ყოველ შემთხვევაში, გაზეთის თანამშრომლებს ფანტაზიაში არავინ ზღუდავს. გამომცემელთა ასეთი ახირება რომ არ ამართლებდეს, მსოფლიო სარეკლამო სფეროში ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოებსაც ვერ დაიმსახურებდნენ.*

*და მაინც, უმთავრესი იმ უცნობის სახეა, რომელსაც გაზეთის ფურცლები ფარავს. ჩვენს შემთხვევაში ბევრს აღარ მივედ-მოვედებით და პირდაპირ ვიტყვით, ცნობილმა გერმანულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა* Frankfurter Algemaine*-მ მორიგი აქციისთვის საკუთარი ფურცლების მიღმა კრივის მოფლიო საბჭოს ჩემპიონის, უკრაინელი მძიმეწონოსნის ვიტალი კლიჩკოს სახე დამალა.*

პირველად ასეთი აქცია 1995 წელს მოეწყო, რასაც სამწლიანი პაუზა მოყვა. მას შემდეგ ამ მეტად უჩვეულო პროექტში ასობით ცნობილ ადამიანს მიუღია მონაწილეობა. მათ შორის, გერმანიის ყოფილ კანცლერს ჰელმუტ კოლს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს იოშკა ფიშერს, ფორმულა 1-ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს, პოლიტიკის, შოუბიზნესის, საქმიანი სამყაროს ზეპური საზოგადოების წარმომადგენლებს და კიდევ ვის არა. Frankfurter Algemaine რომ მარტო გერმანელებზე არ აკეთებს აქცენტს, ვიტალი კლიჩკოს მაგალითიდანაც ჩანს.

უკრაინელ გიგანტს ოკეანის გაღმა გამგზავრებამდე გადაუღეს სურათები. თუ სადაა ფოტოები გადაღებული, ამას შეიტყობთ უკრაინელი გიგანტისგან, რომელსაც უჩვეულო ფოტოსესიის გამო ინტერვიუ ჩამოართვეს. მანამდე კი იმაზე, თუ რა იქნება ამერიკაში. საქმე ისაა, რომ 12 ნოემბერს ლას ვეგასში "თომას მაკ სენთერის" რინგზე კლიჩკო-უფროსს ჰასიმ რაჰმანთან ტიტულის დამცავი შერკინება ელის. ამ დაპირისპირებამდე კი უკრაინელმა ამერიკაში უნდა გაიაროს მომზადება.

ახლა კი დაპირებული ინტერვიუ:

**- იმ ადამიანთა სახელებს თუ გავითვალისწინებთ, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ყოველკვირეული გაზეთის Frankfurter Algemeine-ს სარეკლამო კამპანიაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ შორის მოხვედრა იოლი არ უნდა იყოს. ხომ არ გაგვიმჟღავნებდი, როგორ შეიძლება გახდე იმათთაგანი, ვინც გაზეთის ფურცლებს ეფარება?**

- მართალი გითხრათ, ერთ-ერთი უძველესი და ავტორიტეტული გაზეთის მხრიდან ეს წინადადება ჩემთვისაც სურპრიზი იყო. დარწმუნებული ვარ, ვიდრე გაზეთში გაზეთის ფურცელს ამომაფარებდნენ, Frankfurter Algemeine-ს სპეციალისტებმა არაერთი გამოკვლევა ჩაატარეს.

**- გადაღებები სად მიმდინარეობდა?**

- ევროპელი მკითხველისთვის მეტად უჩვეულო ადგილზე - ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში. თუმცა, ის ადგილი მთელმა მსოფლიომ იცის - ფარაონთა სამარხები.

**- ფოტოგრაფიებით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, სპეციალისტები შეეცადნენ ერთმანეთთან დაეკავშირებინათ პირამიდების, საკუთარი გამოცემისა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერესი სპორტსმენის სიდიადე...**

- არადა, ყველაფერი გაცილებით მარტივადაა: გადაღებები მიმდინარეობს უჩვეულო ადგილებზე, რომლებსაც არჩევენ გმირის პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. Frankfurter Algemeine-ს სპეციალისტებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ გადაღებები უნდა ჩატარებულიყო პირამიდების ფონზე. მეც არაფერი მქონია საწინააღმდეგო. პირიქით, მათი წინადადება საინტერესოდ მეჩვენა. დარწმუნებული ვარ, მაქსიმალურ ეფექტს მივაღწიეთ და ფოტოსურათიც დააინტერესებს მკითხველს.

**- თუ იმათ ნუსხას გადავხედავთ, რომლებსაც ოდესმე მონაწილეობა მიუღიათ ამგვარ პროექტში, შენ პირველი პროფესიონალი მოკრივე უნდა იყო, რომელიც გამოცემამ მიიწვია. მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ მაინცდამაინც შენს კანდიდატურაზე შეაჩერეს ყურადღება?**

- უმჯობესი იქნებოდა, ეს კითხვა მათთვის დაგესვათ. შემომთავაზეს წინადადება და მეც მივიღე. მუშაობის შედეგით კმაყოფილი ვარ. გაზეთის კოლქტივისა და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მკითხველის ცნობიერება ჩამოყალიბებული სტერეოტიპებისგან შევცვალოთ.

**- Frankfurter Algemeine გერმანიაში პატივცემული გამოცემაა, რომელიც ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებს ნებისმიერ სფეროს, მიმდინარე მოვლენებს... ხომ არ გეჩვენება, რომ შენი, როგორც არა მარტო სპორტსმენის, არამედ როგორც ადამიანის მონაწილეობა პროექტში, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობასაც აქტიურად ეწევა, თავად გამოცემის პრესტიჟს უსვამს ხაზს?**

- ყველას, ვისაც ამგვარ აქციაში მიუღია მონაწილეობა, პოლიტიკოსი იქნება ეს, სპორტსმენი, კინემატოგრაფი, მწერალი თუ საქმოსანი, მიუხედავად იმისა, თუ რა საქმიანობით მიაღწია წარმატებას, გერმანიაშია ცნობილი. ასე რომ, ვიყო ასეთთა შორის, ჩემთვის დიდი პატივია.

# ლაშა და ლაშა


ლაშა ბაქრაძე

**ლაშა ბუღაძე**: ჩვენი სტუმარია ლაშა ბაქრაძე. რა შეგიძლია, გვითხრა გერმანიის არჩევნების შესახებ?

**ლაშა ბაქრაძე**: არჩევნები იყო ძალიან საინტერესო. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ წინასწარი შედეგები არ იძლევა კონკრეტულ შედეგებს. წესით, ქრისტიან-დემოკრატიულ და ქრისტიან-სოციალურ პარტიებს უნდა გაემარჯვათ, მაგრამ მათი გამარჯვება მინიმალური აღმოჩნდა და ორივემ თითქმის ერთნაირი ხმების რაოდენობა მოაგროვა. ჩემი აზრით, არსებული სიტუაციიდან გერმანია ასე გამოვა: ორი დიდი ერთმანეთის კონკურენტი პარტია გაერთიანდება და შექმნის ერთ დიდ კოალიციას, ანუ ერთად შექმნის მთავრობას.

**ლაშა ბუღაძე**: ასეთი რამ ჩვენს რეალობაში წარმოუდგენელია.

**ლაშა ბაქრაძე**: მეტიც, ჩვენს რეალობაში არც ორი პარტია არსებობს, რომლებიც ერთმანეთს ექიშპებიან. რაც გავთავისუფლდით, სულ ერთი პარტია გვყავს, რომელსაც სერიოზული ოპოზიციური ძალა არ უპირისპირდება. რაც შეეხება კოალიციას, ასეთი რამ გერმანიის ისტორიაში უკვე მოხდა, 1968-69 წლებში. მაშინაც არსებობდა სოციალ-დემოკრატების და ქრისტიან-სოციალების მიერ შექმნილი კოალიცია, რომელსაც ქრისტიან-დემოკრატი კანცლერი ჰყავდა, გვარად კისინგერი. მოგეხსენებათ, ეს იყო სტუდენტური რევოლუციების და დიდი გარდატეხების ხანა და გერმანიისთვისაც - ძალიან საინტერესო პერიოდი. კოალიციის შექმნის შემდეგ საზოგადოების დიდ ნაწილს გაუჩნდა აზრი, რომ თვითონ, მისი ხმა პარლამენტში წარმოდგენილი არ იყო, რომ ოპოზიციურ აზრს პარლამენტში აღარავინ გამომხატავდა. ამიტომაც შეიქმნა პარლამენტს გარეთა ოპოზიცია "აპო", რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდა მემარცხენეებმა დააკომპლექტეს..

ახლა რაც შეეხება ახალ კანცლერ ქალს. გერმანიის ისტორიაში ის პირველი კანცლერი ქალია. რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე ერთ გერმანელ ქალბატონს, რომელმაც მითხრა, ყოველთვის ვნატრობდით ქალ კანცლერს, მაგრამ ასეთი არასდროს გვინდოდაო. გერმანიაში ის საკმაოდ არაპოპულარულია, ჯერჯერობით, ალბათ, ყველაზე არაპოპულარულიც და ასე იქნება, თუ რამე გმირობა არ ჩაიდინა. შესაბამისად, მისი გაკანცლერებაც იმდენად მისი თვისებებიდან გამომდინარე არ მოხდა, რამდენადაც პარტიის რეიტინგის გამო.

არადა, კანცლერის პიროვნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფონზე, რომ გერმანიის ორმა დიდმა პარტიამ თავისი სახე დიდი ხანია, დაკარგა და ისინი ერთმანეთისგან პრინციპულად აღარ განსხვავდებიან. შროდერი ახერხებდა, გამორჩეული ლიდერი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია არაპოპულარული იყო, შროდერმა გაქაჩა. მეტიც, დღეს ის ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე მერკელი. თუმცა, პოპულარობით ვერ შეედრება ვერც ადენაუერს, ვერც ბრანდტს, ვერც თუნდაც კოლს. ასეთი დიდი და გამორჩეული პიროვნებები გერმანიის პოლიტიკაში სამწუხაროდ აღარ არიან. საერთოდ მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა ნიველირების ეს ტენდენცია.

დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ კანცლერი იქნება მერკელი, სოციალ-დემოკრატები ძალიან მნიშვნელოვანი სამინისტროების წამყვან პოსტებს შეინარჩუნებენ. მათ, ფაქტობრივად, შეძლეს და ამ მთავრობის სრულუფლებიანი წევრის სტატუსი მოიპოვეს.

**ლაშა ბუღაძე**: საიდან მოვიდა მერკელი?

**ლაშა ბაქრაძე**: ის აღმოსავლეთ გერმანელია, მიუხედავად იმისა, რომ ჰამბურგში დაიბადა; 51 წლისაა, ათი წლით უმცროსია შროდერზე.

**ლაშა ბუღაძე**: თუმცა შროდერს ასაკი არ ეტყობა, თმებს იღებავს.

**ლაშა ბაქრაძე**: მისი თმის შეღებვაზე დიდი ამბავი იყო ატეხილი. საერთოდ შროდერი ძალიან მედიალური კანცლერი იყო. თავის დროზე, ძალიან კარგი კოსტუმებით და ჰალსტუხებით გამოირჩეოდა და რაღაც რეკლამაც ტრიალებდა მისი მონაწილეობით, რასაკვირველია, ჰონორარი მან ჯიბეში არ ჩაიდო, მაგრამ მაინც დიდი აღშფოთება გამოიწვია - კანცლერს რეკლამაში რა უნდაო, თუ არ ვცდები ჰუგო ბოსის პროდუქციას უწევდა ის რეკლამას. ასეა თუ ისე, თვითონ აცხადებს, რომ თმას არ იღებავს. ამასვე ადასტურებს გერმანიაში ყველაზე ცნობილი პარიკმახერი უდო ვალცი. შროდერი მასთან იჭრის თმას და უდომ თქვა, რომ თუ გნებავთ, ბიბლიაზე დავიფიცებ, რომ შროდერს ბუნებრივად აქვს ასეთი შავი თმაო...

რაც შეეხება მერკელის ბიოგრაფიას, მას დიდი ხნის განმავლობაში ეძახდნენ კოლის გოგოს და რუხ თაგვსაც. მისი წინსვლა პარტიაში სწორედ კოლის სურვილით და ინიციატივით მოხდა. ყოფილ კანცლერს ყოველთვის სურდა პარტიაში აღმოსავლეთ გერმანიიდან ჰყოლოდა თვალსაჩინო ქალი წარმომადგენელი. თავის დროზე ანგელა მერკელმა კოლი საკუთარი სურვილით გაიცნო. იმ დროს ეს ქალბატონი ერთი უმნიშვნელო ფუნქციონერი იყო. ფაქტობრივად ამ ერთმა შეხვედრამ განსაზღვრა მერკელის მთელი მომავალი. მოკლე საუბრის შემდეგ კოლს ის ძალიან მოეწონა. შემდეგ კიდევ შეხვდა და დაელაპარაკა და ამის შემდეგ დაიწყო პარტიაში მისი მუდმივი ზეაღსვლა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ მერკელი ქალების და ახალგაზრდობის სამინისტროს მინისტრად დაინიშნა, მერე ბუნების დაცვის მინისტრი გახდა. იქაც გამოიჩინა თავი, და გაირკვა, რომ ამ ქალს მეტის პრეტენზია აქვს. მას შემდეგ, რაც შროდერმა გაიმარჯვა და კოლი ქრისტიან-დემოკრატიული პარტის მხოლოდ საპატიო თავმჯდომარე გახდა, მერკელმა მისგან საკუთარი ფიგურის დისტანცირებაზე იზრუნა და 2000 წელს უმნიშვნელოვანესი ფრაზა თქვა - არ არის აუცილებელი ძველი სამხედრო ცხენების იმედად ვიყოთ. ამით მან გადადგა კიდეც ნაბიჯი კანცლერობისკენ.

თუმცა, შემდეგ რამდენიმე სტატიაში წავიკითხე: რომ არა 68-69 წლების სიტუაცია გერმანიაში, მერკელი ასეთ წინსვლას ვერ შეძლებდა; ეს უაღრესად კონსერვატორული პარტია არ მისცემდა საშუალებას ამ არაფრით გამორჩეულ ქალს ასე ზემოთ ასულიყო პარტიაში. მაშინდელმა დიდმა გარდატეხამ კი შეცვალა ზოგადად დამოკიდებულება მსგავსი საკითხების მიმართ.

მერკელი არც მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელია. შროდერის მსგავსად. ეს უკანასკნელიც უბრალო ოჯახში აღიზარდა, მამა ომში დაეღუპა და მარტოხელა დედამ გაზარდა. გარკვეულწილად მსგავსი ბიოგრაფია აქვს მერკელსაც. ის დაიბადა ჰამბურგში, ჯერ კიდევ 1954 წელს, როცა ბერლინის კედელი არც იყო აშენებული. მამა ევანგელიური მღვდელი გახლდათ. ეკლესიამ ის ერთ-ერთ ყველაზე გატყავებულ ადგილას - უაკერმაკში გაუშვა. ოჯახი ბერლინის ახლოს პატარა ქალაქ ტემპლინში დასახლდა და მერკელსაც მთელი შეგნებული ბავშვობა და ახალგაზრდობა გდრ-ში აქვს გატარებული, მაგრამ დაბადებულია ჰამბურგში.

**ლაშა ბუღაძე:** საფუძვლიანია თუ არა ის ეჭვი, რომ შესაძლოა, მერკელს შროდერისგან განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს რუსეთის მიმართ?

**ლაშა ბაქრაძე**: ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი ფაქტი: ქრისტიან-დემოკრატიული პარტია არის საერთო გერმანული პარტია, ქრისტიან-სოციალური - ბავარიული. ისინი ერთნაირი პარტიები არიან, ერთად გამოდიან ხოლმე არჩევნებზე, მაგრამ ადმინისტრაციული თვალსაზრისით ერთმანეთს არ ემორჩილებიან. შტოიბერი - პრემიერ-მინისტრი ბავარიის, ალბათ, ძალიან ძლიერი ფიგურა იქნება, რადგან უკვე თქვა, რომ მერკელი ყველა ფუნქციას ვერ განახორციელებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფუნქციების ნაწილს თვითონ აიღებს საკუთარ თავზე.

ანუ, მერკელი ბოლომდე თავის იდეებს ვერ შეასხამს ფრთებს. თუმცა, მისი სიმპათიები შტატების მიმართ აშკარაა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმპათიები არ გამორიცხავს რუსეთის მიმართ კოჭის გორებას - ეს ხომ გერმანული პოლიტიკის ნაწილია. ალბათ, ისეთი კაცური მეგობრობა, როგორიც ჰქონდათ შროდერს და პუტინს და რის გამოც შროდერი გერმანიაშიც საკმაოდ არაპოპულარული იყო (განსაკუთრებით ჩეჩნეთის ომის ფონზე), მერკელს და პუტინს არ ექნებათ. თუმცა, უნდა გავიხსენოთ კოლიც, რომელიც დიდი მეგობარი იყო ჯერ გორბაჩოვის, მერე ელცინის.

რუსეთისადმი ასეთი დამოკიდებულება ადენაუერისგან მოდის. პირველი გარღვევა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში სწორედ მას ეკუთვნის. ეს ურთიერთობა მას პრაგმატული მიზნით სჭირდებოდა, ხრუშჩოვთან მეგობრობით მან გერმანელი ტყვეები გაათავისუფლებინა საბჭოთა კავშირის ლიდერს და ბევრი ადამიანი იხსნა სიკვდილისგან.

ვეჭვობ, რომ მერკელი რუსეთის მეგობარი გახდეს. მაგრამ მეორე საკითხია, მისი პრო-ამერიკანიზმი და დამოკიდებულება რუსეთის მიმართ რამდენად გამოსადეგი იქნება საქართველოსთვის. იქნება თუ არა ეს იმის მანიშნებელი, რომ გერმანია უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს. ჩემი აზრით, ეს უკვე ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამოცანაა - გერმანიის ყურადღება მეტად მივიზიდოთ და მეტად საინტერესო გავხდეთ ამ ქვეყნისთვის, მით უფრო, რომ წლების მანძილზე გერმანია, თუ არ ვცდები, იყო მეორე ქვეყანა, საიდანაც საქართველო ყველაზე დიდ დახმარებას იღებდა ამერიკის შემდეგ.

ამ ფონზე გააჩნია იმასაც, თუ ვინ იქნება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. იოშკა ფიშერი ამ პოსტს ველარ დაიკავებს, რადგან ის მწვანეთა პარტიას წარმოადგენს და მინისტრთა პოსტები კი სხვა ორმა პარტიამ უნდა გადაინაწილოს.

# ჯიმი ჰენდრიქსმა მისამართი შეიცვალა



ჯიმი ჰენდრიქსის თაყვანისმცემლებმა ნგრევას გადაარჩინეს სახლი, რომელშიც ლეგენდარულ როკ-გიტარისტს ბავშვობა ჰქონდა გატარებული.

ამისთვის მისმა ფანებმა შენობა სიეტლიდან ქალაქ რენტონში გადაიტანეს. ორი პატარა საძინებლისგან შემდგარმა ძველმა კოტეჯმა ტრაილერების სადგომზე, სასაფლაოსთან ახლოს დაიდო ბინა. სწორედ ამ სასაფლაოზეა დაკრძალული 1970 წელს გარდაცვლილი მუსიკოსიც. მიწის ნაკვეთი, რომელიც გიტარისტის თაყვანისმცემლების მიერ დაარსებულმა ჰენდრიქსის ფონდმა შეიძინა, სულ რაღაც 1,8 მილიონი დოლარი დაჯდა. კოტეჯის ტრანსპორტირება კი 30 ათას დოლარად მოხერხდა. როკ-ფანატებმა საკულტო შენობა კონსპირაციულად, გათენებამდე საათნახევრით ადრე გადმოტანეს. დილის შვიდი საათისთვის კი კოტეჯი ხალხის ტყვეობაში მოხვდა. Star-Telegram-ის ინფორმაციით, ცნობისმოყვარეთა უმეტესობა ტრაილერების მძღოლები იყვნენ, რომელთა შორის ისინიც გამოერივნენ, ვინც თავის დროზე ჰენდრიქსის კონცერტებით ინტერესდებოდა.

საგულისხმოა, რომ ჰენდრიქსის სახლმა უკვე მეორედ "იმოგზაურა". 2001 წელს სიეტლის ადგილობრივმა ხელისუფლებამ კოტეჯი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, მაგრამ სრულიად უკაცრიელ ადგილზე გადაიტანა. ადგილი შემოღობეს და შენობა იქ ოთხი წლის განმავლობაში იდგა. ამ პერიოდში ქალაქის ხელისუფლება არაერთხელ დაიმუქრა, რომ სახლს დაანგრევდა, რადგან ის ნარკომანებისა და უსახლკაროთა თავშესაფრად იქცა.

# ნაპოვნია ბენვენუტო ჩელინის მეორე ავტოპორტრეტი



სკულპტორის, მწერლისა და იუველირის ბენვენუტო ჩელინის აქამდე უცნობი სურათი საფრანგეთში აღმოაჩინეს. რეპროდუქცია ხელოვანის სამშობლოში 1555-1565 წლებშია შექმნილი.

გაზეთ "ტელეგრაფის" ცნობით, ის ერთ-ერთმა კერძო კოლექციონერმა საფრანგეთში მოწყობილ ანტიკვარიატის აუქციონზე ერთი წლის წინ შეიძინა. ნამუშევრის ახალი მფლობელი დარწმუნებული იყო, რომ ეს ჩელინის ავტოპორტრეტია და ამის დასადასტურებლად იტალიელ სპეციალისტებს მიმართა, მაგრამ უარი მიიღო. სამაგიეროდ კოლექციონერს არ დაზარდნენ ფრანგი სპეცილისტები, რომლებიც 11 თვის განმავლობაში იკვლევდნენ სურათს. ექსპერტებმა საღებავების ქიმიური ანალიზი ჩაატარეს და მისი ფქსიქოლოგიური პორტრეტიც კი შეადგინეს.

ჩელინის ნამუშევრის მფლობელი კმაყოფილია შენაძენით. მან უკვე დააზღვია სურათი 90 მილიონ ევროდ.

ბენვენუტო ჩელინიმ სახელი გაითქვა სკულპტურებითა და საიუველირო ნამუშევრებით, ასევე, თავისი დაუმთავრებელი მემუარებით. ცნობილია ისიც, რომ ის დიდებულად ხატავდა, მაგრამ მისი პირადი ნამუშევრები აღმოჩენილი ჯერ არ იყო.

# ბრიტანული მოდელის ჩამავალი მზე

## ქეით მოსის კარიერას მისივე ფოტოსურათები უღებენ ბოლოს

ის ყველაზე პოპულარული ბრიტანელი მოდელი იყო. "ჰეროინული სიგამხდრე", სკანდალური კავშირები სკანდალურ მსახიობებთან და როკ-მომღერლებთან, სრული გულგრილობა პრესის მიმართ ქეით მოსის ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახლდათ. 90-იანელთა თაყვანისმცემლები და ყველაზე ცნობილი მოდის სახლები მას ყველაფერს პატიობდნენ. დღეს კი გაზეთ Daily Mirror-ში გამოქვეყნებული რამდენიმე ფოტოსურათი კარიერის დასასრულად უღირს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკით სახელგანთქმულმა ბრიტანულმა გაზეთმა ქეით მოსს სამაგიერო გადაუხადა, როცა მისი ფოტოები გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა. ფოტოები მობილური ტელეფონის კამერითაა გადაღებული და სახელად "კოკაინის ქეითი" ჰქვია. ეს დოკუმენტური მასალა ნამდვილი მტკიცებულებაა იმისა, რომ მოდელი ნარკოტიკების პროფესიონალი მომხმარებელია.

მსგავსი განცხადებები გაზეთმა იანვარშიც გააკეთა. მაშინ გამოცემა წერდა, რომ ბრიტანელი მოდელი კლინიკაში კოკაინის გადაჭარბებული დოზის მიღებისგან მოხვდა. პუბლიკაციის საპასუხოდ მოსმა გაზეთს უჩივლა და სასამართლო პროცესიც მოიგო. საკომპენსაციო თანხის გადახდის გარდა ქეითს მოუბოდიშეს, მაგრამ, როგორც ჩანს, დაიბოლმნენ და სამაგიეროს გადახდაც არ დააყოვნეს.

ფოტოების გამოქვეყნებიდან ხუთი დღის შემდეგ ტანსაცმლის მწარმოებელმა მსხვილმა შვედურმა კომპანიამ H&M მოსს სარეკლამო ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი უთხრა. უარს მკაცრი ახსნა-განმარტებაც მოჰყვა - კომპანიამ განაცხადა, რომ არ სურს მისი სახე ნარკომანი იყოს. სულ მალე კი ამ განაცხადს სხვა მოდის სახლები და ქეითის ყოფილი საქმიანი პარტნიორებიც შეუერთდნენ. კონტრაქტები გაწყვიტეს ჟhanel, Roberto Cavalli, Burberry... გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის შემდეგ მოდელი არც ერთ ჩვენებაზე არ გამოჩენილა. ქეითის პირადი მოთხოვნილებებით ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ და მისი ცხოვრებაც კოშმარს დაემსგავსა.


კეით მოსი

ქეითმა, რომელიც მასმედიის ნებისმიერ განცხადებას უკომენტაროდ ტოვებდა, ახლა საჯაროდ მიმართა. "ჩემს ნებისმიერ საქციელზე ვარ პასუხისმგებელი, მათ შორის რამდენიმე პირად პრობლემაზეც. ამ პრობლემების გადასაჭრელად პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგი," - თქვა მოდელმა და პატიება სთხოვა ყველას: მეგობრებს, ნათესავებსა და კოლეგებს. მან კონსულტაციისთვის მიმართა ერთ-ერთ ნარკოლოგიურ კლინიკას, თუმცა, უკვე მერამდენედ...

გაკნაჭული ქალი-მოზარდი - ასე მონათლეს 14 წლის ქეითი მაშინ, როცა მისი ფოტოები ყველაზე ცნობილი ჟურნალების გარეკანზე პირველად გამოჩნდა. ის სრულიად შიშველი პოზიორობდა, იყო "ჰეროინული სილამაზის" დედოფალი, მუდამ სკანდალისა და ანორექსიის ზღვარზე მყოფი "გიჟი", ბოი-ფრენდებსაც ხომ ხელთათმანებივით იცვლიდა... ერთი ასეთი "ხელთათმანი" ამერიკელი მსახიობი ჯონ დელიც გახლდათ, ასევე ნაკლებად პოპულარული ორი ბოჰემური პერსონაჟიც, რომლებსაც ნარკოტიკებმა მოუღეს ბოლო. სხვათა შორის, სწორედ ჯონ დელისთან ხელჩართულ ბრძოლას უკავშირდებოდა სასტუმრო "ნიუ-იურ-სიტიში" გამართული ხმაურიანი სკანდალი, რომლის შემდეგაც ქეითმა დროებით შეწყვიტა მუშაობა და ლონდონის კლინიკას ნერვების სამკურნალოდ მიაშურა. 1998 წელს ქეითი პოდიუმს დაუბრუნდა. წარმატებით მონაწილეობდა ლონდონის, მილანის, პარიზის ჩვენებებში, აფორმებდა კონტრაქტებს კოსმეტიკისა და ტანსაცმელის მწარმოებელ ყველაზე ცნობილ ფირმებთან. არც ისე დიდი ხნის წინ ჟურნალ Forbes-მა ის ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაში შეიყვანა.

რაც შეეხება ნარკოტიკებსა და სკანდალებს, 2002 წელს ქეითს ქალიშვილი შეეძინა და ბრიტანელებმა ივარაუდეს, რომ ხმაურიანი წვეულებების მოყვარული მოდელი მორჯულდა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ ის ქმარს გაეყარა. ახლა საჯაროდ ჩნდებოდა პანკ-მუსიკოსი პიტ დოგერტის საზოგადოებაში, რომელსაც პრესა "ურჩხულს" უწოდებდა. ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქეითი სწორედ დოგერტის სტუდიაში გადაიღეს. ფოტოების გამოქვეყნების მერე პიტმა გულუბრყვილოდ გაიკვირვა, რატომ აინტერესებდა საზოგადოებას მათი ურთიერთობა.

იგივე აინტერესებდა ბრიტანულ პრესასაც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოდესღაც ბოჰემური ხელოვნება - მოდა ერთ დიდ კორპორაციულ ინდუსტრიად გადაიქცა, სადაც სხვა კანონები მოქმედებდა. და თუ 90-იანებში "ჰეროინული შარმი" მოდის მაყურებელსა და მომხმარებელს ერთგვარად ხიბლავდა, დღეს ის მასობრივი გაყიდვების ხელშემშლელ ფაქტორად იქცა. და მეორეც - მოსი ცნობილი მოდელია. რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს ყველა მოზარდს სურდა ქეითისნაირად გამხდარი ყოფილიყო. ახლა კი ის თავისი გაუაზრებელი საქციელით კოკაინს "არასკრუტკებს".

თუმცა, მას ჯერ ყველაფერი არ დაუკარგავს. ქეითის საჯარო აღსარების შემდეგ კოსმეტიკურმა კორპორაცია Rimmel-მა, რომელიც ასევე შოკირებული იყო ქეითის საქციელით, "ყველაფერი აპატია" და თანამშრომლობა შესთავაზა. ასეა თუ ისე, ქეითი ხომ ყველაზე რეიტინგული და პროფესიონალი მოდელია. მოსის აგენტიც ირწმუნება, რომ კლინიკაში სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ ქეითი მოახერხებს მოდის უცნაურ და ცვალებად სამყაროში დაბრუნებას. ის ხომ თავადაც მოდასავით ცვალებადი და უცნაურია.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, (ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107) აცხადებს ღია კონკურსს ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე სატრანსპორტო გაჩერებების კეთილმოწყობის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

საკონკურსო პირობების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადა იწურება ამა წლის 25 ოქტომბერს.

**შესწორება**: 11 ოქტომბერს "24 საათში" გამოქვეყნებული ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემის შესახებ განცხადების ტექსტში დაშვებული იყო უზუსტობა: იჯარით გასაცემ შენობა-ნაგებობებზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი 178 963 კვ.მ.-ის ნაცვლად უნდა იყოს 205 963 კვ.მ.

# იუბილარი გამოფენა

## მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო გამოფენა გახსნილად გამოცხადდა

*გუშინ "ექსპო ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრში სტარტი აიღო მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის საიუბილეო, მეათე საერთაშორისო გამოფენამ. ღონისძიებაზე, რომლის ორგანიზატორი კომპანია "ექსპო ჯორჯიაა", დამთვალიერებლებს ოთხი დღის განმავლობაში საშუალება ექნებათ, სამშენებლო, მოსაპირკეთებელი მასალების, კერამიკის, ვენტილაციის, გათბობის, განათების, სან-ტექნიკის და კარ-ფანჯრების, ავეჯის, დაცვითი სისტემების, ლიფტების წარმოების სფეროში უკანასკნელ მიღწევებს გაეცნონ.*

დიანა ჩაჩუა

მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის მეათე საერთაშორისო გამოფენა გუშინ, "ექსპო ჯორჯიას" ერთდროულად, ოთხ საგამოფენო პავილიონში გაიხსნა. კავკასიის მასშტაბით უმსხვილესი გამოფენა - ასე აფასებენ ღონისძიების ორგანიზატორები წლევანდელ გამოფენას.

15 ოქტომბრამდე, 14 ქვეყნის 100-ზე მეტი კომპანია საკუთარ პროდუქციას "ექსპო ჯორჯიას" 76 საგამოფენო სტენდზე წარმოადგენს. გამოფენაზე ქართული კომპანიების გვერდით წარმოდგენილნი არიან კომპანიები აშშ-დან, ავსტრიიდან, აზერბაიჯანიდან, ბელგიიდან, ბელორუსიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, ირანიდან, უკრაინიდან, საუდის არაბეთიდან და ჩეხეთიდან. ყველაზე მასშტაბურად გამოფენაზე თურქული კომპანიები არიან წარმოდგენილნი - 21 თურქული კომპანიის პროდუქციას სამი პავილიონი უკავია. თურქეთმა გამოფენას ნაციონალური მხარდაჭერა გამოუცხადა, რომელიც თურქეთის საერთაშორისო გამოფენების ორგანიზატორმა "Tuyap Georgia"-მ უზრუნველყო.

აღსანიშნავია, რომ როგორც გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მაკა კაკულიამ განაცხადა, რუსეთთან, იტალიასთან, საბერძნეთთან და სხვა ევროპულ ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა მომავალ წელს მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის გამოფენაზე ეს ქვეყნები, თურქეთის მსგავსად, ნაციონალური სტენდით წარდგნენ.

რამდენად შედეგიანია ეს ყოველწლიური სამშენებლო გამოფენა, ამ კითხვას ორგანიზატორები ასე პასუხობენ: **"ის, რომ გამოფენა 10 წელია ტარდება და მას უკვე ტრადიციული მონაწილეები ჰყავს, ამ გამოფენის წარმატებულობაზე მიუთითებს."**



*ყოველწლიურად სულ უფრო ნათელი ხდება, რომ მათი საგამოფენო სივრცე საკმარისი აღარ არის.*

მაკა კაკულია განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ყოველწლიურად გამოფენებზე ქართული წარმოების პროდუქცია მატულობს.

**"ამ გამოფენიდან შედეგი რომ არ გვქონოდა, წლევანდელ გამოფენაში მონაწილეობას აღარ მივიღებდით. თუმცა, როგორც ხედავთ, ჩვენ კვლავ აქ ვართ,"** - საუბრობდა გუშინ "24 საათთან" კომპანია "გორგიას" გათბობის სისტემის მენეჯერი ლევან თურმანიძე. მისი თქმით, აღნიშნული გამოფენები მარტივი და მოსახერხებელი საშუალებაა პარტნიორების მოსაძებნად და გარიგებების დასადებად. "გორგიამ", როგორც ამას ლევან თურმანიძე ამბობს, გამოფენის საშუალებით სერიოზული კონტაქტები დაამყარა. ცნობისათვის, გუშინ ამ კომპანიის სტენდზე სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები იყო წარმოდგენილი, მათ შორის - კერამიკური ფილები, სააბაზანო მოწყობილობები, გათბობის ქვაბები, რადიატორები, კონდიციონერები და სხვა. გუშინვე, ერთ-ერთ სტენდზე წარმოდგენილი იყო ფრანგული ქარხნის "ონდულინის" პროდუქციაც - გადასახური და საიზოლაციო სისტემები. აღნიშნული კომპანიის პროდუქცია საქართველოში უკვე 10 წელია იყიდება და მისი დისტრიბუტორი კომპანია "გეორგიაა". როგორც თურმანიძემ აღნიშნა, აღნიშნულ ფრანგულ პროდუქციაზე ქართულ ბაზარზე მზარდი მოთხოვნილებაა. ის იმედოვნებს, რომ მსგავსი გამოფენების საშუალებით კომპანიების საქმიანობა სულ უფრო მრავალფეროვანი და მომგებიანი გახდება.

როგორც გუშინ გამოფენის გახსნის ცერემონიალზე "ექსპო ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კახა გველესიანმა აღნიშნა, ყოველწლიურად სულ უფრო ნათელი ხდება, რომ მათი საგამოფენო სივრცე საკმარისი აღარ არის. **"ამიტომ ჩვენ საგამოფენო ცენტრის განვითარება დავიწყეთ. ორ წელიწადში თქვენ სრულიად განსხვავებული "ექსპო ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრი დაგხვდებათ,"** - განაცხადა გველესიანმა.

მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის მეათე გამოფენის ფარგლებში არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი ატარებს კონკურს შემდეგ ნომინაციებში: წლის საუკეთესო რეალიზებული არქიტექტურული ნაწარმოები და წლის საუკეთესო არქიტექტურული პროექტი. თითოეულ ნომინაციაზე გადაიცემა სამი ჯილდო: ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს კაპიტელი. კონკურსში როგორც ქართველი, ისე უცხოელი არქიტექტორები მონაწილეობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოფენის ფარგლებში მონაწილე კომპანიებს ორგანიზატორები სპეციალურ სერთიფიკატებს გადასცემენ შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო სტენდის დიზაინისთვის, სამშენებლო გამოფენაში ტრადიციული მონაწილეობისთვის და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობისთვის. კომპანიების დაჯილდოება ხვალ, გამოფენის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სადილზე მოხდება.

კიდევ ერთი სიახლე: როგორც გუშინ გაირკვა, კომპანია "ექსპო ჯორჯია" მსოფლიოს საგამოფენო ცენტრების და ორგანიზატორების ასოციაციაში (UFI) გაერთიანდა. ხელშეკრულების ოფიციალური გაფორმების ცერემონიალი 20 სექტემბერს, მოსკოვში გაიმართება.

# აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში სიღარიბის დონე მცირდება, მაგრამ პრობლემები რჩება

## მსოფლიო ბანკმა მოამზადა ანგარიში 1998-2003 წლებში ეკონომიკური ზრდის შედეგების ანალიზის შესახებ

როგორც მსოფლიო ბანკის მიერ გუშინ, 12 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღინიშნა, 1998-2003 წლებში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და უთანასწორობის შემცირების შედეგად სიღარიბეს თავი დააღწია დაახლოებით ორმოცმა მილიონმა ადამიანმა. ზემოხსენებული ანგარიშის მიხედვით, 2003 წლისათვის აღნიშნულ რეგიონებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 61 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 12 პროცენტს უდრის. 1998 წელს ეს მაჩვენებელი 20 პროცენტი იყო.

იმისთვის, რომ აღნიშნულ ანგარიშში შესწავლილ 27 ქვეყანაში ცხოვრების დონის მაჩვენებლების შედარება შესაძლებელი ყოფილიყო, გამოყენებულ იქნა ინფორმაცია ოჯახების მიერ მოხმარებული პროდუქციის შესახებ. ცივი კლიმატის პირობებში გათბობისა და თბილი ტანსაცმლის შესაძენად საჭირო ხარჯების გათვალისწინებით, უმეტეს ქვეყნებში სიღარიბის აბსოლუტურ დონედ მიჩნეულ იქნა 2 აშშ დოლარი. გარდა ამისა, აღნიშნულ რეგიონში 153 მილიონი ადამიანი, რომლებიც დღეში 4 აშშ დოლარს ან კიდევ უფრო ნაკლებს ხარჯავენ, ეკონომიკურად დაუცველ და არა ღარიბ კატეგორიადაა მიჩნეული.

**"ანგარიშში ნაჩვენებია, თუ როგორ მოახერხეს გარდამავალი პერიოდის სირთულეების წინაშე მდგარმა ქვეყნებმა 1998 წელს რუსეთის ფინანსური კრიზისის დასაწყისში სიღარიბისაგან მილიონობით ადამიანის დახსნა. ასეთი შემოტრიალება ხაზს უსვამს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობას ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის გზაზე. ამ ტენდენციის შესანარჩუნებლად მეტი სამუშაო ადგილის შექმნაა საჭირო, რაც გაჭირვებულ მოსახლეობას დაეხმარება, განსაკუთრებით, სოფლად და პატარა ქალაქებში,"** - აღნიშნა შიგეო კაცუმ, მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში.

ანგარიშში რეკომენდებულია გაგრძელდეს სამეწარმეო რეფორმა, სოფლის სწრაფი განვითარება და ჩამორჩენილ რეგიონებში არსებული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. რეფორმის სხვა პრიორიტეტებს შორის სახელდება ძირითადი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, უკეთესი და უფრო მიზანმიმართული სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით - ღარიბი მომსახურე პირებისათვის და ბავშვებისათვის.

ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური აღორძინება, რომელსაც 1998-2003 წლებში ჰქონდა ადგილი, ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებმა განაპირობეს. აქ გადამწყვეტ როლს რუსეთი ასრულებს, ნავთობის რესურსების სიმდიდრის, რეგიონულ ვაჭრობაში ამ ქვეყნის მნიშვნელობის და მიგრაციის ნაკადების გამო. ამავე დროს, ევროკავშირში ინტეგრაციამ ხელი შეუწყო ბაზრების გაფართოებას და პრეტენდენტი ქვეყნების მიერ სავალდებულო რეფორმების გატარებას. დასავლეთ ბალკანეთში ომის დასრულების შედეგად ეკონომიკური გარემო უფრო ხელსაყრელი გახდა ინვესტირებისა და ზრდისთვის.

1998-2003 წლებში აღნიშნული რეგიონის ქვეყნების უმეტესობაში სიღარიბის დონე შემცირდა. აბსოლუტური სიღარიბე ყველაზე მაღალია ცენტრალური აზიის ღარიბ ქვეყნებში, როგორიცაა ტაჯიკეთი, სადაც აბსოლუტური სიღარიბის დონე 70 პროცენტს აღწევს, და სამხრეთ კავკასიაში, მაგალითად - საქართველოში, სადაც 2003 წელს სიღარიბის დონე 50 პროცენტი იყო. მიუხედავად ამისა, ღარიბი და დაუცველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში ცხოვრობს, როგორებიცაა ყაზახეთი, პოლონეთი, რუსეთი და უკრაინა. აქ ყველაზე დიდი რისკის წინაშე არიან ახალგაზრდობა, სოფლის მოსახლეობა და პროვინციული ქალაქების მოსახლეობა. რისკის წინაშე დგანან, აგრეთვე, უმუშევრები, დაბალი დონის განათლების მქონე ადამიანები და არა-პრივილეგირებული უმცირესობის წარმომადგენლები, როგორიცაა მაგალითად, ბოშები. ღარიბთა უმეტესობა მომსახურე ღარიბია.

**სიღარიბე და ეკონომიკური ზრდა:** ანგარიშში ნათქვამია, რომ სწრაფი განვითარების მქონე რამდენიმე ქვეყანაში - მაგალითად, რუსეთში და ყაზახეთში -შემოსავლები ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ გადანაწილდა, რის გამოც სიღარიბის დონე მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ტემპით შემცირდა. ამის საპირისპიროდ, საქართველოსა და პოლონეთში შემოსავლების გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ არ მოხდა და სიღარიბის დონე გაიზარდა. ყველაზე მკვეთრად სიღარიბე დედაქალაქებში შემცირდა.

**უმუშევრობის ზრდა:** საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა ძალიან ცოტა ქვეყანამ მოახერხა იმ ქვეყნებს შორისაც კი, რომლებმაც ყველაზე დიდ წინსვლას მიაღწიეს სიღარიბის დაძლევის გზაზე. სამუშაო ადგილების შექმნაში წარუმატებლობა ნიშნავს დასაქმებულთა რიცხვის შემცირებას. გამონაკლისია სულ რამდენიმე სწრაფად მზარდი ქვეყანა, როგორიცაა ყაზახეთი, რუსეთი და უკრაინა. ევროკავშირში ახლად მიღებულ წევრ ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში დასაქმების დონე 56 პროცენტია, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ევროკავშირის მიერ ლისაბონში დასახულ 70 პროცენტთან შედარებით.

**უთანასწორობა:** ზემოხსენებულ ანგარიშში უთანასწორობის შეფასება ხდება იმ საქონლისა და მომსახურების მიხედვით, რომელთა მოხმარების საშუალება ოჯახს არ ეძლევა. ეს მოდელი ნაკლებად გამოკვეთილია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. 2003 წლისათვის რეგიონში მოხმარების თვალსაზრისით არსებული უთანასწორობის მაჩვენებელი უახლოვდება უფრო თანაბარი მოხმარების რეგიონების, მაგალითად, აღმოსავლეთ აზიისა და მსოფლიოს ზოგიერთი მდიდარი ქვეყნის მაჩვენებლებსაც კი. მიუხედავად ამისა, რეგიონში უთანასწორობის მაჩვენებელი დიდია, როგორც სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ასევე ცალკეული ქვეყნების შიგნითაც.

**ხარისხიანი მომსახურების მიღების შესაძლებლობა:** ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობის მიერ განათლების, სამედიცინო მომსახურების, უსაფრთხო წყალმომარაგების, სანიტარული მომსახურების და გათბობის მიღებასთან დაკავშირებული ტენდენციები ნაკლებად შთამბეჭდავია. კარგი განათლების, სამედიცინო მომსახურების, საიმედო წყალმომარაგების და ელექტროენერგიის მიღების თვალსაზრისით უთანასწორობა კვლავ არსებობს. ზოგ შემთხვევაში იგი გაიზარდა კიდეც, განსაკუთრებით დსთ-ს ქვეყნებში. მაგალითად, ტაჯიკეთში წყალმომარაგების საიმედობა ყველასათვის გაუარესდა, გარდა საზოგადოების უმაღლესი ფენისა, რომელიც მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს.

**საზოგადოების როლი და მომავლის პერსპექტივები:** ანგარიში შეიცავს გაფრთხილებას, რომ უმუშევრობის ზრდის შემთხვევაში სიღარიბიდან თავის დაღწევას ნაკლები ადამიანი მოახერხებს. თუ ძირითადი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული მზარდი უთანასწორობის ტენდენცია არ შეტრიალდა, ეკონომიკური ზრდით მიღებული სარგებელი შემცირდება.

ანგარიშის ავტორთა აზრით, ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად და ღარიბი მოსახლეობისათვის მისი სარგებლიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- *სამეწარმეო სექტორის შემდგომი რეფორმა, რაც ხელს შეუწყობს რესურსების გადადინებას, ძველი, ნაკლებად პროდუქტიული საწარმოებიდან ახალ, უფრო თანამედროვე საწარმოებში;*
- *სოფლის მეურნეობისა და სასოფლო რაიონების განვითარების პოლიტიკა, რომლის შედეგადაც მოხდება აგრარული რაიონების ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკაში, შრომისა და კაპიტალის ბაზრების, კრედიტის ხელმისაწვდომობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში;*
- *ჩამორჩენილი რეგიონების შესაძლებლობების გაფართოება;*
- *ძირითადი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მათი ხელმისაწვდომობა ღარიბი მოსახლეობისათვის; და*
- *სოციალური დაცვის ქსელის შემდგომი გაუმჯობესება.*

**"ამჟამად არსებული დონეების გათვალისწინებით, ჩვენი პროგნოზის მიხედვით, 2007 წელს ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა კვლავ 40 მილიონი იქნება, ხოლო 110 მილიონი - ეკონომიკურად დაუცველი. ასეთი მდგომარეობა და ის საფრთხე, რომელსაც იგი კაცობრიობის განვითარებას უქმნის, ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიზანმიმართული მუშაობა ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად და ყველასათვის მისი შედეგებით სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად,"** - ასკვნის ასად ალამი, ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი, მსოფლიო ბანკის გენდერის, სიღარიბის და მაკროეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

FM უცნობი 98.0

# უცნობი თავისუფლება

## გადაცემის სტუმარია საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნიკა გვარამია

**ალექსანდრე ელისაშვილი:** პარლამენტში ტერმინალ "ოპიზას" ირგვლივ საგამოძიებო კომისიის დაკომპლექტების შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა. საშველი არ დაადგა ჯერ კომისიის შექმნას და შემდეგ ხელმძღვანელის შერჩევას. რატომ გაიწელა ამდენ ხანს ეს პროცესი?

**ნიკა გვარამია:**. გაჭიანურებას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. ობიექტური მიზეზი ის არის, რომ პლენარული სხდომები სხვადასხვა ინტერვალით იყო დანიშნული. სუბიექტური წინაპირობა კი არის ის, რომ ხელმძღვანელის შესახებ ვერა და ვერ მოხერხდა ოპოზიციასთან შეთანხმება. დღეს ოპოზიციას აქვს თვითმიზანი ყველაფერი უარით მიიღოს. როცა საკითხი კენჭისყრით წყდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი სუბიექტურია. მე, ნიკა გვარამია შეიძლება შევთანხმდე უმრავლესობასთან, კანდიდატის დამტკიცების შესახებ, მაგრამ კენჭისყრა არის ძალიან ინტიმური პროცესი. არ შემიძლია რამე სასაყვედურო ვთქვა იმ ადამიანების მიმართ, ვინც დავით გამყრელიძის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა. ეს მათი უფლებაა. ამის პასუხად მემარჯვენე ოპოზიციის მხრიდან ულტიმატუმი წამოვიდა, ან იქნება გამყრელიძე ნდობის ჯგუფში ან ფრაქციიდან არავინ არ მიიღებს მონაწილეობასო. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან ამ ფრაქციის ვალდებულებაა საკუთარი ამომრჩევლის წინაშე მონაწილეობა მიიღოს ნდობის ჯგუფში. ეს არის პოლიტიკური პროცესი. მემარჯვენე ოპოზიცია სპეციალურად არჩევს ისეთ კანდიდატებს, რომლებიც ვერ გავლენ. თუ ისინი არ იქნებიან ნდობის ჯგუფში ეს არავისთვის ტრაგედია არ არის. ეს მათთვის არის პირველ რიგში წამგებიანი. მაგრამ, ამით ისინი დაჩაგრულის პიარს აკეთებენ. მე ამ კომისიაში ვარ როგორც იურისტი. ეს კომისია არ არის პარლამენტის პოლიტიკის გამტარებელი და გაუგებარია მათი პოზიცია. პოლიტიკაში სიბინძურე და ინტრიგა ეს საქართველოში მოგონილია, და ჩემთვის, როგორც ახალი თაობის პოლიტიკოსისთვის, პოლიტიკა არის გამჭირვალობა.

**ა.ე.** დაინიშნოს კობა დავითაშვილი, თუ უმრავლესობა უფრო ჩუმ და ჩრდილში მყოფ კანდიდატურას ეძებს?

**ნ.გ.** არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ყველას ჩემნაირი დამოკიდებულება არ აქვს. უკვე ვთქვი, რომ ეს ინდივიდუალურია. კობა დავითაშვილი უბრალოდ ვერ მიიღებს ხმებს.

**ა.ე.** შთაბეჭდილება რჩება, რომ უმრავლესობა ძლიერ კანდიდატურას გაურბის.

**ნ.გ.** ეს ასე არ არის, რადგან შეიძლება კობა დავითაშვილმა არანაკლები მონაწილეობა მიიღოს კომისიის საქმიანობაში, თუ იგი ოპოზიციის ერთ-ერთ კვოტას დაიკავებს. უმრავლესობა შეთანხმდა, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს ზომიერი პიროვნება. მაგალითად, კოკა გუნცაძე ან გიორგი ცაგარეიშვილი ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციიდან". არ ვფიქრობ რომ ისინი ნაკლებად შეუმჩნეველი ფიგურები არიან.

**ა.ე.** ნიკა გვარამიას თუ აქვს შეკითხვები ტერმინალ "ოპიზასა" და კობა ბექაურთან დაკავშირებით?

**ნ.გ.** რა თქმა უნდა. მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ჩათვალეთ, ფაქტობრივად სასამართლო იწყება.

**ა.ე.** თუ კომისიის დაკომპლექტებას ამდენი დრო დასჭირდა, წარმომიდგენია კომისია თითოეულ დოკუმენტს რა დროს მოანდომებს.

**ნ.გ.** კომისიას განსაზღვრული დრო აქვს. გამოძიების ხანგრძლივობა არ უნდა გასცდეს სამ თვეს. ასე რომ, მე არ მგონია ეს პრობლემად იქცეს. დასკვნა ორი სახის შეიძლება იყოს - ერთი ის, რომ ან კანონი დაირღვა ან, არ დაღღვეულა. მაგრამ გადაწყვეტილებას კომისია ვერ იღებს, პარლამენტი გადაწყვეტს.

**ა.ე.** თქვენ პირადად ბექაურთან, ალბათ, გექნებოდათ შეხება. როგორ ახასიათებს მას ის, რაც მის გარშემო მოხდა?

**ნ.გ.** ასეთი სერიოზული საუბრები არ მქონია. მე სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით შემარჩია უმრავლესობამ. ისე, ის ფილმი ვნახე და ვერ ვიტყვი, რომ იქ რაიმე სერიოზული ფაქტები იყო გამოძიებული. ჟურნალისტებს არაკვალიფიციურობაში არ ვადანაშაულებ, მაგრამ ფილმში იურისტების კომენტარი შორს იყო კვალიფიციური აზრისგან. ჩვენი საგამოძიებო კომისია ფილმს არ ეყრდნობა. გამოძიების დროს რაც არსებობს ამ ქვეყნად ყველაფერს მოვიკვლევთ. კობა ბექაური გასაკიცხი არ არის იმიტომ, რომ მან ითანამშრომლა ძალოვან უწყებებთან. ასეთი მიდგომა კრიმინალური აზროვნების შედეგია. საკუთარი ქვეყნის უშიშროებასთან ან პოლიციასთან თანამშრომლობა სირცხვილი არ არის. გავმიჯნოთ საბჭოთა და საქართველოს უშიშროებასთან თანამშრომლობა.

**ა.ე**. ლამაზია, როცა ის ფარული კამერით მიდიოდა ჟურნალისტთან?

**ნ.გ**. კობა ბექაური იმ დროს იყო არამარტო დეპუტატი, არამედ საქართველოს მოქალაქე.

**ა.ე**. მაგრამ, სანამ ის პარლამენტის წევრია და მანდატი აქვს არ მგონია, ასეთი ქმედება ნორმალური იყოს.

**ნ.გ**. ეს ნებისმიერ შემთხვევაში ლამაზი და სასურველი არ არის, მაგრამ ეს სირცხვილიც არ არის. რას იზამდით ბექაურის შემთხვევაში? მას ან უნდა გადაეხადა ან ასე უნდა მოქცეულიყო.

**ა.ე**. თუ "მიქარული" არ ჰქონდა, რატომ აშანტაჟებდნენ?.

**ნ.გ**. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში რამე დასამალი არ ჰქონდეს. მაგრამ, შანტაჟი ყველაზე დიდი დანაშაულია. არ ვუსურვებ შალვა რამიშვილს, რომ შანტაჟის მცდელობა დაუდასტურდეს.

**ა.ე**. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. ახლა პარლამენტის მიერ სამშვიდობოების შესახებ დადგენილებაზე ვისაუბროთ. პარლამენტში ორი ოპოზიციური პარტია წავიდა ამის წინააღმდეგი. თუ არის გათვლილი შემდგომი ქმედებები?

**ნ.გ.** რა თქმა უნდა. თუნდაც იმიტომ, რომ მათ ვადა აქვთ მიცემული. ბაზების შემდეგ ამ დადგენილებამაც რუსეთში დიდი ისტერია გამოიწვია. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**ა.ე.** მოსალოდნელია თუ არა სამშვიდობოების ინტერნაციონალიზაცია?

**ნ.გ.** სასურველია, მაგრამ მოსალოდნელია თუ არა - გადასაწყვეტია. ყველა შესაბამისი სამინისტრო მუშაობს ამის ოპტიმიზაციისთვის. ჩვენ ძალიან მკაცრ პოლიტიკას გავატარებთ. ის, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებს, საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც არის ცნობილი. პრეზიდენტმა გაეროში გაეროს უმოქმედობაც გააკრიტიკა. თუ გაერო არ იქნა რეფორმირებული, მაშინ მის არსებობას აზრი არ აქვს. ამას ევროპული საზოგადოებაც ითხოვს.

**ა.ე.** ვფიქრობ, ინტერციონალიზაცია შეუძლებელია.

**ნ.გ.** შეუძლებელი არ არის. საუბარია თურქ, ლატვიელ და უკრაინელ სამშვიდობოებზე. ამის სურვილი მათაც აქვთ. გაეროს პოლიტიკამ, რომელიც რუსეთის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, მხოლოდ საომარი პროცესების დაწყების არჩევანს გვიტოვებს.

**ა.ე.** საზოგადოებისთვის ყველაზე მიუღებელი ოპოზიციის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებაა. უმრავლესობის მხრიდან აშკარად ქედმაღლობა იგრძნობა. ასეთმა დამოკიდებულებამ ერთხელ ხომ სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა?!

**ნ.გ.** არ მიმაჩნია, რომ ვინმეს მიმართ ცინიკური ან ქედმაღლური დამოკიდებულება მაქვს. შეიძლება, ცინიკური კომენტარები მაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ქედმაღლურ დამოკიდებულებას. ჩვენ ვცდილობთ ოპოზიციასთან კონს-

# "მის საქართველო" After Party

## "იმიჯ-ცენტრმა" სალომე ხელაშვილის პატივსაცემად წვეულება გამართა

რამდენიმე დღის წინ სალომე ხელაშვილის ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. თუ აქამდე იგი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული რიტმით ცხოვრობდა, ამიერიდან სამუდამოდ 2005 წლის ყველაზე ლამაზ ქართველ გოგონად დარჩება. ეს წოდება მისთვის ჯილდოც იქნება და ერთგვარი ტვირთიც. თუ ჯილდოდ პოპულარობას და ხალხის სიყვარულს მიიღებს, მსხვერპლად მუდმივად ყურადღების ქვეშ ყოფნისა და სამომავლო წარმატებების მიღწევის აუცილებლობის გაღება მოუწევს.

გუშინ "მის საქართველო 2005-ის" სახელზე კომპანია "იმიჯ-ცენტრმა" (სალომე სწორედ ამ სააგენტოს წარმოადგენს) რესტორან "მეიდანის" კლუბში ე.წ. After Party გამართა. საღამოზე მიწვეულ სტუმრებს რიტმული მუსიკისა და, ზოგადად, სასიამოვნო გარემოს გარდა მასპინძლები - "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელი ია კიწმარიშვილი, ამ სააგენტოს გოგონები და "მის საქართველო 2005-ის" სამივე პრიზიორი სალომე ხელაშვილი, ეკა ბუაძე და მარი ნურიევა დახვდნენ.

წვეულების სტუმრებს საშუალება მიეცათ, უფრო ახლოდან ენახათ და ხელმეორედ შეეფასებინათ გამარჯვებული სამეული. თითქმის ყველა აღიარებდა, რომ ეს გოგონები მართლაც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან. აქვე იყო გასული წლის "მის საქართველო" სალომე ჩიკვილაძე, რომელიც სეხნია სალომე ხელაშვილთან ერთად ძირითადად ფოტოგრაფების წინაშე პოზირებით იყო დაკავებული. მანამდე კი "მის საქართველო 2005" ავტოგრაფებს არიგებდა და თაყვანისმცემლებთან სასაუბროდაც იცლიდა.

ორიოდე თვეში სალომეს ახალი გამოცდა ელის - მას კიდევ ერთხელ მოუწევს იმის დამტკიცება, რომ სილამაზის დედოფლის გვირგვინი დამსახურებულად მოიპოვა. წინ "მის მსოფლიოს" კონკურსია, რომელიც თავისი პრესტიჟულობისა და პოპულარობის გამო უდიდეს ინტერესს იწვევს. ამ მნიშვნელოვან კონკურსზე საქართველო უკვე მესამე წელია მონაწილეობს. 2003 წელს ირინა ონაშვილმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია, როდესაც ტალანტების კონკურსის გამარჯვებული გახდა. ამჯერად სალომე ხელაშვილის ჯერია. იგი უკვე მთელი დატვირთვით ემზადება კონკურსზე გასამგზავრებლად.

**- სალომე, როგორ ემზადები "მის მსოფლიოზე" გამგზავრების წინ?**

- ინტენსიურად ვვარჯიშობ. თითქმის ყოველ დღე აუზზე დავდივარ და საათობით ვცურავ. გარდა ამისა, სპეციალურ დიეტას ვიცავ. მართალია, ეს ყველაფერი ფიზიკურად დამღლელია, მაგრამ ვიცი, რომ უნდა ავიტანო - წინ ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსი მელის.

**- არანაკლები დატვირთვა გქონდა "მის საქართველოს" კონკურსის წინაც...**

- შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე რთული ერთი თვე ჩემს ცხოვრებაში. გამუდმებული ფიზიკური დატვირთვის ქვეშ ვიყავი, არ მქონდა ერთი თავისუფალი წუთიც, მეგობრებისა და ოჯახის წევრების ნახვას საერთოდ ვერ ვახერხებდი. თუმცა, კარგად ვაცნობიერებდი, რომ გარკვეული რეჟიმი წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო. როგორც ხედავთ, ეს მსხვერპლი დამიფასდა.

**- როგორ შეხვდნენ შენს გამარჯვებას ოჯახის წევრები? ადვილი წარმოსადგენია, როგორ ელოდნენ გამარჯვებულის სახელის გამოცხადებას...**

- ჩემი ოჯახი უზომოდ ბედნიერია. ცხადია, კონკურსის დღეს ჩემთან ერთად ნერვიულობდნენ. გამარჯვების შემდეგ ვიგრძენი, რომ გარშემო მყოფებმა უფრო ირწმუნეს ჩემი, მეტი პატივისცემითა და სიყვარულით მექცევიან. მიხარია, რომ შევძელი საკუთარ შესაძლებლობებში მათი დარწმუნება.

**- წლევანდელ კონკურსზე მთავარ პრიზად არც ავტომანქანა იყო და არც ბინა. ამის გამო გული ხომ არ დაგწყდა?**

- ცხადია, არა, მე ხომ "მის საქართველო" გავხდი! ამაზე დიდი პრიზი და დაფასება რა უნდა იყოს!

**- როგორი დამოკიდებულება გაქვს დანარჩენ კონკურსანტებთან?**

- ყველას გაუხარდა ჩემი წარმატება. ერთმანეთთან ვმეგობრობთ, ამიტომ ჩემი არავის შეშურებია. ჩვენს შორის თავიდანვე მეგობრული განწყობა ჩამოყალიბდა და არც მიფიქრია ვინმეს გავჯიბრებოდი. არ ვარ იმ ტიპის ადამიანი, რომელიც სხვების ხარჯზე პირველობისთვის იბრძვის, მით უმეტეს, რომ მთელი ცხოვრება ვილაც მეჯიბრებოდა და ვიცი, ეს რა ცუდი შეგრძნებაა.

**- რამდენად შეიცვალა შენი ცხოვრება კონკურსში გამარჯვების შემდეგ?**

- უფრო მრავალფეროვან და საინტერესო გარემოში აღმოვჩნდი. გარდა ამისა, უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ვიცი, რომ ბევრს აქვს ჩემი იმედი, რომელიც აუცილებლად უნდა გავამართლო.

















Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია;სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

# რუსთავი 2

## პროგრამა "კურიერი"



**წამყვანი კაცი**. მოგესალმებით!

**წამყვანი ქალი**. მოგესალმებით!

**წამყვანი კაცი**. ადრე უფრო გიყვარდით...

**წამყვანი ქალი**. ახლა - ნაკლებად...

**წამყვანი კაცი**. ...მაგრამ მაინც ჩვენ გვიყურებთ.

**წამყვანი ქალი**. ტრადიციულად, "კურიერი" ერთი საათი გრძელდება, მაგრამ დღეს შეიძლება სამი საათიც გაგრძელდეს...

**წამყვანი კაცი**. პრეზიდენტის ბრიფინგი გვაქვს პირდაპირ ეთერში და, ალბათ, სამი საათი გაიჭიმება...

**წამყვანი ქალი**. ასფალტებზე ლაპარაკს ნახევარ საათს მოანდომებს, ფასადებზე - თხუთმეტ წუთს, შადრევნებზე - ათ წუთს, სკვერებზე - ოც წუთს, პატრულზე - ერთ საათს, ჯინიანებზე და ნიჰილისტებზე - საათნახევარს...

**წამყვანი კაცი**. და აი, ჩვენი პირველი ჩართვაც, ერთ-ერთი ბატალიონიდან.

**კორესპონდენტი კაცი.** დიახ... ჩვენ დღეს ჯარისკაცებს ვესტუმრეთ. თავდაცვის მინისტრიც აქ გახლავთ. ისეთი ამაღლებული განწყობაა, რომ აი, რა ვიცი... მინისტრმა "ბორში" რიგით ჯარისკაცებთან ერთად მიირთვა... /მიკროფონს მინისტრს აჩეჩებს/ მოგწონთ "ბორში"?

**მინისტრი**. ყველაფერს დაგიბრუნებთ... ცოტაც მაცალეთ...

**კორესპონდენტი კაცი**. "ბორში" თუ მოგწონთ?.. "ბორში"... გვინდა, რო თქვენი თავი მაყურებელს შევაყვაროთ... უშუალო იყავით...

**მინისტრი**. ჩემი იმიჯი მაქ და...

**კორესპონდენტი კაცი**. არა, დღეს კეთილი იყოსო, პრეზიდენტს უთხოვია...

წმინდა გიგას დაურეკავს ჩვენი ხელმძღვანელისთვის...

**მინისტრი**. ხოო?.. ნაღდად?!

**კორესპონდენტი კაცი**. ყველა ამომიწყდეს... ცოცხალი არ მენახოს არავინ!

**მინისტრი**. კი... ესე იგი... კაი სუპი აქვთ... პიურეც...

**კორესპონდენტი კაცი**. ბატონო მინისტრო, როდის დაგვიბრუნებთ იმეებს?

**მინისტრი**. ტერიტორიებს?

**კორესპონდენტი კაცი**. ხო... უცებ სიტყვა ვერ გავიხსენე... პირდაპირ ეთერში ძაან ვიძაბები...

**მინისტრი**. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს... 2007 წლისთვის სახლიდან გაქცეული ცოლების უმრავლესობას უკან, ქმრებთან დავაბრუნებთ... პრეზიდენტმა ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კომისიაც კი გამოყო, რომელსაც გურამ აბსნაძე ჩაუდგება სათავეში...

**კორესპონდენტი კაცი**. /რიგით ჯარისკაცთან გადაინაცვლებს/ როგორი გრძნობაა, როცა მინისტრთან ერთად ჭამთ?

**ჯარისკაცი**. "დედა, აქ ძალიან მომწონს... მეთაური მკაცრია, მაგრამ სამართლიანი... "

**კორესპონდენტი კაცი**. აჰა, გასაგებია... /წამყვანებს, სტუდიაში/ მოკლედ, აი ვერ ვწყდები, რა, აქაურობას, ისეთი კაი სიტუაციაა!..

**წამყვანი ქალი.** ამ რამდენიმე წუთის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან "კურიერს" ექსკლუზიურად აცნობეს, რომ ცოტა ხანში სპეც. დანიშნულების რაზმი სამასაჟე "პოსეიდონში" შევარდება... ვრთავთ პირდაპირ ეთერში სამასაჟეს მიმდებარე ტერიტორიას.../კორესპონდენტ გოგონას/ რა სიტუაციაა ამჟამად "პოსეიდონთან"?

**კორესპონდენტი გოგონა**. ვაიმე, აი ამ წუთას ველაპარაკე ქალაქის მერს და შინაგან საქმეთა მინისტრსაც და ნუ, აი, პროსტა, ძაან ვიხალისე... ქალაქის მერი არი ჩემი აი მართლა ბავშვობის მეგობარი... დედა მომიკვდეს, მინისტრებზეც ვაფრენ, მარა მერი მაინც მერია, რა!.. კიკეთიი... წყნეთიიი... მთელი ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული... და ახლა მინდა რო, უბრალოდ, პირდაპირი ეთერით ვისარგებლო და მივმართო უკლებლივ ყველა ჩინოსანს, რა დამირეკეთ დღის ნებისმიერ დროს! არ მოგერიდოთ... რა ვიცი, მემეგობრეთ... მეჭორავეთ... თქვენზე ისეთ ინფორმაციას გავუშვებ, როგორიც თქვენ მოგინდებათ... თუ მეთაკილებოდეს, დედა მომიკვდეს!

**წამყვანი ქალი**. ...და მაინც, რა სიტუაციაა ამჟამად სამასაჟესთან?

**კორესპონდენტი გოგონა**. ნუ, როგორც პრივატულ საუბარში მითხრა შინაგან საქმეთა მინისტრმა, სპეცნაზელები ვითომ საბანაოდ შევლენ საუნაში და დაიბანენ კიდეცო, მაგრამ ნიღბებს სახიდან მაინც არ მოიხსნიან...

**წამყვანი კაცი**. ვისი დაჭერა აქვთ გადაწყვეტილი?

**კორესპონდენტი ქალი**. აუ, ვითომ ვერ ხვდებით, არა?!.. აი, სპეცნაზელებს პირველი დაკავებულიც გამოყავთ...

**წამყვანი კაცი**. რომელია, ვერ ვხედავ...

**წამყვანი ქალი**. ...ზეწარშემოხვეული.

**კორესპონდენტი გოგონა**. /დაკავებულს მიეჭრება/ რას გრძნობთ ამ წუთას?

**დაკავებული, ზეწარშემოხვეული ქალბატონი.** /ისტერიულად/ გაუმარჯოს პატრულს!

**კორესპონდენტი გოგონა**. /წამყვანებს მიმართავს/ ჩემი აზრით, ძაან ცოდოა...

**წამყვანი კაცი**. დავუბრუნდეთ დღის სხვა სიახლეებს.

**წამყვანი ქალი**. პრეზიდენტის ბრძანებით, საქართველოს ტერიტორიაზე მოთარეშე ქარიშხლებს, ამერიკული "კატრინასა" და "ოფელიას" წაბაძვით - აშშ-ს პრეზიდენტის საპატივცემულოდ - ეწოდოს მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ქართული სახელები. მაგალითად: ქარიშხალი "მანანა", ქარბორბალა "ნინუკი" და ა.შ. ასევე, პრეზიდენტის ბრძანებით, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩას სახელი შეეცვლება და პრეზიდენტ ბუშის ძმების ქუჩა დაერქმევა...

**წამყვანი კაცი**. ახლა კი რეპორტაჟი შარდენის ქუჩიდან, სადაც ჩვენი ჩინოსნები შაბათ-კვირას ატარებენ...

**კორესპონდენტი ქალი**. დიახ... აქაური კაფეები მართლაც სავსეა ჩვენი მინისტრებითა თუ გუბერნატორებით... კახეთის გუბერნატორი, მაგალითად, აქ უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე თავის გუბერნიაში... აგერ, ეკონომიკის მინისტრსაც ვხედავ - ფეხები აუწყია მაგიდაზე... უცხოეთშია ნასწავლი და ასე ჯდომის გამოცდილება იქ მიუღია...

**წამყვანი ქალი**. /სტუდიიდან, კორესპონდენტს/ რომელიმეს გაესაუბრე!.. ბავშვიც ხომ არ ყავს ვინმეს მიყვანილი... მაყურებელი ავატიროთ.

**კორესპონდენტი ქალი**. /რომელიღაც მინისტრის ბავშვთან მივარდება/ ელიტარულო ბავშვო, რას გრძნობ ამ წუთას?.. კაია აქ ყოფნა?

**ბავშვი**. /დაიკივლებს/ გაუმარჯოს პატრულს!

**კორესპონდენტი ქალი**. /წამყვანებს მიმართავს/ მოკლედ, ხო ხედავთ, თავისებურად, ძაან ამაღლებული სიტუაციაა...

**წამყვანი ქალი**. და აი, როგორც გვაცნობებენ, პრეზიდენტმა თავისი ბრიფინგი დაიწყო...

**წამყვანი კაცი**. ერთ სამ-ოთხ საათში ისევ გაგრძელდება ჩვენი პროგრამა...

**პრეზიდენტი.** /მიკროფონებშია ჩაფლული/ დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩვენი ყველა ცინიკოსის ჯინაზე მაინც დავაგებთ ასფალტს... თან, ერთი და იმავე ადგილას - ხუთჯერ და ათჯერ... სახლის ფასადებზეც ასფალტს წავაცხებთ - ნიჰილისტების ჯინაზე - და ჩვენ ასფალტს მთელ მსოფლიოში გავუთქვამთ სახელს...

# თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო

ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბიპი"-

ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს

"ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი გამომდინარე;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი

თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა ხუთშაბათი, 2005 წლის 20 ოქტომბერი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP ჯორჯია

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

bp btc SCP South Caucasus Pipeline

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

ბოლნისის რაიონის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო (მის. ქ. ბოლნისი ს.ს. ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა II სართული, "სახალხო ბანკი"-ს ბოლნისის ფილიალი ა/ა 220101429) აცხადებს ღია ტენდერს საკონცერტო აპარატურის შესყიდვისათვის და იწვევს ღია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობა

ბოლნისის რაიონის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოსათვის საკონცერტო აპარატურის შესყიდვის პროგრამა

1. ხმის გამაძლიერებლები დინამიკებით დახურულ დარბაზში და ღია ცის ქვეშ ფუნქციონირებისათვის (4 კვტ-დან 10 კვტ-მდე);

2. მიქშერი (16-არხიანი და ზევით);

3. შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა (სადენები, ეკვალაიზერი, მიკროფონები - 8 ც.);

4. ფერადი განათების მოწყობილობები ვიზუალური ეფექტისთვის (სკანერები სამართავი მიქშერით, კვამლის მოწყობილობები, ფერადი განათების ნათურები) შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფით.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 28 ოქტომბრიდან 2005 წლის 4 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106, ბოლნისის რაიონის გამგეობის შენობა II სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

5. სატენდერო განცხადება, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტის სრული დასახელება რეკვიზიტებისა და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.

6. შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება ღირებულებასა და ხარისხს.

7. იურიდიული პირი ვერ მიიღებს პრეტენდენტის სტატუსს, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. შერჩეულ პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა II სართული.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონზე: 893 336288**

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსაო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/203

მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE

ქ. ქუთაისში ავტომშენებლის და ირაკლი აბაშიძის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით

ა) ქ. ქუთაისში ავტომობილის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 54467 კვ მ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარისა და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 300 გრძ.მ წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № KYS/203/01). სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.

ბ) ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 33332 კვ მ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარისა და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 270 გრძ.მ წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი № KTS/203/02). სამუშაოების ხანგრძლივობაა 3.5 თვე.

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი ორივე ან ნებისმიერი ერთ-ერთი კონტრაქტისათვის.

2. ტენდერი ჩატარდება ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში).

3. კონკურსის მონაწილის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა უნდა იყოს:

კონტრაქტი № KTS/203/01: მინიმუმ 5,600,000 (ხუთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარი;

კონტრაქტი № KTS/203/02: მინიმუმ 4,400,00 (ოთხი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი.

მინიმალური ლიკვიდური აქტივებისა და კრედიტის მოზიდვის საშუალებების თანხა (კონკურსის მონაწილის სხვა ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო თანხის გამოკლებით) უნდა იყოს:

კონტრაქტი № KTS/203/01: მინიმუმ 1,900,000 (ერთი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარი;

კონტრაქტი № KTS/203/02: მინიმუმ 1,300,000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარი.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი, 0105, ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის (რომელიც შეიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 180 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი "რესპუბლიკა", გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757.

ლარის ანგარიში № 3834080001.

ბენეფიციარი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

5. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 26 ოქტომბრის 13.00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 47000 (ორმოცდაშვიდი ათას) ლარზე კონტრაქტი № KTS/203/01-სთვის, და 26000 (ოცდაექვსი ათას) ლარზე კონტრაქტი № KTS/203/01-სთვის. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 26 ოქტომბერს 13.00 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

6. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

# განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. შპს "სინათლე"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე " ცემენტის მისაღები ნედლეულის (კლინკერის) დაფქვის (პორტლანდცემენტის მიღების მიზნით) პროექტი.
2. შპს "თანი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "ინერტული მასალების გადამუშავების პროექტი"
3. შპს "ქიმიანი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე "ქ. თბილისის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე მშენებარე გაუვარგისებული სამედიცინო პრეპარატების, პესტიციდებისა და ნავთობური ნარჩენების განადგურების მინი დანადგარის" პროექტი
4. შპს "ევროცემენტი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი"
5. შპს "მტკვარი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე "ასფალტობეტონის ქარხნისა და ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო"-ს გზშ ანგარიში
6. ასპინძის რ-ნის სოფ. ხიზაბავრის წყალმომხმარებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი გ. კელოშვილის მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, სარწყავი წყლის გამოყენების პროექტი
7. შპს "შევარდენი" -ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "თევზის მეურნეობის შექმნის პროექტი"
8. შპს "ოქროს ქედი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, მიწისქვეშა წყლების რესურსების შესწავლა-მოპოვების პროექტი

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 13 ოქტომბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

მის: თბილისი, გულუას N6.

1

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „აბაშიძის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**დავით ბობოხიძე**

1977 წელს ვიყიდე კერძო სახლი თბილისში, რომელიც მხოლოდ ჩემს საკუთრებაში არის დღემდე (მაქვს საჯარო რეესტრის შესაბამისი დოკუმენტი). 1980 წელს დავოჯახდი და მას შემდეგ ხსენებულ სახლში ვცხოვრობ მეუღლესა და ორ ვაჟთან ერთად, მათგან ერთი ვაჟი რეგისტრირებულია ჩემს სახლში, მეუღლე და მეორე ვაჟი სიდედრის ბინაში არიან რეგისტრირებულნი. 1981-1985 წლებში სახლში ჩაწერილი იყო ჩემი და, რომელიც 1986 წელს გათხოვდა და ცხოვრობს დღემდე რაიონში. პასპორტი მას აქვს საბჭოური, სადაც დაფიქსირებულია მისი ჩაწერა, ამოწერით არ ამოწერილა. გთხოვთ, განმიმარტოთ, ჩემს საკუთრებაში არსებულ სახლზე რა უფლებებით სარგებლობს ჩემი და, მის ასეთ ჩაწერას რაიმე მნიშვნელობა აქვს თუ არა? რა უფლებები აქვთ მეუღლეს და შვილებს?

ბატონო დავით,

სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 311. საჯარო რეესტრის დანიშნულება**

1. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები.საჯარო რეესტრში შეიძლება ასევე რეგისტრირებული იყოს მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები.

ამრიგად, სახლის მესაკუთრეა ის, ვინც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მესაკუთრედ. სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 1161. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება**

თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს:

ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ. ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

რადგან თქვენ სახლი შეიძინეთ ქორწინებამდე, ამიტომ 1161-ე მუხლის შესაბამისად თქვენ მეუღლეს არ აქვს რაიმე უფლება ამ სახლზე. 1336-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები**

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

თქვენ მეუღლესა და შვილებს აქვთ მხოლოდ ამ სახლის მემკვიდრეობით მიღების უფლება, სხვა რამ უფლება კი არ გააჩნიათ. რაც შეეხება თქვენს დას, სახლში ჩაწერა არ წარმოადგენს რაიმე უფლების წარმოშობის საფუძველს, ანუ ამით არ წარმოიშობა სახლზე საკუთრების უფლება, საკუთრების უფლების წარმოშობისათვის სავალდებულოა პირის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, კერძოდ 1996 წლის კანონის "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით:

**მუხლი 2.**

3. რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, მათ შორის საკუთრების განკარგვის უფლების შეზღუდვის საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**გურამ ზ-ე**

აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებულ ადგილას მაქვს მიწის ნაკვეთი ხეხილის ბაღითა და საბოსტნე ადგილით, აშენებული მაქვს კაპიტალური სახლი (ორი ოთახი ვერანდით), აგრეთვე სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობა (საძროხე, საქათმე, საღორე), მყავს ფრინველი და საქონელი. სახლი აშენებულია 1984 წელს. ვცხოვრობთ მე და ჩემი მეუღლე. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა გზით შემიძლია აღნიშნული მიწის ნაკვეთი და სახლი ოფიციალურად დავიმტკიცო, რა არის ამისათვისსაჭირო და ვის მივმართო?

ბატონო გურამ,

სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 311. საჯარო რეესტრის დანიშნულება**

1. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები.საჯარო რეესტრში შეიძლება ასევე რეგისტრირებული იყოს მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები.

ამრიგად, მიწაზე და სხვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა სანივთო უფლების(აღნაგობა, უზუფრუქტი, პირადი სერვიტუტი) წარმოშობისათვის საჭიროა, პირი რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში მესაკუთრედ ან სხვა სანივთო უფლების მქონედ. თუ თქვენ არ გაგაჩნიათ მითითებული უფლებები, მაშინ არ იქნებით იურიდიულად უფლებამოსილი აღნიშნულ ქონებაზე. თქვენ საკითხის გასარკვევად უნდა მიმართოთ ქ.თბილისის მერიას.

**გუგული დუჩიძე**

ქ.თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად სერიოზულად დაზიანდა ქ.წამებულის ქუჩაზე მდებარე ჩემი კუთვნილი კერძო სახლი. სახურავი 0,5 მეტრით გადაიწია, ერთი კედელი ჩამოინგრა, დანარჩენი დაბზარულია, სახლი საცხოვრებლად უვარგისია. აღნიშნულზე ისნის რაიონის გამგეობაში გავიარე რეგისტრაცია, მაგრამ დღემდე კომისიაც კი არ მოსულა, ამ საკითხზე მომუშავე სამსახური კი გამგეობაში გაუუქმებიათ. ვინაიდან სახლის აღდგენის საშუალება არ მაქვს, გთხოვთ, მაცნობოთ რა სამსახურს მივმართო დახმარებისათვის?

ქალბატონო გუგული,

რადგან თქვენი სახლი წარმოადგენს კერძო საკუთრებას, სახელმწიფოს არ ევალება, გაგიწიოთ რაიმე დახმარება. თქვენ ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, აფინანსებს თუ არა სახელმწიფო ანდა ადგილობრივი თვითმმართველობა მსგავს შემთხვევებს და გეკუთვნით თუ არა რაიმე დახმარება, შეგიძლიათ, მოიპოვოთ ქ.თბილისის მერიაში განცხადების მიმართვით, რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია, მოგცეთ ამომწურავი პასუხი.

**ერნესტ ღვინჯილია**

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს 2004 წლის 8 ნოემბრის ნომერ 201 განკარგულებით სამუშაოდან განთავისუფლებული ვარ საპენსიო ასაკის გამო. სამუშაო სტაჟი მაქვს 40 წელი, მინისტრთა საბჭოში 11 წელზე მეტი. გაზეთ "24 საათი"- დან შევიტყვე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული მუხლით განთავისუფლებულ საჯარო სამსახურში მომსახურე პირების შესახებ. გთხოვთ, განმიმარტოთ და შემატყობინოთ: 1) მეკუთვნის თუ არა 3 თვის კომპენსაცია, 2) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი, დასახელება, სად შეიძლება გავეცნოთ მას? 3) რა პასუხს აგებს საჯარო სამსახურის ხელმძღვანელი საკონსტიტუციო სასამართლოს შეუსრულებლობის (იგნორირების) შემთხვევაში?

ბატონო ერნესტ,

თქვენი კითხვის პასუხად გთავაზობთ ამონარიდს საკონსტიტუიო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან:

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება N1/3/301**

**საქართველოს სახელით**

2005 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

I. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს მოქალაქეების - დავით სილაგაძის, ლიანა დარსანიასა და ეკატერინე წოწონავას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად საქართველოს კონსტი-ტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტთან და 32-ე მუხლთან მიმართებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თა-ობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი - "საჯარო სამსახურის შე-სახებ" კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან "საჯარო სამსახურის შე-სახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით).

II. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 137-ე მუხ-ლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 47-ე მუხ-ლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით) იურიდიულად ძალადა-კარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

III. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართ-ლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტები აღსრულ-დეს არა უგვიანეს 2006 წლის 1 იანვრისა.

V. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადე-ბის მომენტიდან.

VI. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

VII. ამ გადაწყვეტილების პირი გაეგზავნოს მხა-რეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

VIII. გადაწყვეტილება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

ამრიგად, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვლისწინებული კომპენსაციების გაცემა შეჩერდეს 2006 წლის 1-ელ იანვრამდე, საკონსტიტუციო სასამართლომ არ ცნო არაკონსტიტუციურად. უნდა აღინიშნოს, რომ დააკმაყოფილა რა ნაწილობრივ საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი და დაევალა სახელმწიფოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, თუ სახელმწიფო ბიუჯეტმა არ გაითვალისწინა მითითებული ვალდებულება, ისე ვერ მოხერხდება ამ ვალდებულების შესრულება. სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად:L

**მუხლი 381. განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა**

ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან ტუსაღობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა: ამ კარით დადგენილი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსაც.

**ვახტანგ ღოლობერიძე**

1996 წელს 8 თებერვალს ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ გამასამართლა 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი ქვეპუნქტით და 243-ე მუხლის მესამე ნაწილით და მომისაჯა 7 წლით პატიმრობა 1993 წლის აგვისტოში ჩადენილი დანაშაულისათვის. კოლონიიდან გავთავისუფლდი შეწყალების კომისიის დადგენილებით 1997 წლის თებერვალში. ამის შემდეგ დავამთავრე ფიზიკის ფაკულტეტი და ეხლა ვარ ინდ.მეწარმე. მაინტერესებს, მომეხსნა თუ არა ავტომატურად ნასამართლობა, თუ ამისათვის საჭიროა სპეციალური პროცედურა. ამ შემთხვევაში ვის უნდა მივმართო და რა საბუთებია საჭირო?

ბატონო ვახტანგ,

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის და მე-12 მუხლის თანახმად:

**მუხლი 79. ნასამართლობა**

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

**მუხლი 12. დანაშაულის კატეგორიები**

1. ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული;

ბ) მძიმე დანაშაული;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

3. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

4. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ამრიგად, 79-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული ვადის გასვლის შემთხვევაში, ნასამართლობა იხსნება ავტომატურად ყოველგვარი სასამართლო პროცედურების გარეშე.

**გივი მაჭარაშვილი**

მაქვს ბინა, მსურს მოვახდინო მისი პრივატიზირება, საგადასახადოში მთხოვენ 12% საშემოსავლო გადასახადის გადახდას, რამდენად სამართლიანია მათი მოთხოვნა?

ბატონო გივი,

საგადასახადო კოდექსის 168ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 167-ე მუხლის თანახმად:

.მუხლი 166. დაბეგვრის ობიექტი

1. რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

მუხლი 167. გადასახადის განაკვეთი

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 12 პროცენტით.

ამრიგად, თქვენ სახელმწიფო გადმოგცემთ რა უსასყიდლოდ ბინას საკუთრებაში, იგი წარმოადგენს ქონებრივ შენაძენს, რაც საგადასახადო კოდექსით ითვლება შემოსავლად, ამიტომ მითითებული კოდექსის შესაბამისად ვალდებული ხართ, გადაიხადოთ 12% პროცენტი ბინის საფასურისა.

**რევაზ ასათიანი**

დეპარტამენტს აინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლომ ნამდვილად არადამაკმაყოფილებლად სცნო თუ არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის შეჩერება და მისი აღსრულების ვადად განსაზღვრა თუ არა 2006 წლის 1-ლი იანვარი.

ბატონო რევაზ,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2005 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა შემდეგი (გთავაზობთ ამონარიდს გადაწყვეტილებიდან თქვენთვის საინტერესო საკითხზე):

"I. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს მოქალაქეების - დავით სილაგაძის, ლიანა დარსანიასა და ეკატერინე წოწონავას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად საქართველოს კონსტი-ტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტთან და 32-ე მუხლთან მიმართებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თა-ობაზე" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი - "საჯარო სამსახურის შე-სახებ" კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან "საჯარო სამსახურის შე-სახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით).

II. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 137-ე მუხ-ლის მე-2 პუნქტი (ამ პუნქტის ჩამონათვალიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 47-ე მუხ-ლის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 109-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამორიცხვით) იურიდიულად ძალადა-კარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

III. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართ-ლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტები აღსრულ-დეს არა უგვიანეს 2006 წლის 1 იანვრისა.

V. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადე-ბის მომენტიდან.

VI. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

VIII. გადაწყვეტილება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში."

**თინა კაციტაძე**

ეს სახლი ეკუთვნის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას. სახლი შედგება ოთხი სადარბაზოსაგან. 1-ლი და მე-2 სადარბაზოს გამზირის მხრიდან სარდაფებსა და პირველ სართულზე კერძო მესაკუთრეებს გახსნილი აქვთ ხუთი ორ სართულიანი მაღაზია, რომელთაგან ერთ-ერთ მათგანს ჩვენს ეზოში აქვს საწყობი. აღნიშნულ მაღაზიებში მთელი დღის მანძილზე მოდიან სატვირთო მანქანები, აზიანებენ ასფალტს და აბინძურებენ ეზოს, ყრიან ყუთებს და სხვა საგნებს, რომელიც იწვევს ანტისანიტარიას. ეს მაღაზიები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ სახლის მოვლა პატრონობაში (მაგ. სახურავის შეკეთებაში, სანიტარიულ მომსახურეობაში, წყლის დაზიანებული მილების გამოცვლაში და კანალიზაციის გაწმენდაში). აღნიშნულის მოსაგვარებლად სახლის მობინადრეები ყოველთვიურად ვიხდით თანხას. გთხოვთ, გვიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა მაღაზიებს თანხის გადახდა, ე.ი. წილში შემოსვლა მოსახლეობასთან?

ქალბატონო თინა,

სამოქალაქო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის და 220-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე 231-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 219. ბინის მესაკუთრეთა მოვალეობანი**

1. ბინის მესაკუთრე მოვალეა:

ა. ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილები, აგრეთვე საერთო საკუთრება, რომ ამით არ შეილახოს მესაკუთრეთა ერთად ცხოვრების წესები და არ მიადგეთ მათ ზიანი;

ბ. იზრუნოს იმისათვის, რომ შენობაში განთავსებულ მის საწარმოში დასაქმებულმა პირებმა ან მათ, ვისაც იგი მის ინდივიდუალურ ან საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ან შენობის ნაწილებს სარგებლობაში გადასცემს, დაიცვან "ა" ქვეპუნქტში მოცემული მოვალეობანი;

გ. ითმინოს ზემოქმედებანი მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ შენობის ნაწილებსა და საერთო საკუთრებაზე, თუ ეს ზემოქმედებანი შეესაბამებიან "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ პირობებს;

დ. ნება დართოს უფლებამოსილ პირებს, შევიდნენ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ შენობის ნაწილებში და გამოიყენონ ისინი, თუკი ეს აუცილებელია საერთო საკუთრების სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად და მისთვის მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად; ამ დროს წარმოშობილი ზიანი უნდა ანაზღაურდეს;

ე. ითმინოს ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია საკომუნიკაციო და მომარაგების ობიექტების მოსაწყობად. მესაკუთრე, რომლის სასარგებლოდაც ტარდება ამგვარი ღონისძიებები, ვალდებულია აანაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.

**მუხლი 220. საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება**

2. შენობაში მისი ბინის მდებარეობის მიუხედავად, ყოველი ბინის მესაკუთრე სხვა ბინის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულია თავისი წილის შესაბამისად გასწიოს საერთო საკუთრების ხარჯები, კერძოდ, სახლის სათანადო მდგომარეობაში შენახვის, მიმდინარე რემონტის, მართვისა და საერთო საკუთრების ერთობლივი სარგებლობის ხარჯები.

**მუხლი 231. ბინის რემონტის მოვალეობა**

1. ყოველი ბინის მესაკუთრე სხვა ბინის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულია იკისროს საერთო საკუთრების მოვლის, შენობის მიმდინარე რემონტის, მართვისა და სხვა ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ხარჯები და გადასახდელები გაიღება თითოეული ბინის მესაკუთრის წილის ღირებულების ოდენობით.

3. მიმდინარე წლისათვის განსაზღვრული ხარჯები თორმეტ თანაბარ ნაწილად უნდა იქნეს გადახდილი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. თუკი შენობის სათანადო შენახვის სახსრების შეგროვება გათვალისწინებული არ არის, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია შენობის რემონტის შესახებ განცხადების გაკეთებამდე მოითხოვოს ამ თანხების წინასწარი გადახდა.

ამრიგად, მრავალბინიან სახლებში ბინის მოვლა-პატრონობასთან ერთად, ყოველ მესაკუთრეს ევალება საერთო საკუთრებაში არსებული შენობის მოვლა-პატრონობაც, არ აქვს მნიშვნელობა, საცხოვრებლად იქნება ბინა გამოყენებული თუ სხვა დანიშნულებით.

**თინა კაციტაძე**

ჩვენი სახლი ამხანაგური სახლია. სახლს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც უვლის სახლს. სახლს აქვს შექმნილი ყოველთვიური გადასახადი, რომელსაც შევარქვით სახლის ფონდის თანხა, რომელსაც ვხმარობთ დაზიანებული წყლის მილების გამოცვლა, კანალიზაციის გაწმენდა, სახლის სახურავის შეკეთება, ლიფტების შეკეთება და ა.შ. ამ სახლში ჩაწერილია და ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომელსაც ოთხი ოთახი აქვს. ახლა ამ ოჯახმა იყიდა ეზოიანი სახლი და იქ გადავიდა საცხოვრებლად. მათ შეწყვიტეს ყოველგვარი გადასახადის გადახდა, არ იხდიან ფონდის ფულს, განათების (ეზოსი და სადარბაზოსი), ლიფტის და ა.შ. გთხოვთ, გვიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა ამ ოჯახს სახლის ფონდის, განათების და სხვა გადასახადის გადახდა. ისინი ხშირად მოდიან და სახლს ამოწმებენ.

ქალბატონო თინა,

სამოქალაქო კოდექსის 231-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 231. ბინის რემონტის მოვალეობა**

1. ყოველი ბინის მესაკუთრე სხვა ბინის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულია იკისროს საერთო საკუთრების მოვლის, შენობის მიმდინარე რემონტის, მართვისა და სხვა ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ხარჯები და გადასახდელები გაიღება თითოეული ბინის მესაკუთრის წილის ღირებულების ოდენობით.

3. მიმდინარე წლისათვის განსაზღვრული ხარჯები თორმეტ თანაბარ ნაწილად უნდა იქნეს გადახდილი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. თუკი შენობის სათანადო შენახვის სახსრების შეგროვება გათვალისწინებული არ არის, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია შენობის რემონტის შესახებ განცხადების გაკეთებამდე მოითხოვოს ამ თანხების წინასწარი გადახდა.

ამრიგად, ყოველი მესაკუთრე ვალდებულია გასწიოს შესაბამისი ხარჯები, მგრამ რადგანაც აღნიშნული პირი არ ცხოვრობს მუდმივად ბინაში, მას შეიძლება დაეკისროს ხარჯის ნაწილი იმ რაოდენობით, რა დროსაც დაჰყოფს ბინაში, ანუ საკითხი უნდა გადაწყვიტოთ მოლაპარაკებით, კერძოდ დეტალურად განსაზღვროთ საბინაო ამხანაგობის დებულებით მსგავსი შემთხვევები, რაც წინააღმდეგობაში არ მოვა კანონთან.

# რაზე ოცნებობენ ქალები


ანჯელინა ჯოლი

აღმოჩნდა, რომ ლამაზმანი და სპორტსმენი ანჯელინა ჯოლი, მამაკაცთა გარდა ქალთა გულების მპყრობელიცაა. მსოფლიოს ახალგაზრდა და ასაკოვანი ქალბატონები სიამოვნებით ადევნებენ თვალს მის კარიერას, რომანებსა და აყვანილი შვილების აღზრდას, მოკლედ, ყველაფერს, რაც მის ცხოვრებას უკავშირდება. თითქმის ყველა ქალს სურს იყოს "ანჯელინასნაირი", მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ მას ერთს გამოსდის.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა მოიფიქრეს, თითქოს ჯოლის ფიზიკური მონაცემების გარდა რაღაც სხვა საიდუმლოც უნდა ჰქონოდა. მაგალითად, ის კარგი საყვარელი უნდა ყოფილიყო, დაასკვნეს ქალებმა...

ევროპული სოციოლოგიური ასოციაციის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქალების დიდი ნაწილი ოცნებობს ისე მოიქცეს, როგორც ანჯელინა ჯოლი საძინებელში იქცევა. 2 ათასი გამოკითხული ქალიდან მესამედმა აღიარა, რომ ძალიან აინტერესებდა, რა სასიყვარულო ხერხებს იყენებდა მსახიობი.

გამოკითხვის შემდეგ ცნობილი გახდა ისიც, რომ ანჯელინა ჯოლის მხოლოდ შავკანიანი ჰოლი ბერი უწევს კონკურენციას. ქალები დარწმუნებული არიან, რომ მამაკაცთა ყურადღებას ისიც სასიყვარულო ხელოვნებით იპყრობს. მან რესპონდენტთა ხმების 19 პროცენტი მიიღო.

მესამე და მეოთხე ადგილი დაიკავეს ჰოლივუდელმა დემი მურმა და ახლახან ბრედ პიტისგან მიტოვებულმა ჯენიფერ ენისტონმა.

ამ გამოკითხვის შედეგად ისიც დადგინდა, რომ ქალებს მამაკაცების ნაკლებად სჯერათ. მაგალითად, არც ისე დიდი ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში ანჯელინას ყოფილმა ქმარმა ბილი ბობ ტორნტონმა მეუღლე ცუდად მოიხსენია: "ლოგინში ის სრულიად უგრძნობია და მასთან სექსი სისულელე იყო". ასეთმა ხმაურიანმა განცხადებამ ქალებზე არ იმოქმედა. ისინი მაინც შეეცდებიან ანჯელინასნაირები იყვნენ.

# სამი ფილმის ახალი ვერსია


ტეო ვან გოგი

ცნობილი კინომსახიობები სტივ ბუშემი, სტენლი ტუჩი და ბობ ბალაბანი აწგარდაცვლილი ნიდერლანდელი რეჟისორი ტეო ვან გოგის სამი ფილმის რიმეიქს გადაიღებენ. ახალი პროექტის შესახებ ინფორმაცია ტორონტოს კინოფესტივალზე პროდიუსერებმა გაავრცელეს.

ახალი ვერსიებისთვის შერჩეულია ფილმები "06", Blind Date და Interview. პირველ ფილმში მოთხრობილია იმ ადამიანების ისტორიები, რომლებმაც ერთმანეთი "სექს-ტელეფონით" გაიცნეს. მეორე ფილმი შვილებზე მოტირალი ორი მშობლის ისტორიაა, მესამე - პოლიტიკური ჟურნალისტის ინტერვიუ ტელესერიალის მსახიობთან. ფილმებს ციფრულ ვიდეოზე 2006 წელს ნიუ იორკში გადაიღებენ.

ტეო ვან გოგი 2004 წლის ნოემბერში მაროკოელმა მოჰამედო ბუიერიმ მოკლა. რადიკალმა ისლამისტმა ეს პროტესტის ნიშნად ჩაიდინა. პროტესტი კი მიმართული იყო ფილმ Submission-ის წინააღმდეგ, რომელიც მუსულმანურ ოჯახებში არსებულ ქალთა ძალადობაზე მოგვითხრობდა.

რეჟისორის გარდაცვალებამ ძალიან იმოქმედა კინოსაზოგადოებაზე. ტორონტოში მისი ფილმების - "06/05", All Souls-ის დემონსტრირება დღესაც მიმდინარეობს.

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად: სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.**

**მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.32. ტელ.22 -34-26**

**ყურადღება!**

რესტორანი

**"დაკარგული სამოთხე"**

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

**ტელ. 999-207**

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ
საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები
ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
**ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!



# ვაშა, ბრიტნიმ იმშობიარა!


ბრიტნი სპირსი

23 წლის ბრიტნი სპირსს ბიჭი შეეძინა. სენსაციების მოყვარულებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ - სრულებით ჯანმრთელი ბავშვი სამყაროს ზუსტად ცხრა თვის თავზე მოევლინა. თუმცა ამჟამად მასმედიის წარმომადგენლები ამ სიახლესაც დასჯერდნენ.

ბრიტნის ორსულობის შესახებ პრესა ყველა დეტალს აშუქებდა და აი, როგორც იქნა, სერიალი სახელწოდებით "ბრიტნი ბავშვის მოლოდინშია" დასრულდა. ოთხშაბათს ბრიტნი დედა გახდა. ცნობილია, რომ ბავშვი საკეისრო კვეთის შედეგად ქალაქ სანტა-მონიკას სამედიცინო ცენტრში დაიბადა. მშობიარობის დროს ბრიტნისთან ერთად მისი მეუღლე, უკვე "გამოცდილი" მამა 27 წლის ქევინ ფედერლაინი იმყოფებოდა. მას ორი შვილი პირველი მეუღლისგან, მსახიობ შარ ჯექსონისგან ჰყავს. სპირსისა და ფედერლაინის სიყვარულის ნაყოფის საცქერლად ახალგაზრდა მშობლების ყველა მეგობარ-ნათესავი გამოცხადდა, მათ შორის, პოპ-მომღერლის დედა და და. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდებმა 2004 წლის ოქტომბერში იქორწინეს.

პაპარაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტნიმ სამშობიაროს რამდენიმე თვით ადრე, მეუღლესთან ერთად მიაშურა. მიზეზი ნაადრევი მშობიარობა იყო. პრესა წერდა, რომ ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო სიგარეტიც, რომელსაც მომღერალი თავს ვერაფრით ანებებდა. საბედნიეროდ, ეს ინფორმაცია მხოლოდ ვარაუდი აღმოჩნდა.

ჯერჯერობით უცნობია რას დაარქმევენ ბავშვს. თუმცა, როგორც ბრიტნი აცხადებდა, მან სახელი - ლონდონ პრესტონი შეარჩია. საქმე ისაა, რომ ბავშვის მშობლებმა ერთმანეთი სწორედ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გაიცნეს.

ბრიტნიმ სახელი 16 წლიდან გაითქვა. მან ოთხი ალბომი და საუკეთესო სიმღერების ერთი კრებული ჩაწერა. "ვარსკვლავური მოღვაწეობის" განმავლობაში მომღერალმა თავისი დისკების 60 მილიონამდე ასლი გაყიდა.

# პოლ მაკარტნიმ ახალი ალბომი ჩაწერა


პოლ მაკარტნი

13 სექტემბერს მუსიკალური მაღაზიების თაროებზე ლეგენდარული ექს-ბითლის, სერ პოლ მაკარტნის ახალი ალბომი გამოჩნდა. ბოლო ალბომი - "Driving Rain" მაკარტნიმ 2001 წელს გამოსცა.

მიუხედავად იმისა, რომ კონცერტებზე სერ პოლს არაჩვეულებრივი მუსიკოსთა ჯგუფი ახლავს ხოლმე, ამჯერად სტუდიურ ჩანაწერებში ის მარტო მონაწილეობდა. მან ერთმა შეასრულა გიტარის, ბასისა და დასარტყამი ინსტრუმენტების პარტიები.

როგორც წესი, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში 63 წლის მაკარტნი საკუთარი ალბომების "ერთპიროვნული" პროდიუსერიც იყო. ახლა კი Chaos and Creation in the Backyard-ის ჩაწერაში ხმის რეჟისორი ნაიჯელ გოდრიჩი დაიხმარა. გოდრიჩთან თანამშრომლობა მაკარტნის ძველმა მეგობარმა, "ბითლზის" ყოფილმა პროდიუსერმა ჯორჯ მარტინიმ ურჩია.

მაკარტნის თქმით, თავდაპირველად მან გოდრიჩი ლამის სტუდიიდან გააძევა. საქმე ისაა, რომ ხმის რეჟისორმა ზოგიერთი მასალის შეცვლა მოსთხოვა. თუმცა, მალე ურთიერთობა დარეგულირდა. "ნაიჯელთან მუშაობა ბითლზის დროინდელ პერიოდს მაგონებს. მაშინ შესანიშნავ ჩანაწერებს ვაკეთებდით, მაგრამ ხშირად ვჩხუბობდით და ვდავობდით", - განაცხადა მაკარტნიმ.

სერ პოლის ახალი დისკის ყდაზე 1962 წლის ფოტოა. მასზე აღბეჭდილია 20 წლის მაკარტნი. ის ლივერპულში, საკუთარი სახლის ეზოშია გადაღებული.

პოლ მაკარტნის ამერიკულმა ტურნემ ალბომ Chaos and Creation in the Backyard-ის მხარდასაჭერად მაიამიდან 16 სექტემბერს აიღო სტარტი.

